პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან, დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. პირველ გვ.-ზე—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 9—43.

დღიური

— შეიდემანისა და ნოსკეს თხოვნით, გენ. ფოშმა 1919 წ. გერმანიას დაუტოვა 5.000 ზედმეტი ტყვიამფრქვევი რევოლიუციასთან საბრძოლველად.
— ჩრდ. ამერიკის მთავრობა იძულებულია „შეარბილოს" თავისი ყაჩაღური პოლიტიკა ნიკარაგუასა და მექსიკის მიმართ.
— პრაგაში დაიწყო პროცესი პარლამენტის 4 კომუნისტ დეპუტატის, რომელთაც სახელმწიფოს [illegible] კანონის დარღვევა ბრალდებათ.
— ჩიკაგოს ხელისუფალთა მიერ [illegible] ყოველ წლიურად აღწევს 30 მილ. დოლარს.

პარასკევი, 21 იანვარი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 16 (1771)

სამი წლის წინად, 1924 წლის 21 იანვარს, საღამოს 6 ს. და 50 წუთზე გარდაიცვალა პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი ბელადი—ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

ამხ. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად ხვალ გამოვა ჩვენი გაზეთის სპეციალური №-ი

საბჭოთა არჩევნების საორგანიზაციო საკითხები

საბჭოთა არჩევნები პროლეტარულ დემოკრატიის ერთი უდიდესი გამოხატულებათაგანია: მათი საშუალებით მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასების მილიონები უშუალო მონაწილეობას ღებულობენ სოციალისტურ სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

ჩვენ პირველად არ ვატარებთ საბჭოთა არჩევნებს, რაც დრო მიდის, არჩევნების ორგანიზაცია და მშრომელთა მასის აქტივობა იზრდება. მშრომელი მილიონების მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში მატულობს და ეს მონაწილეობა უფრო რეალური, უფრო ცხოველ სახეს ღებულობს.

დღეს პარტია და ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეულია მორიგ საარჩევნო კამპანიაზე. ჩვენ ვიცით, რომ სოციალისტური აღმშენებლობის წინსვლა და იმ სიძნელეთა დაძლევა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას აღორძინებითი პერიოდის დასრულების შემდეგ, შესაძლებელია მხოლოდ მშრომელი მასის აქტიური მონაწილეობით.

რომ კომუნისტური პარტიის ხაზი, რომელიც გულისხმობს არჩევნებში რაც შეიძლება მეტი მშრომელი მოსახლეობის ჩაბმას, სისწორით და მტკიცედ იქნას გატარებული, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საბჭოთა არჩევნების ტეხნიკურ ორგანიზაციას.

ეს მუშაობა ისე უნდა იქნას ჩატარებული, რომ ჩვენ უზრუნველვყოთ ღარიბების, კულტურულად ჩამორჩენილ და ყოფა-ცხოვრების მძიმე პირობების გამო უფლებრივად დაბეჩავებულ მოსახლეობის ფენების არჩევნებში მონაწილეობა. წარსული არჩევნების გამოცდილებით ვიცით, რომ ეკონომიურად შეძლებული და პოლიტიკურად დაქსაქსული, ხერხემალ გატეხილი ანტისაბჭოთა ელემენტები ბევრგან უფრო მეტ აქტივობას იჩენდენ არჩევნებში, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი.

პარტია და ხელისუფლება ამ გარემოებას ანგარიშს უწევს. წელს ეს აღარ უნდა განმეორდეს. საარჩევნო ინსტრუქციები მაქსიმალურ შესაძლებლობას აძლევს ადგილობრივ ორგანოებს, რომ მათ გადაუჭრან მშრომელი ხალხის ყოველი ჯურის მტრებს ხელისუფლებისაკენ მიმავალი გზა. საბჭოთა დემოკრატია, სწორედ იმიტომ არის **საბჭოთა დემოკრატია** და არ დემოკრატია, საზოგადოდ, რომ ის მოქალაქეობრივ უფლებას მხოლოდ მშრომელს ანიჭებს.

ამიტომ არჩევნების ყველა ხელმძღვანელ ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები არჩევნებში მშრომელი მოსახლეობის ფართე მასების დასარაზმავად. როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მხრივ სოფელი საჭიროებს.

წარსული არჩევნების ტეხნიკურ ორგანიზაციის საგრძნობ ნაკლს წარმოადგენდა, სხვათა შორის, საარჩევნო კომისიების განცალკევებული მუშაობა. არ იყო მჭიდრო კავშირი არჩევნების ხელმძღვანელ ორგანოებსა და მასიურ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, რომელნიც წარმოადგენენ მთლიან დარაზმულ ამომრჩეველთა მასას. ესენია: კოოპერაცია, გლეხკომები, პროფკავშირი, ქალთა სადელეგატო კრებები, კომუნისტური კავშირი და სხვა. მჭიდრო კავშირი ამ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად წინასწარ სამზადისის წარმოება და თვით არჩევნების ჩატარება—ასეთია საარჩევნო კომისიათა წარმატებითი მუშაობის ერთი მთავარი პირობა.

ამას გარდა, ჩვენ ვიცით, რომ დაინტერესებული პირები შეეცდებიან არჩევნებს ჩამოაშორონ სოფლის ღარიბესი ელემენტები. კერძოთ მოჯამაგირეები, მწყემსები და ქირაზე დროებით მომუშავე გლეხები, შეიძლება ისინი არჩევნების დღისათვის არ გაანთავისუფლოს დამქირავებლებმა. საარჩევნო კომისიებმა უნდა მიიღონ ზომები არსებულ საარჩევნო ინსტრუქციის ფართედ განსამარტავად. საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს ასეთ შესაძლებლობას და ამიტომ იქ შეტანილია ცალკე მუხლი, რომლის ძალით დამქირავებელს ეკრძალება მუშა-მოსამსახურის დაბრკოლება, მისი მშრომელთა კრებაში მონაწილეობისათვის ხელის შეშლის მიზნით.

ამასთან ერთად საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს, უნდა აღიკვეთოს ადგილობრივ რაიმე სხვა მასიურ კამპანიის ჩატარება. ამ მხრივ ცენტრალური ორგანოები უფრო თავდაჭერილნი არიან რესპუბლიკანურ და სამაზრო მასშტაბის კამპანიები არჩევნების დროს არ ტარდება. სამაგიეროდ არის შემთხვევები, როცა ადგილობრივ, თვით თემის ფარგლებში არღვევენ ამ პირობას და არჩევნებთან ერთად ზოგჯერ სხვა საკითხებზედაც იწვევენ სასოფლო კრებებს. მიმდინარე არჩევნების დროს ასეთ გადახვევას საერთო წესისაგან ადგილი აღარ უნდა დაურჩეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამომრჩეველთა აქტივობისათვის უმოქმედო დეპუტატების უკან გამოწვევის საკითხს. ამომრჩეველის ეს უფლება მხოლოდ საბჭოთა დემოკრატიის განმასხვავებელ თვისებას წარმოადგენს. მშრომელთა დემოკრატიის თავისებურობა სხვათა შორის იმაშიაც გამოიხატება, რომ ამომრჩეველს შეუძლია უკან გამოიხმოს დეპუტატი, რომელმაც მისი იმედები არ გაამართლა. წარსულ არჩევნების დროს ეს მომენტი უყურადღებოდ რჩებოდა.

რომ ამომრჩეველთა მასა უფრო დაინტერესოთ მიმდინარე კამპანიით, რომ მომავალი საბჭო უფრო საქმიანი და ფხიზელი იყვეს, უმოქმედო დეპუტატის უკან გამოხმობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც არჩევნების წინასწარ სამზადისის დროს, ისე თვით არჩევნებზედაც.

ჩვენ აღარაფერს ვიტყვით ამომრჩეველთა სიების შედგენის, უწყებების თავის დროზე დარიგების, კრების უმრავლესობისათვის დასამხარ ადგილას დანიშვნის და კამპანიის სხვა ტეხნიკურ მხარეების შესახებ, რომელთა სისწორით ჩატარებაზე აგრეთვე ბევრადაა დამოკიდებული არჩევნების შედეგები.

ამ საკითხების უაღრეს მნიშვნელობაზე ჩვენ არაერთხელ შევჩერებულვართ. საარჩევნო კომისიები უნდა შეეცადონ ყველა ამ ერთი შეხედვით წვრილმანის, მაგრამ არსებითად უაღრესად მნიშვნელოვან საკითხების, უმტკივნეულოდ მოგვარებას.

წინასწარ სამზადისის პერიოდის დასრულებამდე ბევრი აღარაფერი დაგვრჩენია. ალაგ-ალაგ კიდეც დაიწყო არჩევნები. ამიტომ არჩევნების ტეხნიკურ ორგანიზაციის საკითხს, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. საამისოდ უნდა გამოსწორებულ იქნას ის ნაკლულევანებანი, რომელნიც ცხადჰყო წარსულ საარჩევნო კამპანიამ და რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

კანტონის ბრძოლის მნიშვნელობა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მარშალ უ-პეი-ფუს მორიგ ცირკულიარულ დეპეშაში ჩამოთვლილია გომინდანის „ექვსი დიდი ბოროტმოქმედება". კომუნიზმი, კლასიური ბრძოლა, დიქტატურა, „მორალურ წესთა" შერყევა, ორიენტაცია საბჭოთა კავშირზე და დაბოლოს, დიდი სახელმწიფოების ინტერესთა თავხედური დარღვევა, რაიც ქმნის იმის საფრთხეს, რომ ჩინეთი მსოფლიო ომის ასპარეზად შეიძლება გადაიქცეს. ასეთია იმ პარტიისა და მთავრობის მომაკვდინებელი ცოდვები, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს დამარცხებული მარშალი თავის „თანამოძმეებს". დამახასიათებელი რამ ამ დეპეშაში, — ისე, როგორც ჯერ კიდევ გუშინ „მოუსყიდავი მებრძოლი—პატრიოტის" რამოდენიმე ათეულ წინანდელ დეპეშებში,—არის ის, რომ ყველა მისი „არგუმენტები" მიმართულია გომინდანის წინააღმდეგ და წარმოადგენს იმპერიალისტური, კერძოდ, ბრიტანეთის პრესის „არგუმენტების" განმეორებას. გენერალი, რომელზედაც ჯერ კიდევ 6—7 წლის წინედ ჩინეთის საზოგადოებრიობა მრავალ იმედებს ამყარებდა, გენერალი, რომელიც ჩან-ძო-ლინებისა და ჩან-ცზუნ-ჩანებისაგან განსხვავებით არის არა ყოფილი ხუნხუზი, არამედ ძველი ბაკალავრი, რომელიც დღემდე სწერს ლექსებს, კანტონის წინააღმდეგ ბრძოლის დროს მთელი თავისი „ძველი ჩინური სიბრძნით" ინგლისის მჩმახველების იდეოლოგიურ ტყვეობაში მოექცა. ეს, ცხადია, შემთხვევითი რამ არ არის. ეს დროის ნიშანდობლივი თვისებაა. მიუხედავად ჩინეთის ამბების განსაკუთრებულობისა", მიუხედავად ჩინეთის პირობების ორიგინალობისა, ჩინეთის პრობლემა უკვე განუწყვეტელი ჯაჭვებით არის გადაბმული სოციალიზმის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო პრობლემასთან, იმ პრობლემასთან, რომელიც დღითი-დღემდე სულ უფრო და უფრო გამალებით ჰყოფს მთელ მსოფლიოს, და მასთან ჩინეთსაც ორ მტრულ ბანაკად, ორი ნათლად გამოსახული შეურიგებელი იდეოლოგიით.

მართლაც, კარგად დაუკვირდით რევოლიუციონურ კანტონის მოპირდაპირე ბანაკს და უ-პეი-ფუს დეპეშასთან ერთად გადაიკითხეთ სუნ-ჩუან-ფანის, ჩან-ძო-ლინის და ჩან-ცზუნ-ჩანის დეპეშები და მოწოდებანი, გაეცანით გამოჩენილი ჩინელი მეცნიერის ჩან-პინ-ჩინის გამოსვლებს და პეკინში ახლად შექმნილ ანტიგომინდანურ „ჩინეთის ხუთფეროვანი დროშის დამცველი ლიგის" პროგრამას, რომელშიაც შევიდენ, უმთავრესად, „ნაციონალისტები და სახელმწიფო პირები" და თქვენ დარწმუნდებით ყველა ამ მილიტარისტების, ხუნხუზების, ბაკალავრების, როგორც ჩინეთის ისე საზღვარგარეთის უნივერსიტეტების რეაქციონურ სტუდენტების, კომპრადორების, მდიდარ ვაჭარ - მრეწველთა და ბოლოს, პოლიტიკანთა და მეცნიერთა სრულ ერთსულოვნობაში.

ეხლა საფრთხე, რომელიც ელის ამ რეაქციონურ ხროვის კლასიურ და ჯგუფურ ინტერესებს, აიძულებს მას მიეკედლოს იმპერიალისტებს, განიმსჭვალოს მისი იდეოლოგიით და მონურად, დაზეპირებული გაკვეთილივით განიმეოროს მათი საძაგელი სენტენციები, ბურჟუაზიული ცრუ-მეცნიერების აქსიომებით აგინოს რევოლიუციონურ ჩინეთს. იმავე დროს რევოლიუციონური ჩინეთი შეურყევლად განაგრძობს თავისი დიადი მისიის შესრულებას,—იგი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს, თანდათანობით ახევინებს იმპერიალისტებს იმ პოზიციებიდან, რომელნიც ჯერ კიდევ ამას წინედ მიუდგომელ პოზიციებად ითვლებოდენ.

13 იანვარს ღამით გაგზავნილ ნოტაში ბელგიის მისია აცნობებს ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა უკან წაილოს თავისი აპელიაცია ჰააგის ტრიბუნალში და დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად. ბელგიის ელჩი დევარზი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა და სთქვა, რომ ბელგიის მთავრობა მზადაა ჩინეთის ხელისუფლებას დაუბრუნოს ბელგიის კონცესია ტიან-ცზინში.

რა არის ეს, პეკინის გამარჯვება? პეკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრის ველინგტონ კუს სიმტკიცის შედეგი? იქნებ იგი არის იმავე მთავრობის წარმომადგენელთა მოქმედების შედეგი, რომელნიც ზოგიერთ უცხოელების მისიებს ეწვიენ და გამოსთქვეს სურვილი იმისა, რომ უცხოეთის კონცესიები ტიან-ცზინში გადაეცეს ჩინეთის ხელისუფლებას? იქნებ ეს კანტონის ახალი გამარჯვებაა? პასუხი ცხადია. თუ ბელგიის კონცესიაზე ტიან-ცზინში ხვალ აფრიალდება ჩინეთის სამფეროვანი დროშა, რომლისთვისაც ძალიან ზრუნავს ანტიგომინდანური „ლიგა". ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი მეორეზე ზედიზედ დაბლა ეშვებიან ბრიტანეთის დროშები ბრიტანეთის კონცესიებში, რომლებიც იმყოფებიან იმ ტერიტორიაზე, სადაც მტკიცედ არის აღმართული ჩინეთის რევოლიუციის დროშა.

მოვლენათა ულმობელი ლოღიკის ბოროტი ირონია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რეაქციონური და მილიტარისტული პეკინი იძულებულია, რომ ერთგვარი დეკორუმის შენარჩუნებისათვის მიჰბაძოს რევოლიუციონურ კანტონს და ყველასათვის მოულოდნელად მომკას ის, რომელზედაც მას არასოდეს არ შეეძლო ოცნება. ყოველივე ეს, თუ ინგლისის პრესას დაუჯერებთ, არის ბოლოს და ბოლოს „რამოდენიმე ასიული გაევროპელებული ჩინელის მოქმედების შედეგი, რომლებმაც შესძლეს არმიის შედგენა ჩინელი შავი-მუშებისაგან". ეს შავი-მუშები,—გაჰკივის „დეილი ტელეგრაფი",—ცოტათი დგანან მაღლა შინაურ ცხოველებზე. მათი სიტყვარი 250 სიტყვას არ აღემატება. მათ უმეტეს შემთხვევაში არ იციან არც კითხვა, არც წერა, არა აქვთ მუდმივი ბინაც კი და ჩვეულებრივ სძინავთ რომელიმე შენობის ჩრდილში". ამას სწერს „კულტუროსანი" ინგლისელი, აშკარა სურვილით, რომ დაამციროს ჩინეთის მუშათა კლასი, რომლის ხელითაც არის შექმნილი ხანკოუსა და შანხაის, და სხვა ღია ნავთსადგურების უცხოეთის კონცესიების მთელი ბრწყინვალება, მშვენიერება და კომფორტი, მაგრამ, რომელიც ეხლა მაკდონალდის მხატვრული გამოთქმით „პანჩურს კრავს" ამაყ ბრიტანელს და იწვევს ბრძოლისაკენ მთელ იმპერიალისტურ ქვეყნებს.

მოსკოვი, 20 იანვარი.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება განახლდება 20 თებერვალს

მარქსმა მთავრობის შედგენაზე უარი განაცხადა

ინგლისის მთავრობა აძლიერებს მზადებას კანტონის წინააღმდეგ

ეძებენ ბელორუსთა დეპუტატების დაპატიმრების გამამართლებელ „საბუთებს"

უახლოეს დროში დადებულ იქნება ოსმალეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება

პარიზი, 19 იანვარი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რაკოვსკი და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარე დე-მონზი შეთანხმდენ იმაში, რომ საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის კონფერენციის მუშაობა განახლებულ იქნეს 20 თებერვალს. (ადს).

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

მარქსმაც უარი სთქვა

ბერლინი, 19 იანვარი. მარქსმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე. (ადს).

სოციალ-დემოკრატები ვაჭრობენ

ბერლინი, 19 იანვ. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის პრეზიდიუმმა ცენტრის პარტიებისაგან შემდგარ მთავრობისათვის მხარის დაჭერის საკითხი ფრაქციის სხდომაზე გადაიტანა. პრესის ცნობით, სოციალ-დემოკრატები მთავრობას მხარს დაუჭერენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრის პარტიები წავლენ სათანადო დათმობაზე, როგორც მთავრობის პერსონალურ შემადგენლობის მხრივ, ისე მისი პროგრამის საკითხში, კერძოთ, რეიხსვერის და სოციალურ კანონმდებლობის საკითხებში.

ბერლინის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის თანამდებობის პირთა კრებაზე მიღებულ იქნა ამგვარი გადაწყვეტილება. კრების რეზოლიუცია დაუშვებლათ სთვლის თავდაცვის ყოფილ მინისტრის გესლერის მონაწილეობას მთავრობაში. კრიზისის ლიკვიდაცია ამჟამად დამოკიდებულია სახალხო პარტიისაგან, რომელიც ჯერ კიდევ უარყოფითად უყურებს სოციალ - დემოკრატების მოთხოვნილებებს. (ადს).

სოციალ - დემოკრატები მხარს უჭერენ ბურჟუაზიულ მთავრობას

ბერლინი, 19 იანვარი. რეიხსტაგის სოციალ - დემოკრატიულმა ფრაქციამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ფრაქცია პრინციპიალურად არ არის წინააღმდეგი მხარი დაუჭიროს ცენტრის პარტიებისაგან შემდგარ მთავრობას, მაგრამ ამ საკითხს ფრაქცია საბოლოოდ გადასწყვეტს მაშინ, როდესაც გამოირკვევა მთავრობის შემადგენლობა და მისი პროგრამა. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში

აცნობებენ „ოპოზიციონერს"

ლონდონი, 19 იანვარი. „მანჩესტერ გარდიენი" იუწყება, რომ მთავრობამ აცნობა მაკდონალდს იმ ზომების შესახებ რომლებიც მიღებულ უნდა იქნას ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის გამო.

ინგლისში არსებული ჩვეულებით, სერიოზულ შემთხვევებში, როდესაც მთავრობა ემზადება რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმისათვის, თავის გეგმებს უზიარებს საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერს, როგორსაც ამჟამად მაკდონალდი წარმოადგენს. (ადს).

შანხაისკენ

ლონდონი, 19 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის ხმელთა-შუა ზღვის ფლოტის პირველი ესკადრა ბალტიიდან შანხაისაკენ დაიძრა. (ადს).

ამერიკა შეშფოთებულია

ვაშინგტონი, 19 იანვარი. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა შეშფოთებულია ჩინეთიდან მოსული უკანასკნელი ცნობებით. რომ ფო-ჩოუში მომხდარ უცხოელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები გავრცელდა აგრეთვე ამერიკელ მოქალაქეებზედაც.

მთავრობის განკარგულებით სწარმოებს სამზადისი ჩინეთში ახალი სამხედრო საზღვაო ძალების გასაგზავნად—„ამერიკის ინტერესების დაცვის მიზნით". (ადს).

იმპერიალისტების თანამშრომლობა

ლონდონი, 19 იანვარი. „დეილი ტელეგრაფ" იტყობინება, რომ ბრიანის საუბარი ინგლისის ელჩთან პარიზში ჩინეთის მდგომარეობის შესახებ, წარმოადგენს დიდი ნაბიჯის გადადგმას წინ იმ საკითხში, რომელიც შეეხება ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობას შორეულ აღმოსავლეთში. გაზეთი აცხადებს, რომ ეს არის „არსებითი დამატება ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობისა დასავლეთ ევროპაში". დასასრულ გაზეთი იტყობინება, რომ იტალიამაც თანხმობა განაცხადა „ითანამშრომლოს ინგლისის საზღვაო ძალებთან შანხაიში". (ადს).

შეცდომა ხანძარს გამოიწვევს

ლონდონი, 19 იანვარი. „დეილი ჰერალდ"-ის თანამშრომელთან საუბარში მაკდონალდმა დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივი პრაქტიკის მიხედვით, მთავრობამ გააცნო ის, როგორც ოპოზიციის ბელადი, ყველა მნიშვნელოვან ამბებს, რომელნიც შესაძლოა განვითარდენ ჩინეთში.

მაკდონალდმა განაცხადა, რომ ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა მას მეტად სერიოზულად მიაჩნია, და, მისი აზრით, შეცდომამ რომელიმე მხრით შეიძლება ცეცხლი დაანთოს.

შეეხო რა კონცესიების საკითხს, მაკდონალდმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ყველა კონცესიები გაუქმებული უნდა იქნენ. მაგრამ ინგლისის მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა არ დაუშვას კონცესიების ოკუპაცია შანხაიში იმ საშუალებებით, როგორც ეს ხანკოუში მოხდა.

მე ვფიქრობ, განაცხადა მაკდონალდმა, რომ ინგლისის მთავრობა ადიდებს საფრთხეს მით, რომ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს სამზადისს. ის, რაც ინგლისის მთავრობის თვალსაზრისით შესაძლოა. სიფრთხილის ზომებს წარმოადგენს, ადვილად შეიძლება, რომ ჩინელებს თავდასხმისათვის მზადებად მოეჩვენოს. ერთი რამ სავსებით აშკარაა,—თუ ის გემები და ჯარები, რომელნიც შანხაისაკენ გაიგზავნენ, გამოყენებულ იქნენ კანტონის არმიაზე თავდასასხმელად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მთავრობა **6 თვეზე მეტს ვერ გასძლებს**". (ადს).

იაპონია ჩჟან-ძო-ლინს აღარ სწყალობს

ლონდონი, 19 იანვარი. „დეილი ტელეგრაფ" იტყობინება, რომ დიპლომატიურ წრეებში დიდი ინტერესით შეხვდენ მეგობრულ განცხადებებს, საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელთაც შეიცავდენ იაპონიის პრემიერის ვაკაცუკის და გარეშე საქმეთა მინისტრის შიდეხარას სიტყვები პარლამენტის გახსნის დროს. ეს წრეები ამ განცხადებებს სთვლიან იმ გარემოების შედეგად, რომ იაპონია უკვე გულგრილად უცქერის ჩჟან-ძოლინს (ადს).

პოლონეთის პოლიცია „მუშაობს"

ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო

ვარშავა, 19 იანვარი. უკანასკნელ დღეებში ვარშავაში დაპატიმრებულთა უმრავლესობა განთავისუფლებულია ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. დაპატიმრებულთ ბრალდებოდათ კომუნისტური მოღვაწეობა. განთავისუფლებულია, აგრეთვე წიგნების გამომცემლობა „კნიგა"-ს ხელმძღვანელი ოსტროვსკი. მიუხედავათ ამისა, გამომცემლობა მაინც დახურულია. (ადს).

მინისტრის „ღვაწლი"

ვარშავა, 19 იანვარი. ვილნოს გაზეთი „სლოვო" (მსხვილ მემამულეთა ორგანო) ხაზს უსვამს იუსტიციის მინისტრის მეიშტოვიჩის განსაკუთრებულ ღვაწლს ბელორუსთა გრომადის დაშლაში. გაზეთი აღნიშნავს კონფლიქტს მეიშტოვიჩისა და კაბინეტის დანარჩენ წევრებს შორის, რის გამო გავრცელდა ხმები მეიშტოვიჩის გადადგომის შესახებ, იმ მიზეზით, რომ უკანასკნელი მოითხოვდა გრომადის დაშლას. „ამჟამად,—დასძენს გაზეთი,—აღარ არის გადადგომის შიში. გრომადის დაშლაში ღვაწლი მიუძღვის არა მარტო მეიშტოვიჩს, არამედ პილსუდსკის და ბარტელსაც". (ადს).

გოლუვკოს განცხადება

ვარშავა, 19 იანვარი. ტრუდოვიკების ორგანო „დილო", რომელიც გამოდის ლვოვში უკრაინულ ენაზე, აქვეყნებს ინტერვიუს პეპესოველ გოლუვკოსთან [illegible] სიის, რომელიც არჩეულია სეიმის მიერ ეროვნულ უმცირესობათა საკითხის მოსაგვარებლად.

გაზეთის კორესპონდენტის შეკითხვაზე—თუ რატომ არ იცავს ის უკრაინელთა მიმართ ერთა თვითგამორკვევის სოციალისტურ პრინციპს—გოლუვკომ განაცხადა: „საკითხი თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს აღმოსავლეთ-გალიცია კუთვნილება გადასწყვიტა პოლონეთ-უკრაინის ომმა". (ადს).

გრომადის წინააღმდეგ

ვარშავა, 19 იანვარი. ბელორუსიის ეროვნულმა საბჭომ, რომელიც თავის დროზე მოწყობილ იქნა ქ. ვილნოში ოხრანკის თანამშრომლების მიერ, გამოაქვეყნა მოწოდება ბელორუსიის გრომადის საწინააღმდეგოთ. (ადს).

დეპუტატების პასუხისგებაში მიცემა

ვარშავა, 19 იანვარი. სეიმის წრეებში გაცხოველებული მსჯელობაა ბელორუსიელ დაპატიმრებულ დეპუტატების სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ.

სეიმის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ფაქტიურად გრომადის „მავნე მოქმედების" შესახებ გამოქვეყნებული ცნობების დამტკიცების საქმე არც ისე გაადვილდება, როგორც ეს პირველი ოფიციალური ცნობების შთაბეჭდილებიდან იყო მიღებული. ჯერ-ჯერობით სეიმში არ არის წარდგენილი არავითარი კონკრეტიული ცნობები გრომადის მიმართ წარდგენილი ბრალდებების დასამტკიცებლად. (ადს).

„საჭირო" შედეგები ვერ მოიტანა

ვარშავა, 19 იანვარი. მასიურმა დაპატიმრებამ, რომელიც ვარშავაში მოახდინეს იმ მიზნით, რომ ბელორუსთა გრომადის წინააღმდეგ საბრალმდებლო მასალები აღმოეჩინათ, „საჭირო" შედეგები ვერ მოიტანა. დაპატიმრებულთაგან მხოლოდ 14 კაცია ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელი.

სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მისთვის ჯერ კიდევ არ გადაუციათ დოკუმენტები ამ საქმის შესახებ, რომ მისი გადაწყვეტილება არ ჩაერიოს ამ საქმეში — არ არის საბოლოო და რომ მას საჭიროდ მიაჩნია დეპუტატების დაპატიმრების საკითხი გადასწყვიტოს სეიმის პლენუმმა უახლოეს სხდომაზე.

ვილნოს პროკურორმა განაცხადა, რომ გრომადის დათხოვნის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილია. (ადს).

გენერალურ საბჭოს თვალთმაქცობა

ლონდონი, 19 იანვარი. პროფკავშირთა გენერალურ საბჭოს 19 იანვრის სხდომაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია მწუხარება, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალმა არ მისცა სრული შესაძლებლობა განეხილათ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოსთან დამოკიდებულების საკითხი.

„მანჩესტერ გარდიენ" აცხადებს, რომ „გენერალურმა საბჭომ გამოიგონა მეტად მოსწრებული მეთოდი უარი განეცხადებია ერთ-ერთ თავის ვალდებულებაზე საკავშირო ცენტ. პროფსაბჭოს მიმართ. ვინაიდან ამსტერდამი უთუოდ უარს იტყვის ამსტერდამის გაერთიანების და საბჭოთა კავშირის კონფერენციაში მონაწილეობაზე, ამიტომ ინგლისელები განთავისუფლდებიან მისი მოწვევის აუცილებლობისაგან".

ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, გენერალურმა საბჭომ გამოსთქვა სურვილი მუშათა პარტიის აღმასკომთან შეთანხმებული მოქმედების შესახებ. (ადს).

საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა

პარიზი. 19 იანვარი. ბრიანმა, დეპუტატთა პალატის გარეშე საქმეთა სამინისტროს კომისიაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთს სურს მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის გატარება და უარჰყო ზომები იმის შესახებ, რომ იგი დასთანხმდა რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციას სათანადო კომპენსაციის მიუღებლად გერმანიის მხრით.

აღნიშნა რა, რომ საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა უმჯობესდება და ახლო ხანში დაიწყება მოლაპარაკება ესპანეთთან ტანჟერის საკითხის შესახებ, ბრიანმა განაცხადა, რომ საფრანგეთი ჩინეთში გაატარებს ხანგრძლივ და ფრთხილ პოლიტიკას, რომელსაც მიზნად ექნება საფრანგეთის ინტერესების დაცვა ახლო აღმოსავლეთში.

დასასრულ ბრიანმა აღნიშნა, რომ მთავრობაში სრული ერთსულოვნება არსებობს ყველა საკითხებში. (ადს).

ყვითელი ბელადის წინააღმდეგ

ლონდონი, 19 იანვარი. კომუნისტების საწინააღმდეგო კამპანიასთან დაკავშირებით, რომელსაც აწარმოებს იორკშირის სამთამადნო მუშათა ასოციაციის მდივანი ჯონსი, **იორკშირის სამთამადნო მუშების ბევრმა ორგანიზაციებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ ჯონსის გადაყენებას.** მათ მიმართეს ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციას თხოვნით დანიშნოს კომისია ჯონსის მიერ მოყვანილ ცნობების შესამოწმებლათ. (ადს).

რით არის გამოწვეული

შეიდემანის ანტი-საბჭოთა იერიში

მენშევიკებს სურთ თავისი კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობის დაფარვა

პარიზი, 19 იანვ. შეიდემანის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ „გრანატების კამპანიასთან" დაკავშირებით, კომპარტიის ორგანო „ჰუმანიტე" ამტკიცებს, რომ **მენშევიკები საბჭოთა კავშირისათვის ბრალდებების წაყენებით ცდილობენ დაფარონ საკუთარი კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობა.**

კაშენს „ჰუმანიტე"-ში სიტყვა-სიტყვით მოჰყავს ბარტუს განცხადება საფრანგეთის პარლამენტში. განცხადებაში ნათქვამია, რომ **1919 წელს ფოშმა გერმანიას დაუტოვა 5.000 ზედმეტი ტყვიამფრქვეველი შეიდემანის და ნოსკეს თხოვნით, რომელნიც თავის მოთხოვნილებას ასაბუთებდენ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებით.** (ადს).

ოსმალეთ საბჭ. კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

ხელშეკრულება მოკლე ხანში იქნება დადებული

სტამბოლი, 19 იანვარი. ოსმალეთის პრესა იუწყება, რომ ახლო მომავალში დადებულ იქნება ოსმალეთ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება. (ადს).

საზღვაო ძალების კონცენტრაცია

სტამბოლი, 19 იანვარი. ოსმალეთის პრესა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ინგლისის და საფრანგეთის საზღვაო ძალთა კონცენტრაციას ხმელთაშუა ზღვაში და უკავშირებს მას იტალია სამხრეთ - სლავიის კონფლიქტს. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკება

ვარშავა, 19 იანვარი. ოფიციოზური „ეპოკა" ძლიერ აღელვებს ბერლინის გაზეთ „ველტ ამაბენდ"-ის ცნობა პოლონეთ გერმანიის საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებდა ბერლინში და ვარშავაში და რომლის დროსაც ირჩეოდა დანცინგის კორიდორის ლიტვაზე გაცვლის საკითხი.

„ეპოკა" უარყოფს, როგორც მოლაპარაკების ფაქტს, ისე იმის მტკიცებას, თითქოს ზალესკის სიტყვას რაიმე კავშირი ჰქონდეს ამ მოლაპარაკებასთან. (ადს).

ავიაქიმის საკავშირო ყრილობა

ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 20 იანვარი. ავიაქიმის პირველ სრულიად საკავშირო ყრილობის 17 იანვრის საზეიმო სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ამხ. **რიკოვი**.

„ავიაქიმის მუშაობაში სამშვიდობო და სამხედრო ამოცანების როლი და ადგილი,—სთქვა ამხ. რიკოვმა,—იცვლება ამა თუ იმ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც იქმნება ჩვენი ქვეყნის როგორც შიგნით, ისე გარეთ. აქ წარმოთქმულ მისალმებებში ხაზგასმით არის აღნიშნული ის, რომ დღეს სამხედრო ამოცანებმა რამოდენიმედ პირველი ადგილი დაიჭირეს. მე მგონია, ავიაქიმის ყრილობაზე არ არის საჭირო იმის დაფარვა, რომ დღეს მშვიდობიანობის საქმე შედარებით ცუდ პირობებშია, ვიდრე ამ ერთ წელიწად ან წელიწად ნახევრის წინ. საკავშირო მთავრობამ არ იცის თუ სწორედ რა დროს მოახდენენ თავდასხმას ჩვენს კავშირზე. არ შეიძლება იმის წინასწარ გათვალისწინება, რომ აი სწორედ მომავალ წელს მოხდება ეს თავდასხმა. მაგრამ ამასთან ერთად საერთაშორისო განწყობილებაში შემჩნეულია მთელი რიგი ნიშნები, რომლებიც მიგვითითებენ ომის საფრთხის რამოდენიმედ აქტუალურ ზრდაზე განვლილ დროისთან შედარებით. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მშვიდობიანობის საქმე იმდენად ჩვენი მთავრობისაგან არ არის დამოკიდებული, რამდენადაც სხვა სახელმწიფოებისგან. ომის საფრთხის ზრდის ერთ-ერთ აშკარა ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის თანდათანი „ფაშიზაცია", რომელიც ხდება არა მარტო ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, არამედ ჩვენს კავშირთან მოსაზღვრე ეგრედწოდებულ ლიმიტროფულ სახელმწიფოებშიც. აშკარაა ჩვენი მეზობელ სახელმწიფოების ფაშიზაცია, იმ სახელმწიფოების, რომლებიც ოდესღაც ყოფილ „რუსეთის იმპერიის" ნაწილს წარმოადგენდენ. მათი შემდეგი არსებობა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი თანამშრომლობის პირობებში, რადგან ოქტომბრამდე ისინი ვითარდებოდენ როგორც ერთი მთლიანი სამეურნეო ორგანიზმის ნაწილი და დღევანდელ მომენტშიც მათი სამეურნეო განვითარება, მთელი მათი ეკონომიკის სტრუქტურის გამო ვერ იწარმოებს ჩვენს სახელმწიფოსთან თანამშრომლობის გარეშე.

დაუშვათ, თუ გინდ ერთი წუთით (თუმცა ეს არას დროს არ მოხდება), რომ ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე დამყარდა ბურჟუაზიული ძალაუფლება. განა არის ევროპაში თუნდაც ერთი ისეთი სერიოზული პოლიტიკოსი, რომელიც არ იტყვის, რომ ბურჟუაზიული ხელისუფლების დამყარება მოსკოვში ნიშნავს ეგრედწოდებულ ბალტიის განაპირა სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობას?

საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა იქნება ამ ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობა.

თუ დღემდე, მიუხედავათ ამისა, უარჰყოფენ ჩვენი მთავრობის ყველა წინადადებებს ურთიერთ თავდაუსხმელობისა და მშვიდობიან თანამშრომლობაზე ხელშეკრულების დადების შესახებ, თუ დღემდე განაგრძობენ იარაღის ჟღარუნს ზოგიერთი ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოები, ეს იმით აიხსნება, რომ ისინი წარმოადგენენ იარაღს იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოს ხელში, რომელიც დაინტერესებულია მსოფლიოში პირველი მუშური ხელისუფლების მოსპობით. ნებას ვაძლევ ჩემს თავს განვაცხადო, რომ ჩვენ არ გვსურდა და არც გვსურს ჩვენი მეზობელ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შელახვა, რომ ჩვენ არა მარტო უზრუნველვყოფთ მშვიდობიან თანამშრომლობას მათთან, არამედ შეუწყობთ კიდეც ხელს მათ მშვიდობიან სამეურნეო განვითარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მორჩილ იარაღად არ გადიქცევიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ხელში.

ვინ ხელმძღვანელობს მთელ ამ ანტი-საბჭოთა კამპანიას? რომელი „ბატონი" დგას იმ პოლიტიკურ ჯგუფების ზურგს უკან, რომლებიც მტრული პოლიტიკით გამოდიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? ჯერ-ჯერობით მე არავითარი ცნობები არ მაქვს იმის შესახებ, თუ ვის უჭირავს ხელში დირიჟორის ჯოხი. ამაზე მე შემიძლია ვიმსჯელო იმ არაპირდაპირი მასალების მიხედვით, რომლებიც მიგვითითებენ ერთ სახელმწიფოზე, რომლის მმართველი პარტიაც განსაკუთრებული გააფთრებით ილაშქრებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს არის — ინგლისი. მმართველი კონსერვატიული პარტია არა მარტო დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე აწარმოებს გააფთრებულ აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ, არამედ ინგლისის დიპლომატიაც მთელ მსოფლიოში იჩენს ამ მიმართულებით უდიდეს აქტივობას. მაგრამ ამასთან ერთად ყოველ სახელმწიფოში არიან ისეთი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ჩვენს კავშირს, განსაკუთრებით მის სწრაფ სამეურნეო განვითარების გამო, უყურებენ როგორც სახელმწიფოს, რომელიც ემუქრება კაპიტალისტურ მსოფლიოს არსებობას. უდავო ფაქტს წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზაციის ორი სისტემის — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემის არსებობა საერთაშორისო განწყობილებაში, რაც აუცილებლივ ომამდე მიგვიყვანს. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ოქტომბრის პირველ წლებში სცადეს ასეთი ომის ატეხა, მაგრამ, როგორც იცით, სრულიად უნაყოფოდ. მათ შეუძლიათ თავის ცდის განმეორება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი სიძნელე გადაეღობებათ წინ, რადგან იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ გაუძნელდებათ კაცობრიობის ჩათრევა ახალ იმპერიალისტურ ომში.

დღეს არის მრავალი მიზეზი, რომლებიც აძლიერებენ ბურჟუაზიულ ჯგუფების სიძულვილს საბჭოთა კავშირისადმი. უმთავრესად ეს იმით აიხსნება, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო მეტ სიძნელეებს ხვდება თავის იმპერიალისტურ პოლიტიკის გატარების დროს. უკანასკნელი თვეები ხასიათდება მთელ რიგ ქვეყნებში რევოლიუციონურ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებით. იმპერიალიზმს თანდათან უჭირდება ცხოვრება.

ინგლისის კონსერვატორების მსგავსად, ბურჟუაზიულ მინისტრებსაც დასჩემდათ კომინტერნის, საბჭოთა კავშირის, საბჭოთა მთავრობის ან და კომუნისტური პარტიის გამოყენების ჩვეულება, ჯერ ერთი, საკუთარი პოლიტიკის ჩაფუშვის გასამართლებლად და, მეორეც, მტაცებლური ზრახვების დასაფარავად. ჩვენი საზოგადოების მოღვაწეობის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ქვეყნის თავდაცვას, დღევანდელ პირობებში უფრო აქტუალურ და უფრო საჭირბოროტო მნიშვნელობას ღებულობს, ვიდრე ეს იყო წინად. საომარი მოქმედების სისტემაში (თუ, მიუხედავათ ჩვენი მშვიდობიანობის მოყვარეობისა, ატყდება ომი) ავიაცია, და ქიმია, ყოველ ეჭვს გარეშე, გადამწყვეტ როლს ითამაშებენ. ამიტომაც ჩვენი ნებაყოფლობითი საზოგადოებები განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იღებენ როგორც ავიაციის, ისე მრეწველობის განვითარების საქმეში.

ომის საშიშროების შესახებ ჩემ მიერ თქმულიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის აზრი, რომ ომი აუცილებელია, და ისიც ახლო მომავალში. ჩვენს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მშვიდობიანობისათვის. ჩვენი კავშირის მთავრობა, როგორც წინედ, ისე განსაკუთრებით დღეს, ყოველგვარ ხერხს მოიხმარს, რომ თავიდან აიცდინოს ომი. კავშირის მთავრობა სიტყვას აძლევს ჩვენს ქვეყანას, რომ მისი ინიციატივით არას დროს არ მოხდება ომი. თუ იქნება ომი, მაშინ ჩვენს მხრივ ამ ომს ექნება თავდაცვითი ხასიათი. მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ უკანასკნელ დროს დიდათ გაიზარდა ჩვენზე თავდასხმის საფრთხე".

შემდეგ ამხ. რიკოვი გადავიდა საზოგადოების ამოცანებზე და აღნიშნა, რომ საზოგადოების სამშვიდობო ამოცანები უკანა რიგში არ უნდა იქნან დაყენებული, ყოველ შემთხვევაში, თუ სოციალიზმის საერთაშორისო გამარჯვებით ზედმეტი გახდება სამხედრო ამოცანები, სამეურნეო განვითარების ამოცანები მაინც დარჩება სამუდამოდ, ვიდრე კაცობრიობა არსებობს.

ავიაქიმის მნიშვნელობა მარტო იმით არ ამოიწურება, რომ ავიაქიმი რაზმავს და ზრდის მუშურ - გლეხურ მასებს და თანდათანობით ამზადებს ახალი საზოგადოების წევრთ, რომელთაც შეეძლებათ საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლა, არამედ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ავიაციისა და ქიმიის განვითარებისათვის.

„ჩვენი საზოგადოების ამოცანას,—განაცხადა ამხ. რიკოვმა, — წარმოადგენს მუშათა ფართე მასების ყურადღების მიპყრობა მეურნეობის ამ ორი მნიშვნელობანი დარგის განვითარებაზე. ამ ყრილობის მოწვევამდე რამოდენიმე ხნით ადრე ავიაქიმის ყველა ორგანიზაციებს დაეგზავნა წინადადება ავიაციისა და ქიმიური მრეწველობის დამხმარე საზოგადოების გაერთიანების შესახებ თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოებასთან. თუ დღევანდელი ყრილობა მოიწონებს ამ ორი საზოგადოების გაერთიანებას, მაშინ ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის, რისკენაც ვისწრაფოდით: ჯერ ერთი, რომ ის იყოს თვითმოქმედი, და, მეორე, რომ გავზარდოთ თვითეული მისი უჯრედისა და წევრის აქტივობა".

კომუნისტების პროცესი

ობსტრუქციის მოწყობისათვის

პრაგა, 19 იანვ. დაიწყო პარლამენტის 4 კომუნისტ დეპუტატის პროცესი. დეპუტატებს ბრალდებათ სახელმწიფოს დაცვის კანონის დარღვევა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 1926 წლის ივნისში პარლამენტის სხდომაზე, რომელზედაც ირჩეოდა სამღვდელოების ჯამაგირის და აგრარულ გადასახადების საკითხი, მათ მონაწილეობა მიიღეს ობსტრუქციის მოწყობაში.

ბრალდებულთა შორის სამი: **ილეკი, ჰარუში** და **კრეიბიხი** არიან ჩეხიის კომპარტიის ცეკას წევრები. ილეკი გარდა ამისა არის პარტიის გენერალური მდივანი და ცეკას პოლიტბიუროს წევრი. (ადს).

შეერთებული შტატები და ნიკარაგუა

ამერიკა პოზიციას იცვლის

ვაშინგტონი, 19 იანვარი. შეერთებული შტატების მთავრობა გარეგნულად ცვლის თავის პოლიტიკას ნიკარაგუასა და მექსიკის მიმართ. პოლიტიკის ეს შერბილება გამოწვეულია, უმთავრესად ლათინური ამერიკის და ევროპის გაზეთების უარყოფითი გამოხმაურებით და ლათინურ ამერიკაში ბაზრების დაკარგვის შიშით. გარეშე საქმეთა სამინისტრომ შეიცვალა კილო და გამოდის შემარიგებელი განცხადებით. ახლა გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საჭიროა შუამავლობა ნიკარაგუას კონსერვატიულ პრეზიდენტ დიასა და ლიბერალების ლიდერის საკანს შორის. (ადს)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

გრიპის ეპიდემია

პრაღა, 19 იანვარი. გრიპის ეპიდემია განსაკუთრებით ვითარდება ჩეხო-სლოვაკიის დასავლეთ ნაწილში. პრაღაში გრიპი მოედო სასკოლო ასაკის ბავშვთა 30 პროცენტს. თუ ამ სენით ავად გამხდართა რიცხვი კიდევ გაიზარდა, განზრახულია სალამოებისა და სათეატრო წარმოდგენათა აკრძალვა და გასართობ დაწესებულებათა დროებით დახურვა.

ჩრდილოეთ მორავიაში სამხედრო პირებს აეკრძალათ გასართობ დაწესებულებებში შესვლა (ადს).

პოლონეთის პოლიციის ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი, 20 იანვარი. ბელორუსთა და სეიმის ბელორუს დეპუტატთა დაპატიმრების გამო პოლონეთში ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობის დასრულების შემდეგ გაიმართა მიტინგები, რომლებზედაც გამოტანილ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები პოლონეთის ბურჟუაზიის გაუგონარი ძალადობის წინააღმდეგ ბელორუს მოსახლეობასა და მის ბელადებზე დასავლეთ ბელორუსიაში. (ადს).

პროფკავშირების ალმასკომთა კონფერენცია

ლონდონი, 20 იანვარი. 20 იანვარს გაიხსნა პროფკავშირთა ალმასკომების საგანგებო კონფერენცია, რომელიც განიხილავს ცენტრალურ საბჭოს მოქმედებას საყოველთაო გაფიცვის დროს.

სიკვდილით დასჯა

ამსტერდამი, 19 იანვარი. ვანდინგში (კუნძულ იავაზე) მომხდარ აჯანყების მონაწილეთა პროცესზე სასამართლომ ორს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ერთს—უვადო ციხე და ერთს—15 წლის ციხე.

სუმატრას დასავლეთ ნაწილში პოლიციამ დიდძალი ხალხი დაპატიმრა. იტყობინებიან, რომ პოლიციამ თითქოს აღმოაჩინა კომპარტიის საწევრო ბილეთები, რომელთა ნუმერაცია 15 ათასამდე აღწევს (ადს).

ტერორის წინააღმდეგ

ბერლინი, 19 იანვარი. ეიდკუნენში, აღმოსავლეთ პრუსიაში, გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო დემონსტრაცია, ლიტვაში გამეფებულ ტერორის წინააღმდეგ. დემონსტრაციამ მიაღწია ლიტვის საზღვრამდე, სადაც გაიმართა მიტინგი. მიტინგმა გამოიტანა მკაცრი საპროტესტო რეზოლიუცია ოთხი კომუნისტის დახვრეტის გამო და თავის სოლიდარობა გამოუცხადა ლიტვის მშრომელებს (ადს).

მუნიციპალური არჩევნები

რეველი, 19 იანვარი სამუნიციპალო არჩევნები ესტონეთში დამთავრდა. სოციალისტებმა ყველა ქალაქებში მიიღეს 23.000 ხმა წინააღმდეგ 9.000 ხმისა, რომელიც მიიღეს 1923 წლის არჩევნებში; შრომის ჯგუფმა და წვრილი ბურჟუაზიის პარტიამ მიიღო 19.000 ხმა წინააღმდეგ 9.000 ხმისა 1923 წელში; კომუნისტები, რომლებმაც 1923 წ. მიიღეს 30.000 ხმა, ამ არჩევნებში წელს აღარ დაუშვეს (ადს).

პროფინტერნის მოწოდება

მოსკოვი, 20 იანვარი. რუმინეთის მემარცხენე პროფკავშირთა ყრილობის მოწვევამდე, ერთი კვირით ადრე, დააპატიმრეს გენერალური მდივანი მარიანი და სხ. ბელადები.

მთავრობა ყოველმხრივ ეხმარება რეფორმისტულ პარტიებს და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას რევოლიუციონერ მუშებთან ბრძოლაში.

პროფინტერნის ალმასბიურო სასტიკ პროტესტს აცხადებს ასეთი დაპატიმრებების გამო და მოუწოდებს ყველა ქვეყნის პროფკავშირებს მხარი დაუჭირონ რუმინეთის მემარცხენე მუშებს ბოიარებთან და მათ დამხმარე რეფორმისტებთან ბრძოლაში. (ადს).

30 მ. დოლარი ქრთამი

ნიუ-იორკი, 19 იანვარი. ჩიკაგოს პროკურორი ოილსონი მთავრობისათვის წარდგენილ მოხსენებაში ამტკიცებს, რომ ქრთამი, რომელსაც მოხელეები ღებულობენ სპირტის სასმელებით მოვაჭრეებისაგან და მეძავ ქალთა სახლების მეპატრონეთაგან, ჩიკაგოში 30 მილიონ დოლარამდე აღწევს წელიწადში. კანონით აკრძალული სპირტის სასმელებით ვაჭრობა, ოილსონის აზრით, ვერ იარსებებდა ხელისუფლების მფარველობის გარეშე. (ადს).

ფინეთის მუშათა დელეგაცია

ჰელსინგფორსი, 19 იანვ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ფინეთის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანმა ტუომინენმა განაცხადა, რომ პროფკავშირთა გაერთიანებას განზრახული აქვს გაგზავნოს მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაცია 5-6 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შევა სამი სოც. დემოკრატი. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

იტალიის იმპერიალიზმი ალბანეთში

1925 წლის დასაწყისში ორი რევოლიუციის შემდეგ ალბანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ახმედ-ზოგუ. ორივე გადატრიალება ალბანეთში მოხდა დაინტერესებულ უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობით. მნიშვნელოვანი როლი ამ გადატრიალებებში ითამაშა ნავთის კონცესიების საკითხმა.

ახმედ-ზოგუს ჩადგომა ხელისუფლების სათავეში მოასწავებდა ინგლისის ეკონომიური პოზიციების გაძლიერებას, რაც მეტად არასასურველი იყო იტალიისათვის.

ინგლისი „ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის" სახით გადატრიალებისთანავე შეუდგა მოლაპარაკებას ახმედ ზოგუსთან ნავთის კონცესიების შესახებ, ალბანეთის მთავრობამ კი თავის მხრივ სთხოვა ინგლისს ეკისრა ალბანეთის საბაჟოების მართვა.

ახმედ-ზოგუს მთავრობის ძალაუფლების განმტკიცების მომენტისათვის ალბანეთის თითქმის მთელი საგარეო ვაჭრობა იმყოფებოდა იტალიის ხელში. ალბანეთის ნავთსადგურებში სავაჭრო კანტორების უმრავლესობა დაკავშირებული იყო იტალიის კაპიტალთან, მთელი ვაჭრობა სწარმოებდა იტალიის გემებით. იტალიის საზღვაო სააგენტოები აწარმოებდენ საბანკო ოპერაციებს იტალიის ბანკების ანგარიშზე. და სანამ ინგლისი შეუდგებოდა ახალი პირობების შესწავლას ალბანეთში მდგომარეობის ფაქტიური ბატონ-პატრონი შეიქნა იტალიის კაპიტალი. ახმედ-ზოგუს მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო იტალიის ეკონომიური გავლენისათვის. 1925 წლის მეორე ნახევრიდან იტალიის კაპიტალი დაეუფლა ალბანეთის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვან დარგებს. იტალიის კაპიტალის გაბატონება ალბანეთში დაგვირგვინებულ იქნა ალბანეთის ნაციონალური ბანკის დაარსებით ტირანში. ამ ბანკის აქციების დიდი ნაწილი იტალიის ფინანსიური წრეების ხელში იმყოფება.

ნაციონალური ბანკის დაარსებამდე ალბანეთში არ არსებობდა არც სააქციო საბანკო დაწესებულებები, არც საბანკო კრედიტი იყო მოწყობილი, ალბანეთი წარმოადგენდა ერთად-ერთ ქვეყანას, რომელსაც არ ჰქონდა საკუთარი ფულის ერთეული და სხვა ქვეყნების ვალიუტით სარგებლობდა. მისი ფულის ერთეულის როლს უმთავრესად ასრულებდა საფრანგეთის ოქროს ფრანკი, რომელიც ავსტრიულ ოქროს კრონას უდრიდა. ამრიგად ნაციონალური ბანკის დაარსება წარმოადგენს უკანასკნელი დროის უმნიშვნელოვანეს რეფორმას ალბანეთში.

ალბანეთის ბანკის გამგეობა და მისი ოქროს მარაგი იმყოფება რომში (ალბანეთის ოქროს მარაგი იტალიაში გაიტაცა ახმედ-ზოგუს მიერ ჩამოგდებულმა ფან-ნოლიმ), მთავარი დირექცია ტირანში. ბანკის პირველ თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა იტალიელი, რომელიც იმავე დროს იტალიური ბანკის „კრედიტო იტალიანო"-ს დირექტორია.

ალბანეთის საგარეო ვაჭრობის თითქმის ორი მესამედი იტალიაზე მოდის. ალბანეთი ამაოთ ცდილობს შეასუსტოს იტალიის ეკონომიური გავლენა. ამ მიზნით უცხოეთის წარმომადგენლობანი ყოველ ზომებს იღებენ, რომ უშუალო ურთიერთობა დაამყარონ მთელ რიგ სახელმწიფოებთან. მაგრამ მიუხედავათ ამისა იტალია უფრო და უფრო აძლიერებს თავის გავლენას ალბანეთის ტერიტორიაზე და აქცევს ალბანეთს თავის კოლონიათ. ასე მაგ., იტალიამ მიიღო რა მხედველობაში ალბანეთში საგზაო მიმოსვლის საშუალებების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რაც ხელს უშლის იტალიის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების განვითარებას, გაგზავნა ალბანეთში აუარებელი ინჟენერები, რომელთა ხელმძღვანელობით სწარმოებს მნიშვნელოვანი გზატკეცილების შეკეთება, გზების გაფართოება, ტირანა-დურაცოს ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზის გადაკეთება ფართო ხაზათ და სხვა. იტალიის ხელში მყოფ „ალბანეთის ეკონომიური განვითარებისათვის ხელისშემწყობ საზოგადოების საშუალებით" იტალიელმა კაპიტალისტებმა მიიღეს კონცესიები სხვა საამშენებლო სამუშაოთა საწარმოებლათ და ბუნებრივ სიმდიდრეთა დასამუშავებლათ ტირანის რაიონში. ამ საზოგადოების ხელმძღვანელებმა შეადგინეს ძველი გზების შეკეთების და გაფართოების პროექტი. მათ განზრახული აქვთ აგრეთვე გადაკეთება დურაცოს ნავთსადგურის, რომელშიც შეუძლია შესვლა მხოლოდ მცირე წყალწყვის მქონე გემებს. ახალ ნაშენობათა აგება განზრახულია აგრეთვე ვალონის ნავთსადგურში, თუ ყველაფერ ამას მიუმატებთ განსაკუთრებულ უპირატესობებს წყლებში ნაოსნობისათვის, აშკარა შეიქნება, რომ იტალიამ შესძლო ყველა ამ უპირატესობათა გამოყენება, რომელშიაც ჰქმნის ალბანეთის გეოგრაფიული მდებარეობა. წარსულ წელს დამტკიცებული იტალია-ალბანეთის სავაჭრო ხელშეკრულება უფლებას აძლევს იტალიას უბაჟოთ შეიტანოს ალბანეთში მთელი რიგი საქონელი და შეიცავს სპეციალურ მუხლს, რომლის თანახმად ალბანეთს არა აქვს უფლება გაადიდოს საბაჟო გადასახადი იტალიის დანარჩენ საქონელზე.

სასტიკ ბრძოლას აწარმოებს იტალია სამხრეთ-სლავიის შემოჭრის წინააღმდეგ ალბანეთის ბაზრებზე.

წარსული წლის აპრილში ალბანეთ-სამხრეთსლავიას შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება, იტალიის წინააღმდეგობის გამო დღემდე არ არის დამტკიცებული, სამხრეთ-სლავიის გავლენის შესასუსტებლად იტალიელები მოითხოვენ თავისუფალი ნაოსნობის უფლებას მდ. ბოიაზე, რომელიც სამხრეთ-სლავიასა და ალბანეთს აკავშირებს.

მუსოლინ-ჩემბერლენის შეხვედრა (წარსული წლის სექტემბერში), რომლის დროს ალბანეთის საკითხიც იქნა განხილული, როგორც სჩანს დასრულდა იმით, რომ ინგლისმა იცნო იტალიის კაპიტალის „სპეციალური ინტერესები" ალბანეთში. გამოყოფილ იქნა მხოლოდ ზოგიერთი ნავთიანი რაიონები, რომლებიც დასამუშავებლად ინგლისის ნავთის მრეწველებს გადაეცა.

ალბანეთის ნავთის საკითხმა აქტუალური ხასიათი მიიღო, მხოლოდ ომის შემდეგ და ინგლისის („ინგლის - სპარსეთის ნავთის კომპ." სახით), შეერთებული შტატების (ნავთის მრეწველთა კომპანია „სტანდარტ ოილ") და იტალიის ხანგრძლივი ფარული ბრძოლის შემდეგ 1926 წ. მეორე ნახევარში დასრულდა შემდეგი შეთანხმებით: მთელი საკონცესიოდ გასაცემად განზრახული ნავთიანი რაიონების მოედანი განსაზღვრულ იქნა 143.873 ჰექტარით (ჰექტარი უდრის 2.196 კვ. საჟენს, ალბანეთს სულ უჭირავს 40.000 კვ. კილომეტრი), საიდანაც ხვდა:

„სტანდარტ ოილის (შეერთ. შტატები)—51.500 ჰექტარი ანუ 35 პროც.; იტალიის სახაზინო რკინის გზებს—47.213 ჰექტარი ანუ 35,8 პროც.; ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპ.—34.412 ჰექტარი ანუ 23.9 პროც.; უცხოეთის სხვა ფირმებს — 10,748 ჰექტარი ანუ 7,5 პროც.

ტ. ბ.

„ახალი გზა"

22 იანვ. განაახლებს გამოსვლას ყოველკვირეული ჟურნალი

„ახალი გზა" სარედაქციო კოლეგიის შემდეგი შემადგენლობით

1) მ. ძამანაშვილი, 2) ა. ხელაძე, 3) პ. გელეიშვილი, 4) კ. სულაქველიძე, 5) კ. მაჭარაძე, 6) ს. გვიმრაძე, 7) ლ. კუპრაშვილი, 8) პ. ხურცილავა, 9) თ. შენგელია, 10) ს. ელიაძე.

ჟურნალის პირველ ნომერში სხვათაშორის მოთავსებული იქნება შემდეგი წერილები „ბრძოლა"-ს— კ. სულაქველიძე, ნუ ვაჭრობთ ხალხის სისხლით—ყარიბი, ახალ ავანტიურის სამზადისი—ივ. გომართელი, პასუხი რუბენ ყიფიანს და სხვებს—ა. ხელაძე, ჩემი შთაბეჭდილებანი—ნ. ელიავა, ერთა სოლიდარობისათვის—ლ. შენგელაია, ლექსები—გ. ქუჩიშვილის და სხვა.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის

ცენტრალურ ბიუროს პლენუმი

22 იანვარს, დღის 11 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს პლენუმი

ადგილობრივ ორგანიზაციების და თბილისის ადგილკომების მონაწილეობით

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მოხსენება.
2. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მოხსენება.
3. მოხსენებები ადგილებიდან.
4. მიმდინარე საკითხები.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

თავდაცვის ხელშემწყობი ს—ბა

მოსკოვი, 20 იანვარი. 19 იანვარს გაიხსნა საბჭოთა კავშირის თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს პლენუმი. პლენუმზე მოვიდნენ დელეგატები საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან. პლენუმი გახსნა ამხ. უნშლიხტმა.

„თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების წინაშე, — სთქვა ამხ. უნშლიხტმა, — წამოჭრილია თავდაცვისათვის ქვეყნის მომზადების რთული ამოცანა. ორი საზოგადოების — თავდაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების და ავიაქიმის — გაერთიანება ერთ მძლავრ საზოგადოებაში, უპირველეს ყოვლისა ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობით აიხსნება". (ადს).

საბჭოთა მუშაობა ავღანისტანში

ტაშკენტი, 20 იანვარი, ჰერათიდან (ავღანისტანი) იუწყებიან, რომ ბამბის მწმენდ ქარხანაში დასრულდა ელექტრონის სადგურის აგება.

ეს პირველი ელექტრონის სადგურია ჰერათში, რომელიც პირველად მიიღებს ელექტრონის სინათლეს. ქარხანა და ელექტროსადგური აშენებულია ავღანისტანის მთავრობის მიერ მიწვეულ საბჭოთა ინჟენერებისა და ტეხნიკოსების მიერ. (ადს).

43 გრადუსი ყინვა

ხაბაროვსკი, 20 იანვარი. ზეიცის ოლქში უკანასკნელ კვირას არაჩვეულებრივი ყინვებია — 43 გრადუსამდე რეომიურით. გზებზე იპოვნეს გაყინული ხალხი. (ადს).

ლენინის ინსტიტუტის დირექცია

მოსკოვი, 20 იანვარი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაადგინა, კამენევი გაანთავისუფლოს ლენინის ინსტიტუტის წევრისა და დირექციის თავმჯდომარის მოვალეობათაგან.

დამტკიცებულია ინსტიტუტის დირექციის ასეთი შემადგენლობა: ბუბნოვი, ბუხარინი, გუსევი, კრუპსკაია, მოლოტოვი, სკვორცოვ-სტეპანოვი და იაროსლავსკი.

დირექციის თავმჯდომარედ დანიშნულია სკვორცოვ-სტეპანოვი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მიიღო ლენინის ინსტიტუტის დირექციის წინადადება, რომ ბუხარინს მიენდოს ლენინის იმ კრებულის რედაქცია, რომელშიაც მოთავსებული იქნება ლენინის ახლად გამოქვეყნებული ფილოსოფიური შრომები; მიღებულ იქნა აგრეთვე კამენევის უარი ლენინის თხზულებათა მეორე გამოცემის სამი ტომის რედაქტორობაზე.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაადგინა, რომ ლენინის ინსტიტუტი ცეკას განყოფილების უფლებებით სარგებლობდეს. (ადს).

მასალები ლენინის შესახებ

ოდესა, 20 იანვარი. ოდესის პარტიის ლენინის ოთახში თავი მოუყარეს მეტად საინტერესო ექსპონატებს ლენინის ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ. ჯერ კიდევ საკმაო უცნობ დოკუმენტებიდან ყურადღებას იქცევს ლენინის წერილი პარიზიდან, რომელიც მან გამოუგზავნა რუმინელ რევოლიუციონერს ფრომას და რომელიც ხელთ იგდო მეფის ოხრანკამ. წერილში ლენინი სთხოვს ფრომას, რომ დახმარება აღმოუჩინოს ორ რუმინელ პოლიტიკურ ემიგრანტს.

გარდა ამისა მოგროვებულია დოკუმენტები, სადაც ოხრანკა სწერდა თავის ფილიალურ განყოფილებებს კონფისკაცია ეყოთ ლენინისა და ზინოვიევის ნაწარმოებთათვის, რომელსაც უკანასკნელად ავრცელებდენ ოდესაში. (ადს)

რევოლიუციონერ ამშენებელთა კონფერენცია

მოსკოვი, 20 იანვარი. ამას წინეთ ჰამბურგში ჩატარდა რევოლიუციონერ ამშენებელთა კონფერენცია.

საბჭოთა კავშირის ამშენებელთა ცეკაში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს კონფერენციის მიზნებისა და დანიშნულების შესახებ გადასცეს შემდეგი: ამშენებელთა მოძრაობის ძირითად ამოცანებათ კონფერენციას მიაჩნია მთლიანი საწარმოო კავშირის და ერთიანი ინტერნაციონალის შექმნა, რისთვისაც მოწვეულ უნდა იქნას საერთაშორისო მთლიანობის კონგრესი.

სამოქმედო პროგრამის შესახებ გააკეთეს მოხსენებები ყველა ქვეყნების წარმომადგენლებმა, გარდა საბჭოთა კავშირისა. მოხსენებების გარშემო გამოტანილია გადაწყვეტილებანი, რომელშიაც დასახულია ამშენებელთა პროფესიონალური მოძრაობის უახლოესი კონკრეტიული ამოცანები.

საერთაშორისო კომიტეტში არჩეულია 9 წევრი: სამი საბჭოთა კავშირიდან და თითო — გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ჩეხო-სლოვაკიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და ერთი წარმომადგენელიც წითელი პროფინტერნის ალმასბიუროდან.

კომიტეტის გენერალურ მდივნათ არჩეულია საბჭოთა კავშირის ამშენებელთა კავშირის თავმჯდომარე—ბოგდანოვი. (ადს).

ინჟენერ-ქალის პალმენის გამოგონება

ავიაქიმის სრულიად საკავშირო ყრილობის 19 იანვრის სხდომაზე ჩრდილო-დასავლეთ ავიაქიმის თავმჯდომარემ ამხ. **ვასილიევმა** სთხოვა ყრილობას საჩუქარის სახით მიეღო ლენინგრადის ქარხანა, „ბოლშევიკში" დამზადებული მძიმე ძალოვანი ძრავი. ეს ძრავი გამოგონილია საბჭოთა ინჟენერ-ქალის პალმენის მიერ ავიეტკებზე დასადგმელად.

ინჟენერ - კონსტრუქტორმა **პალმენმა** ყრილობის წინაშე გამოსცადა თავისი კონსტრუქციის ძრავი, ახსნა მისი მოწყობის ძირითადი პრინციპები და უამბო მისი აგების ისტორია. ეს—პირველი საბჭოთა ოცძალოვანი ძრავია, რომელიც იდგმება ჩრდილო-დასავლეთ ოლქის ავიაქიმის მიერ დამზადებულ ავიეტკებზე.

პალმენის უდიდესი მნიშვნელობის მუშაობა ყრილობამ აღნიშნა შემდეგი დადგენილებით: არჩეულ იქნას პალმენი ყრილობის პრეზიდიუმში, ეწოდოს მას ავიაქიმის აქტივისტის სახელი და დაჯილდოვებულ იქნას აქტივისტის ნიშნით. (ადს).

ამბულატორიული დახმარება

მოსკოვი, 20 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადებით მიმართა მოკავშირე რესპუბლიკებს—ყველა ზომები მიიღონ იმისთვის, რომ მუშა-მოსამსახურეთ ამბულატორიული დახმარება ეწეოდეს არა სამუშაო დროს. ამასთან ერთად სახკომსაბჭომ დაადგინა, რომ დამზღვევმა სალაროებმა არ უნდა აანაზღაურონ ის სამუშაო დრო, რომელსაც კარგავს მუშა-მოსამსახურე ამბულატორიული მკურნალობისთვის სამკურნალო დაწესებულებაში სიარულით. გარდა ამისა, სახკომსაბჭომ დამზღვევ სალაროებს მისცა უფლება შესწყვიტონ დახმარების გაცემა იმ დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის თუ ეს შრომის უნარდაკარგვა გამოწვეული იქნება ლოთობით, არ გაგრძელდება 3 დღეზე მეტს და იმ შემთხვევაში, თუ მკურნალობისთვის მიცემულ დღეებს შრომის უნარდაკარგული სხვა მიზნებისთვის გამოიყენებს. (ადს).

ოსმალეთ-საბჭოთა ვეტერინარული თათბირი

ბათომში გაიხსნა ოსმალეთ-საბჭოთა ვეტერინარული თათბირი ოსმალეთის მხრით თათბირის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს დელეგაცია **იბრაგიმ ტალი-ბეის** თავმჯდომარეობით, რომელშიაც შედიან ოსმალეთის სავეტერინარო დეპარტამენტის დირექტორი **ალი-რიზა-ბეი** და ვეტერინარულ ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორი **შეფიკ-ბეი**. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისარის მოადგილე ამხ. **ძამანაშვილი**, სავეტერინარო სამმართველოს უფროსი **ახმეტელი**, საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა კომისარიატის ბათომელი აგენტი—**სარქისბეგოვი**, პროფესორი **პავლუშკოვი**. თათბირის მიზანია —ორივე სახელმწიფოთა სავეტერინარო ორგანოების მუშაობათა შეთანხმება, საზღვრებზე სავეტერინარო დაცვის ხაზის დაწესება და აგრეთვე საქონლის ეპიზოტიის საწინააღმდეგო საერთო ღონისძიებათა გამომუშავება.

თათბირის ოფიციალური გახსნის შემდეგ, რომლის დროსაც საბჭოთა და ოსმალეთის დელეგატების სახელით წარმოთქმული იქნა მისასალმებელი სიტყვები, თათბირი შეუდგა საქმიან მუშაობას. ტეხნიკური კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ 18 და 19 იანვარის სალამოს სხდომები მოუწოდებს საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ შეთანხმების პროექტის მუხლობრივ წაკითხვას და განხილვას. თათბირის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და თითქმის ყველა კითხვებზე ორივე დელეგაციის თვალსაზრისები ეთანხმებიან ერთმანეთს. თათბირის მუშაობა გაგრძელდება 5 დღეს.

ძველი ხელოვნება

ლენინგრადი 20 იანვარი. გერმანიიდან დაბრუნდა ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. **შმიდტი**, რომელიც იქ გამგზავრებული იყო ძველი რუსეთის ხელოვნების გამოფენის მოსაწყობად. შმიდტის სიტყვით, გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბერლინში. გამოფენის შესახებ იკითხებოდა ლექციები, გერმანიის ყველა მიმართულების პრესა სწერდა მის შესახებ. გამოფენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ბერლინიდან გამოფენა გადატანილ იქნა კენიგსბერგში და კელნში, ხოლო თებერვალში გადატანილი იქნება ჰამბურგში.

გამოფენა გადატანილი იქნება ევროპის სხვა ქვეყნებშიაც, რადგან სამისო წინადადებები მიღებული აქვს გამოფენის კომიტეტს. (ადს).

ბელორუსიის ცაკის მე-4 სესია

მინსკი, 20 იანვარი გაიხსნა ბელორუსიის ცაკის მე-4 სესია. სესიის გახსნისას ბ. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. ჩერვიაკოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში დაიწყო გაძლიერებული კამპანია საბჭოთა კავშირის და კერძოთ, საბჭოთა ბელორუსიის წინააღმდეგ. საბჭოთა ბელორუსიამ, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნების საზღვარზე მდებარეობს, ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური დასავლეთ ქვეყნების მდგომარეობას და კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით განავითაროს თავისი მეურნეობა.

შემდეგი მოხსენება ბელორუსიის ტერიტორიის გაფართოების შესახებ გააკეთა ბ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ადამოვიჩმა**, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„გომელის და რეჩიცის მაზრების ბელორუსიასთან გაერთიანების შემდეგ, ბელორუსიის ფარგლებში გაერთიანებულია უკვე საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ის ადგილები, რომელნიც ბელორუსს მოსახლეობას უკავია. ამგვარად,—საბჭოთა კავშირის საზღვრებში განხორციელებულია ბელორუსიის მოსახლეობის ეროვნული მისწრაფებანი. მაგრამ ბელორუსიის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ პოლონეთის ბურჟუაზიის უღელქვეშ იმყოფება. იქ ბელორუსთა ეროვნული მოძრაობა დევნას განიცდის. ბელორუსთა გრომადა [illegible] —სეიმის დეპუტატები დაპატიმრებული არიან. ეს გარემოება [illegible] ამტკიცებს, რომ ბელორუსთა კულტურის და ბელორუსიის ხალხის განვითარება და წარმატება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ბელორუსიის ფარგლებში".

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბაიჯანი

ბაქოს კანალიზაცია

ბაქო. 20 იანვარი. ბაქოს საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა მუშაობის პროგრამა კანალიზაციის [illegible] და დაადგინა, რომ ამ მიზნით ასიგნებული თანხა—5.858.000 მან. მიმდინარე წელს არ უნდა იქნას შემცირებული (ადს).

ფასების დაკლების გარშემო

ბაქო, 20 იანვარი. გუშინ გაიმართა ფასების დაკლების რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისიის სხდომა, რომელზედაც დამტკიცდა კომისიის დებულება და მიღებულ იქნა შემდეგი მუშაობის გეგმა. ამჟამად კომისია შეუდგა „აზერიტიფაკის" ცენტრალური აპარატის გამოკვლევას. (ადს).

სომხეთი

სას.-სამეურნეო გადასახადი

ერევანი, 20 იანვარი. 15 იანვრამდე მთელს სომხეთში ერთიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადი შეგროვილია 800.374 მანეთის რაოდენობით, რაც მთელი გადასახადის 73 პროც. უდრის.

საბჭოების გადარჩევა

ერევანი, 20 იანვარი. ყველა სამხედრო ნაწილებში დაიწყო მუშაობა საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლად.

ბანკების საკრედიტო გეგმა

ერევანი, 20 იანვარი. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სომხეთში არსებულ ბანკების საკრედიტო გეგმა მიმდინარე საანგარიშო წლის მეორე კვარტალისათვის: საკავშირო სახ. ბანკის სომხეთის კანტორისათვის და მისი ფილიალური განყოფილებებისათვის 5.045.000 მან. რაოდენობით, კომუნალურ ბანკისათვის — 2.585.000 მან., საკავშირო კოოპერატიულ ბანკის განყოფილებებისათვის — 809.000 მანეთი, სომხ. სას. ბანკისათვის — 634.000 მან. და ერევნის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისათვის — 220.000 მანეთის რაოდენობით. (ადს).

მუშათა მოძრაობა

მუშა - ახალგაზრდობის ექსპლოატაცია გერმანიაში

უმუშევართა მრავალრიცხოვანი არმია საშუალებას აძლევს გერმანელ მრეწველებს განუსაზღვრელად ყვლიფონ მუშები. მრეწველობის ზოგიერთ დარგებში, სადაც საჭირო არ არის მაღალი კვალიფიკაცია ან განსაკუთრებული ფიზიკური ძალა, მწარმოებლები ხალისით იღებენ სამუშაოზე ახალგაზრდებს. სწორეთ ამ მუშების ჰასაკი საშუალებას აძლევს გერმანელ მრეწველებს ორმაგათ ყვლიფონ ისინი. აი როგორ დაახასიათა გერმანიის მუშა-ახალგაზრდობის მდგომარეობა პროფ. **ციმმერმანმა** სამთამადნო მუშათა ქრისტიანული კავშირის ყრილობაზე საარბრიუკენში:

1922 წ. ცნობებით გერმანიაში ითვლებოდა 1.500 ათასი ახალგაზრდა მუშა ნაცვლად 950 ათასისა — ომის წინ. 1922 წლიდან მუშა-ახალგაზრდობის რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ციმმერმანი იძულებული შეიქნა ეღიარებია, რომ ახალგაზრდობის ეს თითქმის ორმილიონიანი არმია მუშაობს და ცხოვრობს საშინელ პირობებში. „ამ ახალგაზრდა მუშებისათვის დაწესებული არაჩვეულებრივათ დიდი სამუშაო დრო გამხრწნელ გავლენას ახდენს მათ გონებრივ თვისებებზე, პროფესიონალურ განვითარებაზე და მათ ჯანმრთელობაზე".

განსაკუთრებით საშინელ პირობებში უხდებათ მუშაობა ახალგაზრდა ქალებს. ქ. ხემნიცში ჩატარებული გამოკვლევის შედეგების თანახმად, ახალგაზრდა მუშა-ქალების მხოლოდ 21 პროცენტი მუშაობდა 8 საათს, დანარჩენი 79 პროც. წარმოებაში ატარებდა 9—10 საათს. კელნში ახალგაზრდა მუშა - ქალების სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა მინერალური წყლების წარმოებებში უდრის 10—11 საათს. კინო - ლაბორატორიებში, სადაც მუშაობა განსაკუთრებით მავნებელია ჯანმრთელობისათვის, მუშა - ქალები ორი წლის შემდეგ ნაწილობრივ კარგავენ შრომის უნარს.

ზემოთ - მოყვანილი მაგალითები დამახასიათებელია მთელი გერმანიისთვის. ყველაფერი ეს ხდება ქვეყანაში, სადაც არსებობენ კანონები შრომის დაცვის შესახებ. გერმანიის კანონების მიხედვით ასეთი ექსპლოატაცია არა თუ დაუშვებელია, არამედ ისჯება კიდეც. მაგრამ ჰინდენბურგის რესპუბლიკაში კანონები შრომის დაცვის შესახებ მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

მოჯამაგირეთა მდგომარეობა შეერთებულ შტატებში

სასოფლო მეურნეობის კრიზისს შეერთებულ შტატებში თან სდევს მოჯამაგირეთა უზომო ექსპლოატაცია.

სასოფლო მეურნეობამ შეერთებულ შტატებში განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია 1918 — 20 წ. წ. ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სამრეწველო საგნების ფასი თანაბარ დონეზე იდგა და შეადგენდა ომის წინადროინდელი ფასების 240 პროცენტს.

უკვე 1921 წ. სამრეწველო საგნების ფასები დაეცა 160 პროც.-დი. კიდევ უფრო კატასტროფიული იყო სასოფლო - სამეურნეო საგნების ფასების დაცემა — 116 პროცენტამდი. შემდეგ წლებში „მაკრატლის" პირები რამდენიმეთ დაუახლოვდენ ერთმანეთს: სამრეწველო საგნების ფასები შეადგენდენ 160 პროც., სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების—13[illegible] პროც.-ს.

1925 წ. ამერიკელ ფერმების მოგება შეადგენდა მხოლოდ 70 პროცენტს 1918—20 წლის მოგებასთან შედარებით. ამავე დროს ამერიკელ მოჯამაგირეთა ფაქტიური ხელფასი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ომის წინ. თუ 1920 წელს სასოფლო - სამეურნეო მუშების საშუალო ხელფასი შეადგენდა 65,05 დოლარს თვეში, 1925 წ. იგი შემცირდა 47,68 დოლარამდი. ამრიგად სასოფლო - სამეურნეო მუშების ხელფასი 1925 წ. მხოლოდ 50 პროცენტით სჭარბობდა ომის წინანდელს (32,21 დოლარი). ფასების ინდექსი კი ამავე დროს 160 პროცენტს შეადგენდა.

ოფიციალური ცნობების თანახმად, 1925—26 წ. ამერიკელმა ფერმერებმა საიჯარო გადასახადისა და სესხების პროცენტების სახით გადაიხადეს 1.885 მილიონი დოლარი. იმავე პერიოდში ფერმერების ხარჯები შრომის ხელფასზე შეადგენდა მხოლოდ 1.216 მილიონ დოლარს.

ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკელ მოჯამაგირეთა შრომის ხელფასის შემცირება გამოწვეულია არა მარტო ფასების დაცემით სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე, არამედ იმითაც, რომ ფერმერები იხდიან პროცენტებს სესხებზე და საიჯარო გადასახადიც უჩვეულოდ გაიზარდა. ფერმერები ცდილობენ მოგების შემცირება, გამოწვეული ამ ორი გარემოებით, აანაზღაურონ მოჯამაგირეთა შრომის ხელფასის შემცირებით.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ამერიკელი მოჯამაგირენი გაჭირვებას განიცდიან არა მარტო სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის საერთო გაუარესების გამო, არამედ მათ აგრეთვე უხდებათ მოგერიება ფერმერთა შეტევის, რომლებიც ცდილობენ ორმაგათ გაყვლიფონ ისინი.

სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატის მდგომარეობას აუარესებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მათი უმრავლესობა შეუკავშირებელია. მხოლოდ სასოფლო - სამეურნეო მუშათა კავშირი, რომელიც „მსოფლიო ინდუსტრიალურ მუშათა კავშირს" ემხრობა, აწარმოებს ბრძოლას მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ეს კავშირი აერთიანებს შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო მუშების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს. მისი გავლენა ვრცელდება უმთავრესად სასეზონო სასოფლო - სამეურნეო მუშებზე, ე. ი. ისეთ მუშებზე, რომლებიც ფერმერებთან სამუშაოდ მიდიან მხოლოდ მოსავლის აკრეფის დროს.

ამერიკელ მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუარესება ეჭვს გარეშეა ხელს შეუწყობს სასოფლო - სამეურნეო მუშების უფრო მძლავრი პროფესიონალური ორგანიზაციის შექმნას შეერთებულ შტატებში.

ვ. ა.

პარტიული ცხოვრება

კომინტერნის ხაზს იცავენ

დონის - როსტოვი, 20 იანვარი. პარტაქტივის კრებაზე, რომელსაც დაესწრო ათას ხუთასი კაცი, კომინტერნის პლენუმის მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კოლაროვი.

აქტივმა ერთხმათ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია კომინტერნის პლენუმის მიერ საერთაშორისო მდგომარეობის სწორი შეფასება. აქტივი მთლიანათ ეთანხმება კომინტერნის გადაწყვეტილებებს ოპოზიციის ლიდერებისათვის გადაჭრილი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. (ადს).

თბილისის კომიტეტის პირველი პლენუმი

გუშინ, საღამოს თბილისის ალმასკომის დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობის პირველი პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი, თბილისის კომიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა.

რაიკომების წარმომადგენელთა თათბირის სახელით ამხ. **ფანცულაიამ** წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას პრეზიდიუმში წევრებად ამხ. კახიანი, სვანიძე, ასრიბეკოვი, ქავთარაძე ლ., ფანცულაია, ტერ-ვართანოვი, დარახველიძე, სუხიშვილი, ივანოვ-კავკასიელი, ფანცხავა და ჩიკიტინი.

კანდიდატებად: ამხ. სალუქვაძე, ტაქჭიევი, გოზალოვი, ჟუკოვი, პაპახჩიანი. ანაური ფირცხალავა, და ჯაფარლი.

წარმოდგენილი სია პლენუმმა დაამტკიცა ერთხმად.

პრეზიდიუმის სამდივნოში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: კახიანი, ასრიპეკოვი და სვანიძე. განყოფილებათა გამგეებათ არჩეულ იქნა: საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ ამხ. სვანიძე და აგიტპროპ-განყოფილების გამგეთ ამხ. ასრიბეკოვი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში და ა. ლ. კომკავშირში წარმომადგენლად გაიგზავნა ამხ. სვანიძე.

დასასრულ გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქტორად არჩეულ იქნა ამხ. ე. ასრიბეკოვი

ინი.

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

არჩევნები და მშრომელი ქალები

დაიწყო თემისა და ქალაქის საბჭოების გადარჩევის კამპანია. გადარჩეულ იქნება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოები.

ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობისათვის.

საბჭოების გადარჩევის კამპანია წარმოადგენს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან კამპანიას. ამიტომ აუცილებელია ამ კამპანიისათვის წინასწარი მომზადება, განსაკუთრებით მუშა და გლეხ ქალების მხრივ. ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ საბჭოების გადარჩევის გასული წლის კამპანიამ დაგვანახვა, თუ რამდენად არა საკმაო იყო მუშა და გლეხ-ქალთა მონაწილეობა ამ არჩევნებში და რამდენ სუსტი იყო მათი დარაზმულობა. ეს აღნიშნა კიდევაც საქ. კ. პ. (ბ) და ც. საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმმა და მიუთითა, რომ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოების საარჩევნო კამპანიაში ქალთა ჩაბმის საქმეს.

საარჩევნო კამპანიაში ჩვენი ამოცანაა —ვეცადოთ მივიზიდოთ და ჩავაბათ ამ კამპანიაში ყველა მუშა-ქალები, მუშებისა და მოსამსახურეების ცოლები ქალაქად, საშუალო, ღარიბი და მოჯამაგირე, და აგრეთვე მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელი ქალები სოფლად, რომლებიც სდგანან საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, რათა არ დაიკარგოს არც ერთი მათი ხმა. უნდა გაიზარდოს ქალთა რაოდენობა საბჭოებში. თუ გადავხედავთ გადარჩევის გასული წლის შედეგებს, დავინახავთ, რომ წინანდელთან შედარებით გაიზარდა ქალაქის და თემის საბჭოების და ალმასკომების წევრ ქალთა რიცხვი, მაგრამ ეს რიცხვი პროპორციით ბევრად ჩამორჩება იმ რაოდენობას, რომელიც უნდა იყოს ქალთა აქტივობისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიხედვით. ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას არა საკმაო ყურადღებით ამომრჩეველ ქალთა მიმართ, რასაც წელს ადგილი არ უნდა ექნეს.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა სათანადო ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და მისცა დირექტივა პარტორგანოებს გაძლიერებულ იქნეს საბჭოებში ქალთა პროცენტი, რა თქმა უნდა ეს გაძლიერება არ უნდა ხდებოდეს მექანიკურად. ადგილებმა უნდა შეასრულონ ცეკას პლენუმის მიერ მიცემული დირექტივა და ახალი არჩევნების დროს მიიღონ ზომები ქალთა პროცენტის გასადიდებლად საბჭოებში, აქტიურ და გათვითცნობიერებულ ქალთა კანდიდატურის წამოყენებით საარჩევნო კრებებზე.

წარსულ წლის ყველა სიძნელეთა და ნაკლულოვანებათა გათვალისწინებით, ჩვენმა საბჭოთა ორგანოებმა და მ. გ. ქალთა განყოფილებებმა უფრო მეტი ენერგიით და რწმენით უნდა ჩაატარონ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა. მათ უნდა მიიღონ ზომები ქალთა აქტივობის გასაძლიერებლად და ამ აქტივობის სწორი კალაპოტით წარსამართავათ. მათ უნდა ეცადონ, რათა საბჭოთა არჩევნებში მუშა და გლეხ ქალებმა მიაღწიონ უფრო მეტ დარაზმულობას, ვიდრე ეს იყო აქამდე.

ვ. ჯ—ძე.

ხშირად ასეთი კრებები

(დანირ-ჭაგანი, ქუთ. მაზ.)

9 იანვარს შესდგა კომუჯრედის, კომკავშირის, დელეგატ-ქალთა და ღარიბ-გლეხთა გაერთიანებული კრება. კრებაზე დასმული იყო ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. მოხსენება წარსულ საბჭოს მუშაობის შესახებ და წინასწარ სამზადისზე მომავალ საბჭოს არჩევნებისათვის. პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა თემ-ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯანჯღალაძემ. შეკითხვების შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს, როგორც უპარტიო ღარიბ-გლეხებმა, ისე ახალგაზრდობამაც, გამოირკვა, რომ წარსულ საბჭოში იყო როგორც ყოფილი მღვდელი, ისე მენშევიკების დროის მოხელეები. მიუხედავათ ასეთი უღირსი „წევრებისა", საბჭო მაინც განაგრძობდა მუშაობას, რადგან უზრუნველყოფილი იყო სათანადო პარტიულ ხელმძღვანელობით. საბჭოს წარსული მუშაობა კრების მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა რაი-პარტკომის წარმომადგენელი ამხ. ჯანჯღალია, რომელმაც ვრცლად გააცნო კრებას მომავალი არჩევნების დებულება. იყო მრავალი შეკითხვები, რის შემდეგ არჩეულ იქნა საარჩევნო კომისია. კრების დახურვის შემდეგ დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს დამსწრეებმა და მათ შორის უპარტიო ღარიბ-გლეხებმაც. ისინი მოითხოვდენ, რათა ასეთი კრებები ხშირად იქნეს მოწყობილი.

ბ—ა.

როგორ მიმდინარეობს პარტაღწერა

ფოთში

მოსამზადებელი მუშაობა თავის დროზე დაიწყო პარტაღწერისათვის. შექმნილი იქნა პარტკომთან აღწერის ჩამტარებელი კომისია საორგ. განყ. გამგის—იგივე აღწერის სამაზრო ორგანიზატორის ხელმძღვანელობით.

შედგენილი იქნა აღწერის რეგისტრატორთა კადრი სათანადო გამოცდილების და მომზადების მქონე ამხანაგებისაგან. ორგანიზაცია დაყოფილი იქნა აღსაწერ უბნებად.

3 იანვარს ჩატარდა უჯრედების მდივნების და რეგისტრატორების თათბირი.

მოწვეულ იქნა ყველა უჯრედების საგანგებო კრებები, სადაც განმეორებით ჩატარებულ იქნა მოხსენებები აღწერის შესახებ.

4 იანვარს დაიწყო რეგისტრატორთა მომზადება, რომელიც გაგრძელდა 9 იანვრამდე. ორი საათის მეცადინეობით და პრაქტ. ვარჯიშობით დღეში.

ორგანიზაციაში მხოლოდ 2 თემია, ასე რომ აღწერას დიდი დაბრკოლებები არ შეხვდება.

აღწერა დაიწყო 10 იანვარს დილით.

აღწერილი უნდა იქნას 700 კ. პ. (ბ) წევრი და კანდიდატამდე.

უჯრედების მდივანთა და რეგისტრატორთა შემადგენლობა ხალისით ეკიდება საქმეს, რაც მისი სასურველად ჩატარების მომასწავებელია.

ვლადი-მირ.

გორის მაზრაში

პარტ-აღწერის წინასწარი მოსამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად სამაზრკომმა დაუგზავნა ადგილებს აღწერის კრიტიკულ დღესთან შეფარდებით 12-15 დღით ადრე ყოველგვარი მასალები და ცირკულიარული მითითებანი, თემკომებმა და რაიკომებმა აღნიშნული საკითხი გადაიტანეს ყველა კომუჯრედებში და გააცნეს მათ აღწერის შინაარსი და მიზანი. ეს მუშაობა მაზრის მასშტაბით თავის დროზე დამთავრდა.

წინასწარვე იქნა გამოყოფილი სათანადო რეგისტრატორების კადრი 14 კაცის შემადგენლობით პარტ-აღწერის ჩასატარებლად მაზრაში. მოწვეულ იქნა რეგისტრატორთა თათბირი. ოთხი დღის განმავლობაში ისინი ეცნობოდენ ყველა სააღწერო მასალებს.

შევსებულ იქნა სანიმუშო ბლანკები ყველა რეგისტრატორების მიერ, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო იმ მხრივ, რომ აღწერის ყველა მასალები სწორად იქნა შევსებული. თათბირმა გასტანა 5 იანვრიდან 8 იანვრამდე, რის შემდეგაც ყველა რეგისტრატორს მიეცა საალწერო მასალები, სადისლოკაციო გეგმები და ისინი თავიანთ საალწერო უბნებში გაემგზავრენ 9 იანვარს.

მაზრა დაყოფილია 10 საალწერო უბნად, თვითეულ რეგისტრატორზედ მოდის 110-120 კაცამდე.

პარტ-აღწერის მსვლელობა, ადგილებიდან მიღებულ ცნობებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მ. ჯანჯალაშვილი.

ა. ლ. კომკავშირის კონფერენცია

რა გაკეთდა

(ა. ლ. კომკავშირის არსენალის რაიონის კონფერენციისათვის

აღმზრდელობითი მუშაობის საერთო მდგომარეობას ჩვენს რაიონში ახასიათებენ შემდეგი მთავარი მომენტები: კომკავშირის გადასვლა მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, მასების მიერ აქტივობის გამოჩენა აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, მისწრაფება სწავლის შეძენისადმი, როგორც პროფტეხნიკურ, ისე საზოგადოებრივი მუშაობის დარგში. ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის მიზნით, რაიონში მოწყობილია 23 პოლიტსკოლა, ქართული პირველი საფეხურის—8 სკოლა, რუსული 1 საფეხურის—8 სკოლა, სომხური 1 საფეხურის—1 სკოლა, ქართული მე-2 საფეხურის — 2 სკოლა, რუსული მე-2-ე საფეხურის—4 სკოლა, სომხური მე-2-ე საფეხურის—1 სკოლა, რომლებშიაც დამსწრეთა რიცხვი 60-65 პროცენტამდე აღწევს. პოლიტსკოლებში მსმენელებს დიდი აქტივობა ემჩნევათ. ამას წინად მოწვეულ იქნა მსმენელთა კონფერენცია, სადაც გამორკვეულ იქნა მთელი რიგი მტკივნეულ მოვლენებისა, რომელნიც ხელს უშლიდენ მეცადინეობის ნორმალურ მსვლელობას.

რაიკომთან დაარსებულია პოლიტგანათლების რაიონული მეთოდიური ბიურო, რომლის მიზანია მოისმინოს პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა ანგარიშები და შეიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებები იმ მტკივნეულ არანორმალურ მოვლენების აღმოსაფხვრელად. რომელთაც ადგილი აქვთ სკოლებში. რაიონულ მასშტაბით მოწვეულ იქნა ხელმძღვანელთა თათბირი, რომელმაც ცხადჰყო სწავლების მეთოდის სურათი: ხელმძღვანელების ზოგიერთ სკოლებში აწყობდენ საუბრებს, ლექციებს, ზოგიერთებში —საუბრების მაგიერ ადგილი ჰქონდა კითხვა-პასუხის სისტემას, რაც არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თათბირზე ეს საკითხი სერიოზულად გამორკვეულ იქნა და უმრავლესობამ მოიწონა „საუბრის მეთოდი"; უკანასკნელ დროს გაუმჯობესდა სკოლებში მეცადინეობა, აგრეთვე მსმენელების რიცხვიც გაიზარდა.

რაც შეეხება კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას, ის ვითარდება ახალგაზრდათა სექციების შემწეობით, რომელნიც არსებობენ მუშათა კლუბებთან. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდათა სექციების შემწეობით რაიონულმა კომიტეტმა მოახერხა ხულიგნობის აღმოფხვრა. ამას წინად რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მოაწყო მუშათა ცენტრალურ კლუბის ახალგაზრდათა სექციის გასამართლება, რომელმაც მეტად კარგი შედეგები მოგვცა მუშაობის დაყენების დარგში. რაიონში ფიზკულტურას პირველი ადგილი უჭირავს; კლუბებთან მოწყობილია რამდენიმე წრე, არსებობს რაიონული სპორტ-დარბაზი; რაიონთან არსებობს ფეხბურთელთა ძლიერი გუნდი „არსენალი", რომელსაც ამას წინად შეჯიბრი ჰქონდა ბაქოს უძლიერეს გუნდთან „პროგრეს"-თან; შეჯიბრზე დიდი გამარჯვება ხვდა წილად ჩვენს გუნდს. ახალგაზრდობა დიდათ ეტანება ფიზიკურ კულტურას. აქტივის აღზრდა ცოტათი მოისუსტებს, მაგრამ წარსულთან შედარებით, რაიონის აქტივი ჯანსაღია.

მენრიშვილი.

მესამე რაიონის მე-14 კონფერენცია

14 იანვარს გაიხსნა ა. ლ. კომკავშირის მესამე რაიონის პარტკონფერენცია. ცეკას ანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. **კობახიძე**, რომელმაც აღნიშნა ცეკას მუშაობის როგორც მიღწევები, ისე ნაკლი.

შემდეგ კონფერენციამ მოისმინა რაიკომის საანგარიშო მოხსენება და პიონერთა ბიუროს თანამოხსენება.

კონფერენციამ მოიწონა როგორც ცეკას, ისე რაიკომის მუშაობა.

კონფერენციის მუშაობა განსაკუთრებული სიცხოველით და დელეგატთა აქტივობით ჩატარდა.

თბილისის საქალაქო რაიონის მე-9 პარტკონფერენცია

15 იანვარს, სად. 5-საათზე, ამიერკავკასიის კომ. უნივ. შენობაში გაიხსნა თბილისის ორგანიზაციის საქალაქო რაიონის მე-9 პარტკონფერენცია.

საქმიან, საპატიო პრეზიდიუმის არჩევის და ამხ. **თოდრიას** მისასალმებელი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ცეკას საანგარიშო მოხსენება, რაიკომის მოხსენება და პიონერთა ბიუროს თანამოხსენება. მოხსენებების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც აღნიშნავდენ ცეკას და რაიკომის მუშაობის როგორც მიღწევებს, ისე ნაკლს.

კონფერენციამ მოიწონა ცეკასა და რაიკომის მუშაობა.

სენაკის მაზრის მე-9 კონფერენცია

ს. ა. ლ. კ. კ. სენაკის მაზრის მე-9 კონფერენცია გაიხსნა 8 იანვარს, საღამოს 6½ საათზე, ცენტრ. მუშათა კლუბში. კონფერენციას დაესწრო 71 დელეგატი და ცეკას წარმომადგენელი ამხ. გ. გარსევანოვი.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ამხ. ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ცხაკაია, მახარაძე, ჩაპლინი, გოგებია და რახმანი. შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმი 15 კაცისაგან შემდგარი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

კონფერენციის დღის წესრიგში დამტკიცდა შემდეგი საკითხები: 1. ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას ანგარიში, 2. სამაზრკომის ანგარიში და ბ. კომორგანიზაციის საბიუროს თანამოხსენება, 3. ღარიბ გლეხთა შორის მუშაობა და მომავალი საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ, 4. არჩევნები სამაზრკომის და სარევიზიო კომისიის.

პირველ საკითხის შესახებ კონფერენციამ მოისმინა ამხ. გარსევანოვის მოხსენება. მოხსენების შემდეგ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: კონფერენცია პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს სთვლის სწორედ და მუშაობას დამაკმაყოფილებლად. აღნიშნავს, რა რომ ცეკას მიერ ოპოზიციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები სავსებით მიზანშეწონილია, კონფერენცია ავალებს მას მომავალშიაც განაგრძოს დაუნდობელი ბრძოლა ლენინიზმის გამყალბებელთა წინააღმდეგ. შემდეგ სამაზ. კომიტეტის მუშაობის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. თოფურია, რომელიც შეეხო, როგორც ორგანიზაციულ მუშაობას, ისე კომკავშირელების აქტიურ ჩაბმას სხვადასხვა საზოგადოებრივ პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებში. შემდეგ რა კომკავშირის ზრდის საკითხს ორატორმა აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაცია ამ უკანასკნელ ხანებში იზრდება ჩქარი ტემპით, უმთავრესად ღარიბესი, ღარიბი და მოჯამაგირე ახალგაზრდობის ხარჯზე, ეს ხაზი უნდა გაგრძელდეს მომავალშიც. ორატორი ეხება აგრეთვე საკონტროლო კომისიის მუშაობას და აღნიშნავს, რომ საკონ. კომისიის მუშაობამ მოიტანა დიდი ნაყოფი, ორგანიზაციაში ყოველგვარი მავნე გადახრების აღმოსაფხვრელად.

მოხსენების გარშემო გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კომკავშირის ზრდა მომავალში უნდა გაგრძელდეს ღარიბეს და მოჯამაგირე გლეხთა ხარჯზე, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კომკავშირში [illegible] მავნე გადახრების წინააღმდეგ ბრძოლას და გაძლიერებული უნდა იქნას ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციებზე, საჭიროა აგრეთვე კომკავშირელების მეტი რიცხვის ჩაბმა საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება მორიგ საკითხზე, საბჭოთა არჩევნების შესახებ, კონფერენციამ ორატორის მიერ წამოყენებული დებულებები საფუძვლად დაუდვა რეზოლიუციის სამკომის მომავალი მუშაობის შესახებ საბჭოთა არჩევნების დარგში.

დასასრულ არჩეულ იქნა სამაზრო კომიტეტში 37 წევრი და 11 კანდიდატი, აირჩიეს აგრეთვე სარევიზიო კომისია.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. ა. ლ. კომკავშირის ცეკას.

პ. კორთხონჯია.

მუშა ქალთა შორის

ცეკას ქალთა განყოფილებაში

ორშაბათს, 17 იანვარს შესდგა ცეკას მუშა და გლეხ ქალ. შორის მომუშავე განყ. მორიგი თათბირი, თათბირს დაესწრო ამ.-კ. საოლქო კომიტეტის ქალთა შორის მომუშ. განყ. გამგე, თბ. ოლქ. და რაიონების, პროფკავშირის, ცეკავშირის და ჯანსახკომის წარმომადგენლები; დაესწრო აგრეთვე საკავშირო კომპარტიის მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყ. გამგე ამხ. არტიუხინა, რომელიც ამჟამად ჩამოსულია ამიერ-კავკასიაში ქალთა შორის მუშაობის დასათვალიერებლად, თათბირმა მოისმინა თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიონის ქალთა განყოფილების გამგის ამხ. მიხაილოვას მოხსენება. ამხ. მიხაილოვა ვრცლად შეეხო ქალთა შორის მუშაობას რაიონში და აღნიშნა, როგორც მთელი რიგი მიღწევებისა, ისე ნაკლიც. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში და შეკითხვებში მონაწილეობა მიიღო ამხანაგმა არტიუხინამაც, კამათის შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია ღონისძიებანი მუშაობის გამოსასწორებლად რაიონში. თათბირმა მუშაობა ქალთა შორის მეორე რაიონში დამაკმაყოფილებლად იცნო.

ე. ჩ.

ქალთა აქტივობა იზრდება

(სიღნაღი)

გასული წლის განმავლობაში სიღ. მაზრაში ქალთა შორის მუშაობას საგრძნობი გამოცოცხლება დაეტყო. ზაფხულში ჩატარებულმა ერთთვიანმა კურსებმა, რომელიც 25 ქალმა გაიარა, მეტათ სასურველი შედეგი მოგვცა. ხსენებული კურს-დამთავრებულები ამჟამათ ითვლებიან მაზრის სხვადასხვა ადგილას ქალთა ორგანიზატორებათ.

განსაკუთრებული აქტიობით და მასიურათ ჩატარდა სადელეგატო კრებების უკანასკნელი გადარჩევა. ამ გადარჩევაში მონაწილეობა მიიღო 2688 ქალმა; მაზრის ფარგლებში ამჟამათ არსებობს 35 სადელეგატო პუნქტი, ეს პუნქტები აერთიანებს 988 დელეგატ ქალს.

უნდა აღინიშნოს, რომ სადელეგატო კრებების მოწყობა მუსულმანურ მოსახლეობაში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა. სამაგიეროთ ქალთა განყოფილება მათში აწარმოებს მასიურ და ტეხნიკურ უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას.

გასულ წლის განმავლობაში ქალთა შორის მუშაობას სერიოზულ ყურადღებას აქცევდა კომპარტიის სამკომიც. მაზრკომის მიერ სპეციალურათ იქნა შესწავლილი მაზრაში ქალთა შორის მუშაობის მდგომარეობა და პერსპექტივები, რის შემდეგაც მაზრკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ქალთა განყოფილების მოხსენება. მოხსენების ირგვლივ მაზრკომის პრეზიდიუმმა სათანადო დირექტივები მისცა ქალთა განყოფილებას.

აღსანიშნავია ქალთა მასის აქტივობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს საბჭოთა არჩევნების კამპანიის განმავლობაში, ხსენებულ არჩევნებში საბჭოს წევრებათ გაყვანილ იქნა 160 ქალი. თემ-ალმასკომების პრეზიდიუმის წევრებათ ითვლება 11 ქალი. მაზრაში ამჟამათ მიმდინარეობს გეგმიანი აღმზრდელობითი მუშაობა სადელეგატო კრებებში, სადელეგატო კრებების ყოველ-დღიურ მუშაობას, მეთვალყურეობას და ხელმძღვანელობას უწევენ კომუჯრედებიდან გამოყოფილი პარტ-ორგანიზატორები. ხსენებულ ორგანიზატორების ხელმძღვანელობა სადელეგატო კრებებზე სუსტია, მაგრამ წინანდელთან შედარებით უკანასკნელს გაუმჯობესება ეტყობა.

ახლო წარსულში ჩატარებულ იქნა სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა რაიონული თათბირები. ამ თათბირებზე გაირჩა და დამუშავდა ქალთა შორის მუშაობის ყველა საჭირბოროტო კითხვები. სასურველია ხსენებული თათბირები იწვევოდეს პერიოდულათ.

დევინი.

ქალთა ორგანიზაცია გაჯანსაღდა

(ზესტაფონი)

ზესტაფონში დიდი ხანია არსებობს ქალთა ორგანიზაცია, მაგრამ მისი მუშაობა ერთხანს ძალზე მოისუსტებდა, ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქალები არ ეტანებოდენ ამ ორგანიზაციას და მეორეც ის, რომ არ იყო სათანადო ხელმძღვანელობა და არ ტარდებოდა სისტემატიურად კრებები. დღეს ქალთა ორგანიზაციის მუშაობა გამოცხოველდა, ჩაბმული იქნა მრავალი ქალი, როგორც მცხოვრებლების, ისე კომუნისტის ცოლები და კრებებიც სისტემატიურად იმართება. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანიზაციაში ჩაბმულია არა მარტო ქმარშვილიანი, არამედ მოწაფე ქალებიც. ორგანიზაცია მთელი თავისი ძალ-ღონით შეუდგა ნაკლთა გამოსწორებას. გამოყოფილი იქნა წრის ხელმძღვანელი ბიურო და სარედაქციო კოლეგია. ამჟამად ქალთა ორგანიზაცია უშვებს თავის ყოველდღიურ კედლის გაზეთს, სახელწოდებით „ქალთა ხმა" აგრეთვე თითეული წევრის აქტიური მუშაობით დაარსებული იქნა ქალთა შრომის სამრეცხველო, სადაც სწარმოებს მუშაობა.

ვ. გ—ძე.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენცია

ახალ-სენაკი, 20 იანვარი. დაიხურა განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენცია. კავშირის გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. არჩეულია ახალი გამგეობა.

ა. ლ. ქ. კ. კონფერენცია

ახალციხე, 20 იანვარი. დაიხურა ა. ლ. კ. კ. მე-9 სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 116 დელეგატი. მიღებულია რეზოლუცია, რომელიც იწონებს სამაზრო კომიტეტის მუშაობას. ახალი სამაზრო კომიტეტი არჩეულია 45 კაცის შემადგენლობით.

საბჭოების გადარჩევა

ხონი. 20 იანვარი. ქალ. ხონში დაიწყო მუშაობა სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად. სდგება ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლება-მოკლებულთა სიები. ქალ. ხონი 5 საარჩევნო უბნად არის დაყოფილი. (ადს).

ჭიათურა, 20 იანვარი. საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. თემები დაყოფილია 9 საარჩევნო უბნად. თემსაბჭოს წევრები ანგარიშს აბარებენ სოფლის აქტივის კრებებს (ადს).

აფხაზეთი

საავიაციო ლატარიის ბილეთები

სოხუმი, 20 იანვარი. დღეიდან შეუდგენ საავიაციო ლატარიის ბილეთების გაყიდვას. ბილეთებს დიდის ხალისით ყიდულობენ.

საბჭოების გადარჩევა

სოხუმი, 20 იანვარი. მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების გადარჩევისათვის გაძლიერებული ტემპით სწარმოებს. მაზრები დაყოფილია საარჩევნო უბნებად, ზოგიერთ მაზრებში დაიწყო საარჩევნო კამპანია. არჩევნები მოხდება ამომრჩეველთა მშობლიურ ენაზე. მიმდინარე წელში სასოფლო საბჭოებში 50 კაცზე არჩეულ იქნება ერთი დელეგატი, შარშან კი 100 კაცზე არჩევდნენ ერთ დელეგატს (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

მკაცრი ზამთარის მსხვერპლნი

ცხინვალი, 20 იანვარი. ამ დღეებში ანდორეტის რაიონში სოფ. ანდორეტის მახლობლად დაიღუპა ერთი ქალი სამი მცირეწლოვანი ბავშვით. საღამო ხანს ისინი სახლში ბრუნდებოდენ მეზვრისხევიდან. გზაში მათ მოუსწრო ქარბუქმა, რომლისგანაც ისინი დაიღუპენ. მათი გვამები ორი დღის შემდეგ ნახეს. (ადს).

ლიახვი ყინულმა დაფარა

ცხინვალი, 20 იანვარი. მდ. ლიახვი ყინულმა დაფარა. ცხინვალის ჰიდრო-ელექტრო სადგურმა მუშაობა შესწყვიტა, ვინაიდან მის არხში წყალი გაიყინა. (ადს).

სპირტის ქარხანა ამუშავდა

(აბასთუმანი, ზუგდიდ. მ.)

ს. აბასთუმანში არსებობს სპირტის სახდელი ქარხანა. ქარხანა 1924 წლიდან დღემდე არ ამუშავებულა, რადგანაც დაზიანებული და დანგრეული იყო.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქარხანას ყურადღება მიაქცია სამაზრო აღმასკომმა და პარტიულ კომიტეტმა. აღძრეს შუამდგომლობა ცენტრის წინაშე, რათა გამოეგზავნათ ქარხნისათვის სპეციალისტი და საქმის მცოდნე პირი.

გამოგზავნილი იქნა გამგის თანამდებობაზე ვლადიმერ ტუსკია და ბუღალტრად ლუკა გაგუა.

მოსვლის თანავე ეს ამხანაგები შეუდგენ დაზიანებული ქარხნის მოწესრიგებას. შეაკეთეს დაამზადეს საჭირო მასალები.

ქარხნის მუშები თვით ადგილობრივი მცხოვრებნი არიან.

მნახველი.

კინო პირველად ნახეს

(ს. ხატისთელეთი, თბილ. მ.)

სოფ. ხატისთელეთში თბილისის მაზრის პოლიტ-განის მოძრავი კინოს მიერ გაშვებულ იქნა სურათი „არსენა ჯორჯიაშვილი".

ამ სოფელში, მიუხედავათ იმისა, რომ ის თბილისს დაშორებულია ათიოდე ვერსით, კინო-სურათის გაშვება პირველია.

უნდა აღინიშნოს ის მდგომარეობაც, რომ როცა კინოს თანამშრომლებმა სურათის დადგმის წინ დაასახელეს ის, ბევრი დარწმუნებული იყო, რომ არსენა ჯორჯიაშვილი წარმოდგენილი იქნებოდა სცენაზე და კინო არც ეგონათ.

კინოს მოსვლისა და სურათის გაშვების დაწყებამდე ორიოდე საათილა დარჩენილიყო, რომ სათანადო აგიტაციით გაწეულიყო დამსწრეების შემოსაკრებად.

ამ შემთხვევაში დასაფასებელია ოღონ კინოს თანამშრომლები.

სურათის გაშვება დაწყებული არ იყო, რომ დარბაზი თითქმის გაივსო მაყურებლებით. ამას ზედ დაერთო ის გარემოებაც, რომ ხალხს ზურგი ჰქონდა შექცეული სცენისაკენ, სადაც კინო-აპარატი იდგა და სცენის მოპირდაპირე ადგილას წარმოდგენის მაგიერ „არსენა ჯორჯიაშვილის" სახით რაღაც ახალ სანახაობას უცქეროდენ.

გაიგის რა ეს არაჩვეულებრივი რამ, მე-2 და მე-3 ნაწილის გაშვების შემდეგ დარბაზში უკვე აღარ იყო ხალხის ტევა.

მეორე დღეს არა ნაკლები ხალხი მოაწყდა კლუბს. იმის გასაგებად თუ როდის იქნებოდა მორიგი კინო.

ნოე მახარაძე.

გავაძლიეროთ სავეთილო დახმარება

(შორაპანი)

შორაპნის მაზრაში არის მხოლოდ ერთი საქონლის ექიმი, რომელიც ვერ აუდის იმდენ სოფლებს და უწამლობის გამო მრავალი საქონელი ეღუპებათ გლეხებს. ხშირათ მოჰყავს გლეხს ავათმყოფი ხარი ექიმთან, მაგრამ ექიმის მოუცლელობის გამო უკანვე ბრუნდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ქალაქ ზესტაფონში არ არის ამბულატორია, რომ გლეხებმა დახმარება მიიღონ და თავის მარჩენელი საქონელი ავათმყოფობისაგან გადაარჩინონ.

საჭიროა შორაპნის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას და ზესტაფონში დაარსოს მესაქონლეობის დამხმარე ამბულატორია. აგრეთვე საქონლის ექიმის სამუშაო განისაზღვროს ზესტაფონის რაიონით და სხვაგან სხვა ექიმი დანიშნოს.

ვარ. გოგლიძე.

წერილები

რატომ მოისპო ტყე?

(ჩიბათის თემი, გურია)

ტყეების მნიშვნელობაზე მრავალი წერილი დაბეჭდილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. კიდევ მეტი თქმულა. მიუხედავათ ამისა ტყის დაუზოგველი ჩეხა აქა იქ მაინც გრძელდება. ტყეების ჩეხას აქვს მრავალი მიზეზები, მაგრამ უმეტესად ეს გამოწვეულია ტყის მცველების დაუდევრობით.

ზოგიერთი ტყისმცველები სამსახურს გულგრილად ეპყრობიან, არ ცხადდებიან სამუშაოზე. ამ დროს იხელთებენ ტყის მტაცებლები და შესევიან ტყეს. ზოგი ტყისმცველი თავის „ნაცნობებს" და „მოყვრებს" ტყუილათაც აჭრევინებს ტყეში ხეს. ყველა ეს იწვევს ტყის განადგურებას.

ჩიბათში, მაგალითად, ტყის გაჩეხვას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ: აქ აშენდა კერძო პირების მიერ ხერხის ქარხანა; რომ დაინახეს ქარხანა, ტყეები ერთიანად გაიჩეხა. ამას მიემატა ის გარემოება, რომ ტყისმცველები სამსახურს პირნათლად არ ასრულებდნენ. ტყეების გარდა სრულიად გაიჩეხა ეზოები. ეხლახან ეს ქარხანა დაკეტეს (მგონია სამაზრო აღმასკომმა) მექარხნეებმა ბოლოს ხრიკები მოიგონეს, დაიკავეს ხელში ქაღალდი დადიან სოფელში, გლეხებს ეუბნებიან: „მომიწერეთ ხელი, გაიგზავნით ამას მაზრაში, და ამუშავდება ქარხანა და თქვენც ისარგებლებთო".

საჭიროა სამაზრო აღმასკომმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. სრულიად უნდა დაიკეტოს ეს ქარხანა. ამ ქარხანამ გაანადგურა მთელი ამ თემის ტყე. ისეთი ტყეები, რომელიც 20 წელიწადს არ დაილეოდა, ამ სამი წლის განმავლობაში სრულიად გაჩანაგებულია. იჩეხებოდა უებართვოდ ხეები. საჭიროა ამ ქარხნის სამუდამოთ დაკეტვა ან სახელმწიფოზე გადაცემა.

მ. ჩ—ლი.

მკვლელობა ზეკარის უღელტეხილზე

(ზეკარის თემი, ქუთაისის მაზრა)

უკვე მერამდენიმეჯერ მოხდა ზეკარის უღელტეხილზე მშრომელი გლეხების გაძარცვა ყაჩაღების მიერ. როგორც გამოირკვა, ყაჩაღები არიან ახალციხის მაზრიდან. იმათმა წაართვეს მგზავრებს: ცხენები და ყოველივე რაც გააჩნდათ. გარდა ამისა სახალხო მიმდევრებიდან იპარავენ საქონელს და გაჰყავთ საზღვარ გარეთ.

უკანასკნელათ. წარსული წლის ნოემბრის რიცხვებში, ყაჩაღები დახვდენ მგზავრებს, წაართვეს მათ ცხენები და რაც თან ჰქონდათ. შემდეგ გაძარცულები წაიყვანეს დასაწყვეტათ, მაგრამ ორი მგზავრთაგანი გაექცათ, დანარჩენები: ანდრონიკ მსხილიძე, კიაზო მსხილიძე და ვანო ტაბიძე შეკრეს ბაწრით და დახოცეს.

ამის შემდეგ ყაჩაღები ნადავლით გაიქცენ საზღვარგარეთ. ამ შემთხვევას უნდა მიექცეს ყურადღება და როგორც ყოფილა ძველათ, ისე ეხლაც უნდა დააყენონ დარაჯი მილიცია ზეკარის უღელტეხილზე.

დათიკო ლომიძე

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

როგორ ჩავიყვანოთ ქალები არჩევნებში

როგორც საერთო მოვლენა, ქალთა აქტივობა საზოგადო მუშაობაში ყოველთვის სუსტია. ისეთივე მდგომარეობაა საბჭოთა არჩევნებშიაც. მიუხედავათ იმისა, რომ წარსულ არჩევნებში ქალთა მონაწილეობა წინანდელთან შედარებით გაცილებით დიდი იყო, ამომრჩეველ ქალთა საერთო რიცხვი ბევრათ უკან რჩებოდა მამაკაცების რიცხვს. ასევე ითქმის საბჭოების ხელმძღვანელ ორგანოებში ამომრჩეველ პირთა შესახებაც. ქალები მათ შორის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში უნდა მიღებულ იქნას ზომები, რათა რაც შეიძლება მეტი ქალები იყოს ჩაბმული არჩევნებში. გარდა იმისა, რომ ამ საქმეში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია სადელეგატო კრებებს, საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული სხვა შესაძლებლობანიც.

ჩვენ ვლაპარაკობთ არჩევნების ტეხნიკურ ორგანიზაციის მხარეზე, რომელიც ისე უნდა მოეწყოს, რომ მხედველობაში იქნას მიღებული ქალთა მონაწილეობაც. პირველყოვლისა აქ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის თემები, სადაც მაჰმადის სარწმუნოების მოსახლეობა ცხოვრობს. ჩვენ ვიცით, რამდენად დაბეჩავებული და ჩაგრულია მამადიანი ქალი. მათ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ უნდა შესდგეს ქალთა ცალკე კრებები, რომლებსაც უხელმძღვანელებენ ქალი საზოგადოებრივი მუშაკები. უამისოთ მაჰმადიანი ქალის არჩევნებში ჩაყოლება შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება ქალთა დანარჩენ ფენებს, აქაც საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომ გლეხ ქალს ადვილათ შეეძლოს საარჩევნო კრებაზე გამოცხადება. ამიტომ, თუ კი კომისიას ამის ძალა შესწევს, ის უნდა ეცადოს საარჩევნო კრებების თითქმის ყველა მნიშვნელოვან უბანში მოწყობას, რომ ჩვილ ბავშვიანი და ოჯახურ საქმეებით დატვირთული ქალი დიდხან არ მოსწყდეს საქმეს, როცა ის კრებაზე გამოცხადდება.

ამას გარდა წინასწარ სამზადისის დროს ქალთა დელეგატებმა უნდა მიიღონ ზომები არჩევნების მნიშვნელობის განმარტებისათვის. მათ უნდა მოაწყონ ქალთა ჯგუფური საუბარი ამ საკითხზე და უნდა შეეცადონ ამხანაგური განმარტებებით დაინტერესონ გლეხი ქალები მომავალი არჩევნებით.

ზამთრის პირობებში, როცა გლეხი ქალები შედარებით მოცლილი არიან, ეს არც ისე ძნელი საქმეა, თუ კი მონდომება იქნება.

წინასწარი საარჩევნო სამზადისის ვადა, სადაცაა დასრულდება. საჭიროა აქედანვე იქნას მიღებული ზომები მშრომელ ქალთა ორგანიზაციულათ დასარაზმავათ, მათი საბჭოთა არჩევნებში ჩაბმის მიზნით.

ქერა.

ტკბილი ენა ვერ უშველის

(ს. ონჭეევი, რაჭა)

შარშანდელი არჩევნების დროს ონჭეევი ქაშქვის თემს ეკუთვნოდა. მაგრამ წელს თემების შეერთება მოხდა და ონჭეევი წედისზე მიიყვანეს. შარშანდელ არჩევნებს სრული საბჭოთა დემოკრატიული ხასიათი ჰქონდა და პარტიამაც სათანადო ხელმძღვანელობა გაუწია მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხობის საბჭოთა არჩევნებში ჩაბმას. მაგრამ ზოგიერთი უღირსი ელემენტები მაინც მოხვდენ საბჭოებში.

წელს წედის თემზე ერთად მიუყვანილი. ამ თემში არჩევნებისათვის სამზადისის მუშაობა სწარმოებს. რაჭის მაზრის პარტკომი დიდ ყურადღებას აქცევს სამზადისს, არჩევნების დროს კულაკი გლეხობა ბევრს ცდილობს მოხერხებული ტკბილი ენით თავისი კაცები გაიძვრინოს საბჭოში, მაგრამ მათ აღარავინ უჯერებს.

მეთვალყურე.

თბილისის საბჭო

ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს

პოლიგრაფიული წარმოების მუშათა კრება

ქალაქის რაიონის საარჩევნო კომისია იუწყება, რომ ორშაბათს, 24 იანვარს, მოწვეულია პოლიგრაფწარმოების მუშათა საერთო კრება.

დღის წესრიგში დგას ანგარიში თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა—მომხ. ამხ. მეძლდიშვილი, პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა—მომხ. სტოლცკი, „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა და „წითელარმიელის" სტამბა—მომხ. ამხ. ნიკიტინი, პოლიგრაფსკოლა და პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბა—მომხ. ამხ. ნაზარეტიანი.

სამშაბათს, 25 იანვარს, ქალაქის აღმასკომის 1-ლი სტამბა მომხ.—არეშიძე, ცეკავშირის, განათლების სახალხო კომისარიატის და კავკ. წ. დრ. არმიის სტამბა—მომხ. ამხ. ნიკიტინი, პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია—მომხ. ამხ. ხარაზიანი.

ქალაქის რაიონის საარჩევნო კომისიისაგან

ქალაქის რაიონის საარჩევნო კომისია იუწყება, რომ დღეს, 21 იანვარს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს, ადგილობრივი ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოს, საქართველოს გზათა სამმართველოს, ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს, „ხლებოპროდუქტ"-ის, „ზაკპოგრუზის", ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სამრეწველო ბანკის, რუსეთის კომუნალური ბანკის განყოფილების, საკავშირო კოოპერატიული ბანკის, კომუნალური ბანკის, ელექტრო-ბანკის, „ზაკპოგრუზ"-ის და ა.-კ. წყალთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც დასმულია ანგარიში თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. მომხს. ამხ. გვაშელი.

საღამოს 6 საათზე ძერჟინსკის სახელობის კლუბში მთავარ პოლიტსამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა კრება—მომხ. ამხ. ასრიევი.

საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში თბილისის აღმასკომის, საქ. ც. სტატ. სამმართვ. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოსამსახურეთა კრება.

საღამოს 7 საათზე სახ. პოლიტეხნ. ინსტიტუტის შენობაში ინსტიტუტის სტუდენტების კრება—მომხ. ამხ. ვართაპეტოვი.

ჩვენი საბჭო

(წერილი სენაკიდან)

ქალაქის საბჭომ თითქმის დაასრულა თავისი მუშაობის ერთი წელი. კიდევ რამოდენიმე დღე და ის ადგილს დაუთმობს ახალ საბჭოს.

რა გააკეთა ქალაქის საბჭომ ამ ერთი წლის განმავლობაში?

ქალაქის მთავარ ზრუნვას შეადგენდა ქუჩების შეკეთება. ამ მხრივ დიდ შედეგებს მივაღწიეთ: მოყრილია ყველა ქუჩებზე ხრეში. რუსთაველის და აკაკის ქუჩებზე შეკეთებულია ქვაფენილი. ხიდები და ბოგირები კარგადაა შეკეთებული. ამ საქმეში ქალაქის საბჭოს გვერდში ედგა ქალაქის ღარიბი მოსახლეობა. ქალაქის ბაღი გამშვენიერებულ იქნა ახალი მცენარეებით და მას გარს ევლება ქვის გალავანი.

რუსთაველის და ლენინის ქუჩების ორივე გვერდებზე დარგულია ახალი დეკორატიული მცენარეები ნაცვლად აკაცია და თუთის ხეებისა.

ქალაქის ელექტრონის ხაზი გაფართოებულია. ახალი ხაზი გაყვანილია 1160 საჟენის სიგრძით. ქალაქში არ იყო საბაზრო ფეხისადგილი, ასეთი გაშენებულია საბაზრო ადგილას, რამაც სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა გააუმჯობესა.

სკოლები შეძლებისდაგვარათ შეკეთდა და ისინი უზრუნველყოფილ იქნენ შეშით. რომ ქალაქის მოსახლეობას მიეღო განათლება და სულიერი საზრდო, ქალაქის საბჭომ მუშათა კლუბს 1.200 მან. დახმარება მისცა. ამით მუშათა კლუბმა მოაწყო დრამატიული დასი, რომელიც სისტემატიურად დგამს წარმოდგენებს, ამ დახმარების საშუალებით გაძლიერებულია აგრეთვე კინო-სურათების ჩვენება.

გაშენებულ იქნა საკირე, რაზედაც 12 ათასი მანეთი დაიხარჯა. საკირე კარგი ხარისხის კირს წვავს და კირი ბლომათაც სდგება. წელს ქალაქის საბჭოს თავისი საკუთარი ბიუჯეტი აქვს, რაც ნორმალურ კალაპოტში აყენებს ქალაქის მუშაობას.

ამ დადებით მხარეებთან ერთად უნდა აღვნიშნო ის უარყოფითი მხარეები, რაც თან დაჰყვებოდა ჩვენს ქალაქის საბჭოს მუშაობას.

სუსტი იყო ელსადგურის მუშაობა, მიუხედავათ ახალი დინამოს დადგმისა, სადგური მოსახლეობას ვერ აწოდებდა დროზე სინათლეს, (ხშირი იყო დინამოს გაფუჭება, კინოს მუშაობის გამო საერთო ძლიერების შესუსტება და სხვა).

ნაკლები ყურადღება ექცეოდა გარეუბნის რაიონში ელხაზის გაყვანას. ერთ-ერთ ქუჩის მცხოვრებთ 6 თვეზე მეტია განცხადება უდევთ ელხაზის გაყვანის შესახებ, მაგრამ ამ განცხადებამ ჩაილურის წყალი დალია. ეს დაუშვებელია.

ვერ იქნა და ვერ მოგვარდა წისქვილის აშენება. ხსენებული დავალება ნაკაზში ჰქონდა ქალაქის საბჭოს.

ვერ მოგვარდა აგრეთვე აბანოს მოწყობა. ესეც ნაკაზში ჰქონდა ქალაქის საბჭოს. ზოგიერთი სკოლები დროზე ვერ იქნენ შეკეთებულნი. მომავალმა საბჭომ ეს უნდა გამოასწოროს.

ბაჩა.

წითელ ჯარში

სამხედრო მუშაობა მოსახლეობას შორის

სამხედრო მუშაობის წარმოება მოსახლეობას შორის დაიწყო დღიდან ქართული წითელი ჯარის გადასვლისა ტერიტორიალურ სისტემაზე.

პირველ ხანებში ამ მუშაობაში ჩაბმული იყო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ირიცხებოდა ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში. შემდეგში კი მუშაობამ მიიღო ფართო ხასიათი. და ცვალებად წითელარმიელთა გარდა სამხედრო საქმიანობაში ჩაბმულ იქნენ წვევამდელნი, მოწაფეები და სხვა მოქალაქენიც.

სამხედრო ხასიათის მუშაობა სოფლად და ქალაქად ტარდება სამოქალაქო კლუბებთან, საწარმოო დაწესებულებებში და ქოხ-სამკითხველოებთან დაარსებულ სამხედრო კუთხეების საშუალებით. გასულ წელთან შედარებით სამხედრო კუთხეების მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. ვინაიდან გამგეებათ დანიშნული არიან ცვალებადი წითელარმიელები, რომლებიც კარგათ იცნობენ სამხედრო საქმეს. ყოველ კუთხესთან მუშაობს სამხედრო საქმის შემსწავლი და სასპორტო წრე. სროლის საქმის შესასწავლად კუთხეებთან მოწყობილია ტირი.

ჯარის ნაწილები, რომელთა გამგებლობის ქვეშ იმყოფებიან სამხედრო კუთხეები, შეძლებისდაგვარათ უწევენ მათ დახმარებას: აწვდიან სამუშაო გეგმებს, მასალას, ლიტერატურას და ხელსაწყოებს.

ნაწილების ასეულები უწევენ კუთხეებს აგრეთვე ცოცხალ ხელმძღვანელობას. ასეულები სისტემატიურად გზავნიან კუთხეებში მეთაურებს და პოლიტმუშაკთ, რომლებიც ადგილობრივ ეცნობიან საქმის ვითარებას.

მიუხედავათ ამისა, ჩვენი სამხედრო კუთხეები, რომლების რიცხვი დღეს-დღეობით აღწევს 96-დი, დიდ გაჭირვებას განიცდიან. გარდა იმ დახმარებისა, რომელსაც უწევს მათ ჯარის ნაწილები, მათ არ მოეპოვებათ არავითარი სხვა სახსარი. ადგილობრივი დაწესებულებები არ უწევენ მათ არავითარ დახმარებას.

სამხედრო კუთხეები საჭიროებენ რეგულიარულ მატერიალურ დახმარებას, რათა მათ მიეცეს საშუალება გაშალონ თავისი მუშაობა და გაამართლონ თავისი დანიშნულება. ამისათვის კი საჭიროა, რომ სამხედრო კუთხის ხარჯთ-აღრიცხვა შეტანილ იქნეს იმ კლუბის ან ქოხ-სამკითხველოს ხარჯთ-აღრიცხვაში, რომელთანაც არსებობს ესა-თუ ის სამხედრო კუთხე. ამითი სამხედრო კუთხეები საგრძნობლად მომაგრდებიან და მათი მუშაობა იქნება გაცილებით ნაყოფიერი, ვიდრე არის ეხლა.

ი. ზ.

სამხედრო წვევამდე მზადება

იანვრის 17 საქართველოში დაიწყო 1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის სამხედრო წვევამდე მზადება. მზადება წარმატებით ტარდება. ყველა ახალგაზრდა, რომელსაც ეხება მზადების გავლა, გამოცხადდა სათანადო წერტებზე. დამალვის და მზადების აცილების ცდას არა აქვს ადგილი.

სამოსწავლო წერტები კარგათ არის მოწყობილი. წერტებზე არის ლენინის კუთხეები, გაზეთებით და ლიტერატურით.

მოწაფეთათვის მოწყობილია განსაკუთრებულ სამოსწავლო წერტები. თბილისში მოწაფეთათვის არსებობს სამი წერტი: 1) სახელმწიფო უნივერსიტეტთან, 2) მე-2-ე საცდელ-საჩვენებელ სკოლასთან და 3) მე-70 შრომის სკოლასთან.

წვევამდე მზადება დამთავრდება 17 თებერვალს.

საფეიქრო მრეწველობა

ამჟამად საქართველოში მუშაობს 15 საფეიქრო წარმოება. აქედან 11 სახელმწიფო წარმოებაა, ორი კოოპერატივი და ორიც კერძო. საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატის აბრეშუმის სახვევი და საქსოვი ფაბრიკა გადაცემულია ამ ცოტა ხნის წინად მოწყობილ შინამრეწველობის კოოპერაციის საორგანიზაციო ბიუროს უწყებაში. ხელახლა გაიხსნა საქართველოს ს. მ. უ. ს. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, რომელიც საექსპლოატაციოთ გადაეცა აბრეშუმის ტრესტს „საქართველოს აბრეშუმს".

ფეიქართა კავშირის ცნობებით საქართველოს საფეიქრო წარმოებანი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად განმტკიცდენ და მაგარ ნიადაგზე დადგენ.

დიდი პერსპექტივები აქვს აბრეშუმის დამამუშავებელ და მაუდის მრეწველობას საქართველოში. საფეიქრო მრეწველობის განვითარებასთან ერთად უმჯობესდება მუშა-ფეიქართა მდგომარეობა.

ა. კ. მებამბეობის კომიტეტთან არსებული მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების ფონდი გაიზარდა 13 ათას მანეთამდე. აქედან განზრახულია 10.500 მანეთი მოხმარდეს საბინაო მშენებლობას. ა. კ. მებამბეობის კომიტეტთან მოწყობილია საგანგებო საბინაო კომისია.

უმუშევრობა საქართველოს ფეიქართა შორის შეადგენს კავშირის ყველა წევრების ათ-ოცდაათ პროცენტს. მატყლის დასახარისხებლად წარმოებულ სეზონური მუშაობის გამო უმუშევრობამ იკლო 9 პროცენტამდე. თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივში ამჟამად მუშაობს 119 უმუშევარი ფეიქარი.

ფეიქართა კავშირმა სახ. „შერსტ"-თან ხელშეკრულება დასდო იმის შესახებ, რომ მატყლის დახარისხება მთლიანად თბილისში სწარმოებდეს. ეს ღონისძიება საგრძნობლად ამცირებს უმუშევარ ფეიქართა რიცხვს.

იტალიის გენერალური საკონსულოს ცნობა

საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველომ იტალიის გენერალურ საკონსულოსაგან თბილისში მიიღო შემდეგი ცნობა:

„იტალიის გენერალური საკონსულო თბილისში აცხადებს შემდეგს: უცხოეთის პრესა უკანასკნელ ხანებში ავრცელებს ცნობებს იტალიის აგრესიული პოლიტიკის შესახებ. ასეთი ცნობების გავრცელება საბიოეო ანტი-იტალიანური მანევრია. იტალიის ნამდვილი და ერთადერთი პოლიტიკა—მშვიდობიანობის პოლიტიკა".

სახალხო კომისართა საბჭოში

8 პროც-იანი სახელმწიფო სესხი

სახკომსაბჭომ დაავალა ფინსახკომს და ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს შეისწავლოს საქართველოს სახელმწიფო და სავაჭრო - სამრეწველო დაწესებულებათა ფინანსიური მდგომარეობა და გამოარკვიოს შეუძლიან თუ არა ხსენებულ დაწესებულებათ შეიძინონ თავიანთ სარეზერვო ფონდიდან 8 პროც-იანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციები.

ადმინისტრატიული წესით გამოსახლება სადგომებიდან

დეკრეტის პროექტი — მოქალაქეთა დაქირავებულ სადგომებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების პირობების და წესის შესახებ, გადაეცა წინასწარ განსახილველად კომისიას ამხ. ვარძიელისა, მათიკაშვილის, მიქაძის, ძმანაშვილის, ჭიჭინაძის და მამულაიშვილის შემადგენლობით.

სამხრეთ-ოსეთის ტელეფონიზაცია

სახკომსაბჭოს 1926 წ. 26 ოქტომბრის დადგენილების შესაცვლელად ეთხოვა ა.-კ. სახკომსაბჭოს დაავალოს ს.ს.რ.კ. ფოსტა - ტელეგრაფის ა.-კავკასიის რწმუნებულის სამმართველოს, რათა ს. ოსეთის ტელეფონიზაციისათვის საჭირო ხარჯები გაიღოს თავის სახსრებიდან.

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგური

სახკომსაბჭომ მოისმინა ინჟ. მაშევსკის მოხსენება აჭარის-წყალის ჰიდრო - ელსადგურის შენების მსვლელობის შესახებ. ხსენებულ სადგურის სამუშაოთა ნორმალურ პირობებში ჩაყენების მიზნით, მიმდინარე წელში, ეთხოვა ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს, მიეცეს ხსენებულ სადგურის საამშენებლო კომიტეტს 1926—27 წ. მეორე კვარტალში 600.000 მან., მესამე კვარტალში — 500.000 მან. და დანარჩენი მეოთხე კვარტალში.

ფინსახკომის შუამდგომლობა

ფინანსთა სახალხო კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიების მეორე თავმჯდომარედ დაინიშნა საგადასახადო განყოფილების გამგის თანაშემწე ამხ. მ. ჯაფარიძე.

1926 წ. აღწერა

სახკომსაბჭომ მოისმინა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მოხსენება 1926 წ. დემოგრაფიული აღწერის დამთავრებისა და მისი შედეგების შესახებ.

აღწერის წარმოების ჩატარებისათვის სახკომსაბჭოს დადგენილებით, მადლობა უნდა გამოეცხადოს მთელ სააღწერო პერსონალს და ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციას, რომელთაც აღწერის საქმეს დახმარება გაუწია.

აღწერის მასალების დასამუშავებლად სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოსთან უნდა დაარსდეს აღწერის მასალების დამმუშავებელი განყოფილება. სამმართველოს დაევალა წარმოუდგინოს დასამტკიცებლად სახკომსაბჭოს ხსენებულ განყოფილების შტატი და ხარჯთაღრიცხვა, ამასთანავე წინადადება მიეცა მას მასალების დასამუშავებლად მოიწვიოს სათანადო მომზადებისა და კვალიფიკაციის მქონე მომუშავენი.

შინა - მოსამსახურეთა შესახებ

სახკომსაბჭომ მოიწონა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი — დაქირავებულ შინა - მოსამსახურეთა შრომის პირობების შესახებ. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა „საქართველოს ცაკ-ს.

კრედიტები

სოფლის მეურნეობას

სოფლის მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების საქმის მოგვარების მიზნით, საგეგმო კომისიამ დროულად და აუცილებლად სცნო გადაწყვეტილ იქნეს საკითხი ფუნქციების გამიჯვნის შესახებ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა და კოოპერატიულ ბანკებს შორის.

კრედიტების მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის ჩვენში მიმდინარეობს რამოდენიმე ხაზით: 1) მოკლე და გრძელვადიანი საწარმოო კრედიტი, 2) კრედიტების მიწოდება მომარაგების ოპერაციებისათვის, 3) კრედიტების მიწოდება სამრეწველო კოოპერატიულ წარმოებებისათვის, 4) კრედიტების მიწოდება საშინამრეწველო-სასარეწავო კოოპერაციისათვის და 5) კრედიტების მიწოდება დამზადება-გასაღების ოპერაციებისათვის.

საგეგმო კომისიის აზრით, კრედიტების მიწოდების საქმე უნდა დაეკისროს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს, რადგან მას აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ფართო და კარგად დაყენებული ქსელი.

რაც შეეხება კრედიტების მიწოდებას დამზადება-გასაღების ოპერაციებისათვის, საგეგმო კომისიას ამჟამად მიზანშეწონილად არ მიაჩნია ფუნქციების გამიჯვნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკსა, საკავშირო კოოპერატიულ ბანკსა და სახელმწიფო ბანკს შორის, რადგან ამას შეუძლია ხელი შეუშალოს დამზადების საქმის წარმატებით ჩატარებას.

ტყვარჩელის ქვანახშირი

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აწყობს სპეციალურ კომისიას ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობების რაციონალური ექსპლოატაციის საკითხების დასამუშავებლად. კომისიაში მოწვეულნი არიან გეოლოგები-ინჟენერები და ქვანახშირის საქმის სპეციალისტები. იმ ამოცანების შესასრულებლად, რომელიც დაკისრებული აქვს კომისიას, საჭიროა დაახლოებით ორი წელიწადი. კომისიამ ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს ტყვარჩელის ქვანახშირის ბუდობები გეოლოგიური თვალსაზრისით, დაამუშაოს ნახშირის მოპოვების გეგმა, შეადგინოს მაღაროების მოწყობის პროექტი, გამოარკვიოს მაღაროების ყოველდღიური, თვიური და წლიური ნაყოფიერება, აგრეთვე მაღაროების მოსაწყობი საექსპლოატაციო ხარჯები, მოგება და სხვა.

ლითონი

ლითონის შემოზიდვის საქმეს დეკემბერში გაუმჯობესება დაეტყო. დეკემბერში განზრახული იყო ამიერ-კავკასიაში 135.000 ფუთი ლითონის შემოზიდვა. შემოიზიდა კი 126.000 ფუთი ლითონი, რომელიც რესპუბლიკებს შორის ასე განაწილდა: საქართველოში—17.000 ფ., ლითონი, სომხეთში—14.000 ფუთი, ხოლო აზერბეიჯანში—90.000 ფ.

კანაფი

ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ პრინციპიალურად სასურველად სცნო კანაფის ნათესების სივრცის გაფართოება ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

სახელმწიფო მრეწველობის და ვაჭრობის ყრილობების საბჭოს წინადადება კანაფის ნათესების ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ პრინციპიალურად მიუღებლად სცნო; საბჭომ აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ვერ მიაღწევს მიზანს.

ერთად-ერთ ღონისძიებათ, რომელიც ხელს შეუწყობს კანაფის ნათესების სივრცის გაფართოვებას, აღიარებულია ფასების სწორი პოლიტიკა.

კანაფის ფასების დაწესების და კანაფის ნათესებისათვის კრედიტების მიწოდების პირობების გამომუშავების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს არსებული ფასები და ის გარემოება, რომ კანაფის კულტურის გაფართოებამ არ გამოიწვიოს ბამბის ნათესების სივრცის შემცირება.

აბრეშუმის თესლი

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მეაბრეშუმეობის განყოფილების ინიციატივით, სწარმოებს წინასწარი სამზადისი, მომავალ საააბრეშუმო პერიოდისათვის აბრეშუმის თესლის საკმაო რაოდენობით დასამზადებლად.

მიმდინარე წლის განმავლობაში სულ დამზადებული იქნება 120 ათას კოლოფამდე აბრეშუმის თესლი, რაც სრულებით დააკმაყოფილებს რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამჟამად სწარმოებს ბაზარზე გამოსაშვები თესლის ავკარგიანობის შემოწმება, ისე რომ გაყიდული თესლი არ შეიძლება ცუდი ხარისხის აღმოჩნდეს.

გარდა ამისა წელს, შესაძლოა მოხერხდეს აბრეშუმის ყვითელი თესლის დარიგებაც, რომელსაც იძენს სა-ბა „საქართველოს აბრეშუმი" ასტრახანში. ყვითელი თესლი ეღირება თითო კოლოფი 3 მან. 90 კაპ. (6 მისხალი).

თესლის დარიგება დაიწყება აპრილის შუა რიცხვებიდან. ამის გამო საჭირო არის, რომ მეაბრეშუმეებმა თავი შეიკავონ გადამყიდველისაგან თესლის შეძენისაგან და შეიძინონ იგი მხოლოდ საააბრეშუმო სადგურებში და პუნქტებში.

ტყეების გამოკვლევა

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაავალა სატყეო განყოფილებას გაზაფხულის დადგომისთანავე შეუდგეს ტყეების გამოკვლევას და მოწყობას.

პირველ ხანებში განზრახულია მოწყობილ იქნეს 140 დესეტინა ტყე. გამოკვლევის დროს შედგენილი იქნება ცალკე სატყეო რაიონების დახასიათება და სხვადასხვა ჯიშების აღრიცხვა.

გამოკვლევისა და მოწყობის შემდეგ შემუშავებულ იქნება ტყეების საექსპლოატაციო გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნება ტყეების რაციონალურ სამეურნეო გეგმასთან.

სას.-სამ. მანქანები

ა.-კავკასიისათვის

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო მანქანების სააქციო საზოგადოებას, გუშინ აცნობეს, რომ ავსტრიაში უკვე დამზადდა და ამიერ-კავკასიაში გადმოსაგზავნათ უკვე იტვირთება 50.000 ცალი ცელი. ამასთან ერთად, გერმანიაში დაიტვირთა გადმოსაგზავნათ 500 ცალი გუთანი, ხოლო ინგლისიდან გადმოგზავნილია 1.200 ტონა შაბიამანი. აღნიშნული საქონელი მიღებული იქნება თებერვლის შუა რიცხვებში. მიღებისთანავე იგი განაწილებული იქნება რესპუბლიკებს შორის.

ამ დღეებში „ზაკსელმაშმა" ხელშეკრულება დასდო საფრანგეთის ერთერთ ფირმასთან ვენახის სარწყავ „ვერმორელი"—სისტემის მანქანებზე, რომლის დამზადება საფრანგეთში უკვე დიდის წარმატებით სწარმოებს.

აგრო-პროპაგანდა

ახალი პროგრამები

აგროდახმარების განყოფილებამ შეიმუშავა პროგრამები მოკლევადიან კურსების მოსაწყობად სხვადასხვა სასოფლო - სამეურნეო რაიონებში. პროგრამები უკვე შემუშავებულია სასოფლო - მეურნეობის შემდეგ საკითხებზე: მევენახეობა, მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა; მეფუტკრეობა; მიწათმოქმედება, მეთამბაქოობა და კოოპერაცია.

აგროკაბინეტები

აგროდახმარების განყოფილებამ მიიღო სამაგალითო ექსპონატები მაზრის საგრონომო კაბინეტების მოსაწყობად.

აგრო-წიგნთსაცავები

აგროღონისძიების განყოფილებამ გადასცა სამაზრო აგროორგანიზაციებს პოპულიარული ბროშიურები სხვადასხვაგრონომიულ საკითხებზე 127 ცალის რაოდენობით.

ამ დღებში გაგზავნილ იქნა რაიონებში 58 სხვა და სხვა სასოფლო - სამეურნეო ხასიათის წიგნი ღარიბ აგრო - წიგნთსაცავების შესავსებათ.

კალოშები

დეკემბერში ამიერ-კავკ. შემოზიდულ—74.000 წყვილი კალოში, რომელიც ასე განაწილდა: საქართველოში—17.000 წყვილი კალოში და აზერბეიჯანში—57.000 წყვილი.

ლითონის მრეწველობა

მელითონეთა კავშირის პრეზიდიუმმა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საქართველოს ლითონ-ტრესტის მოქმედება და ამ ტრესტში გაერთიანებულ ლითონის ქარხნების დღევანდელი მდგომარეობა. საკითხის დაწვრილებითი შესწავლისა და განხილვის შემდეგ პრეზიდიუმმა შემდეგი დასკვნა გამოიტანა: ლითონ-ტრესტის ქარხნების არსებული მოწყობილობა, საქარხნო კორპუსების და ქარხნების ადგილმდებარეობა ისეთი შეუფერებელია და მოძველებული, რომ ამჟამად სრულებითაც ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტეხნიკურ მოთხოვნილებებს. აუცილებლივ საჭიროა და დროულია დაისვას საკითხი საქართველოს მთელი ლითონის მრეწველობის რეკონსტრუქციის შესახებ, რომლის დროსაც გამოყენებული უნდა იქნეს თანამედროვე ტეხნიკის მიღწევები იმ მიზნით, რომ საქართველოს ლითონის მრეწველობა სათანადო სიმაღლეზე დადგეს. საჭიროა ამ თავითვე დაიწყოს საკითხის დამუშავება ლითონის ქარხნების ახალ ადგილზე, გადატანის შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას. ამჟამად ქარხანას მისასვლელი გზები არ უდგებათ და შეუძლებელი ხდება მათი შემდეგში გაყვანა, რაც შეუძლებელს ხდის ქარხნების რაციონალურ გამოყენებას. უგზოობის გამო მეტად ძვირი ჯდება ქარხნის ნაწარმოების გადაზიდ-გადმოზიდვა. ლითონის წარმოების რაციონალიზაციის მიზნით კავშირი საჭიროდ სცნობს, რომ ლითონის ტრესტმა ყველა წვრილ შეკვეთებს თავი მოუყაროს პატარა მექანიკურ ქარხანაში, რომელსაც უნდა დაეკისროს როგორც თბილისის, ისე პროვინციის, მიმდინარე საჭიროებათა დაკმაყოფილება.

კავშირს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე გაფართოებულ იქნეს სასწორების, საწოლების და სხვა ფართო მოხმარების საგნების წარმოება, უნდა მათი ღირსების გაუმჯობესება და ღირებულების გაიაფება. ყველა ამ ზომებს მოჰყვება ზემოხსენებულ ნაწარმოებთა ბაზრის გაფართოება. კავშირი საჭიროდ სცნობს აგრეთვე არსენალის მექანიკური ქარხნის დატვირთვის გადიდებას ამ ქარხანაში შეკვეთების გადატანის საშუალებით. რაც შეეხება ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხანას, კავშირმა საჭიროდ სცნო ჩათახის ქარხნის ნახევრად შეჩერება მიმდინარე წლისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნა რკინის მადნის ახალი მარაგი, კავშირი საჭიროდ სცნობს ახალ ღუმელის მოწყობას ჩათახის ქარხანაში და აგრეთვე ახალი ქარხნის მოწყობას ხის მშრალად გამოხდელად. საქართველოში ავტოტრანსპორტის განვითარების გამო, და ძვირად ღირებული ავტომობილების გამრავლების გამო, კავშირი წინადადებას აძლევს ლითონატრესტს მოაწყოს თბილისში ახალი ავტო-სახელოსნოები და გადააკეთოს ამჟამად არსებული სახელოსნოების შენობები. კავშირის წინადადებით კალინინის სახელობის ლითონის ქარხანა გადატანილი უნდა იქნეს სხვა უფრო შესაფერ შენობაში, რომელიც თანამედროვე ტეხნიკისა და ჰიგიენის პირობებთან იქნება შეგუებული. კალინინის სახელობის ქარხანას უნდა დაეკისროს მცირე შეკეთებისა და სამონტიორო ხასიათის შეკეთების შესრულება, უკანასკნელ ხანებში ლითონ-ტრესტის მუშაობის გაუმჯობესება კავშირს მიაჩნია მერყევ და დროებით მოვლენად, რადგან ლითონ-ტრესტის ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის პროპორციის დარღვევის გამო ტრესტი ფინანსიურად გაჭირვებას განიცდის. ტრესტი აუცილებლად საჭიროებს გრძელვადიან სესხის აღებულ შეკვეთების შესასრულებლად.

მუშათა ცხოვრება

სურათი ქარხნის ცხოვრებიდან

დილის 6 საათია. 26 კომუნარის სახელობის ქარხნის საყვირის ხმა გაისმის. ეს ნიშანია სამუშაოზე წასასვლელად მომზადებისა. ჯერ კიდევ ღამის ბინდია. თენდება. ქარხანა ახმაურდა.

ზამთრის დღეა. თოვს.

— აბა ნომრები ჩამოვკიდოთ, ნომრები—დაიყვირა ერთმა მუშამ და გაეშურა მარკის მისაღებად. მას მიჰყვენ სხვები.

ქარხნის შენობა ფართო და დიდია.

რა მზადდება აქ?

აქ მზადდება საწოლები, სასწორები, მანქანის ნაწილები, ზაჰესის მავთულის ბოძები და სხვა მრავალი.

საწოლების დამამზადებელი საამქრო ეს პირველი და თვალსაჩინო განყოფილებაა ქარხნის. ზეთში გასვრილი და გათუთხნული მუშები დაზგასთან სდგანან და ჩაქუჩით ხელში ცეცხლით გავარვარებულ რკინას სცემენ. ზოგი სასწორების ცალკე ნაწილებს ამზადებს, ზოგი რკინის მავთულის ბადეებს ქსოვს, ზოგი რკინებს ღუნავს მოხდენილი მანქანების საშუალებით და სხვ.

— ვისი შეკვეთით ამზადებ ამ საწოლებს?— ვეკითხები ერთ მუშას.

— ეს საწოლები, ამხანაგო, მზადდება საავათმყოფოსთვის, წარმოება - დაწესებულებებისათვის, ამბულატორიებისათვის და სხვ.

— აქეთ საშრობი განყოფილებაა — მიმითითა მუშა სარდიონმა.

— ვნახოთ ესეც, რა ხდება აქ. უამრავი სხვადასხვა დამზადებული საწოლები სიცხის ბუღშია გახვეული. ხელოვნურ სითბოს საშუალებით შრება საღებავი.

სულ სხვა სურათია თუჯის ჩამომსხმელ განყოფილებაში. 2500 გრადუსიანი სითბო სწრაფად ადნობს თუჯს და სქელი წყალივით მოძრაობს გამდნარი ლითონი. ბრწყინვას თუჯი, აბგარა წყაროს შავ ნაკადს მოგვაგონებს იგი, როდესაც მილის საშუალებით ეს გადამდნარი თუჯი ისხმება ლითონის ჯამში. აქედან კი გადადის ფორმებში.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინად გაჩქარებულ მუშაობა სწარმოებდა აქ ზაჰესის მავთულების ბოძების დასამზადებლად. ამჟამად მედგრად ამართული ზაჰესის ელექტრო - დენის მავთულის ბოძები დამზადებულია ამ ქარხანაში.

— შრომის ხელფასით კმაყოფილი არიან მუშები? შევეკითხე მუშა სერგოს, რომელიც სასწორისათვის თუჯის ცალ გვერდს ამზადებდა.

— უწინ. ამ სამი თვის წინათ არ იყო მოგვარებული შრომის ხელფასის თავის დროზე დარიგების საკითხი, მაგრამ დღეს მდგომარეობა სავსებით შეიცვალა. ეს საკითხი მოგვარებულია. ეხლა ჯამაგირს თავის დროზე ვღებულობთ.

ქარხანაში კულტურული მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ადგილობრივ გამოდის კედლის გაზეთი, მოწყობილია წითელი კუთხე. შრომის დაცვის საკითხებსაც ყურადღება ექცევა. დაცულია რვა საათის სამუშაო დღე.

შრომის დისციპლინა მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული. ეს არის ჩვენი ქარხნის მიღწევები.

დინამო - მანქანები მოუსვენრად ქშინავენ და ხმაურობენ და ამ ხმაურში იკარგება ადამიანის ხმა.

ი.

გააფართოვეთ სადგ. ნავთლუღი

ვის შეუძლია სთქვას, რომ ამ.-კავკ. რკ. გზ. მესვეურთ არ ჰქონდეთ დიდი სურვილი ტრანსპორტის აღორძინების. ვინ არ იცის, რომ თათბირი თათბირზე იმართება საჭირო ზომების გამოსამუშავებლად, რომ შემცირებულ იქნას რკინისგზაზე უბედური შემთხვევები და რკინისგზის ყველა ნაკლი გამოსწორებული იქნეს.

ყველაფერი ესენი საჭიროა და გასაგებიც მაგრამ მე მაკვირვებს ერთი გარემოება: როთ აიხსნება, რომ სადგურ ნავთლუღის მეზობელ სადგურებში სავაზო და საქონლის მატარებლები 2—8 საათები და ხანდახან მეტი დგანან. სადგ. ნავთლუღს კი მათი მიღება ვერ ეხერხება და ამის გამოსასწორებლად ჯერ არაფერი გაკეთებულა. მე მახსოვს ომის დროს 1915—16 წ. მარტო ბაქოს მხრიდან საათში თითო და მეტ მატარებლებს იღებდენ ნავთლუღში მათ გადააკეთებდენ და ისევ შეუჩერებლივ ისტუმრებდენ ფრონტებზე. ამისათვის მაშინ ნავთლუღში იყო მოწყობილი სამი საალუმო ფარეხი ე. წ. აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის პარკები. ამჟამად მხოლოდ ჩრდილოეთის და ნაწილობრივ სამხრეთის ფარეხები მუშაობენ, აღმოსავლეთის ფარეხი კი სრულიად გაუქმებულია.

ჩემის ფიქრით ზემოხსენებული ფარეხები, რომ სათანადოდ მოეწყოს, სადგ. ნავთლუღში გამვლელ თუ გადასაკეთებელ შემადგენლობისათვის საკმარისი იქნება მისაღები ლიანდაგები და ერთი წუთითაც არ შეჩერდება მატარებელთა მწყობრი მსვლელობა.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

მემანქანე ფარკანა.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან მუშების დახმარებით

„ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი მთელი ჩვენი მუშაობის ერთი ძირითადი საკითხთაგანია" — ვკითხულობთ პარტიის თბილისის კონფერენციის რეზოლუციაში. ბიუროკრატიზმი უშლის ხელს ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას, მეურნეობის წინსვლას. ბიუროკრატიზმი ეღობება წინ ჩვენი მართვა-გამგეობის მშრომელთა ფართო მასებთან დაახლოვებას და სცემს მუშური სახელმწიფოს პრესტიჟს ამ მასების თვალში. ერთი სიტყვით ბიუროკრატიზმი — ძველი წესწყობილების ნაშთი, მოკალათებულია ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფო აპარატში და გასაქანს არ აძლევს მას. ჩვენი პირიგი და გადაუდებელი ამოცანაა სისტემატიურად და ყოველდღიურად ვაწარმოოთ დაუნდობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. რაც არ უნდა იქნეს ჩვენ უნდა გავანთავისუფლოთ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ბიუროკრატიზმის კლანჭებიდან. უნდა გავამარტივოთ, გავაიაფოთ და დავუახლოვოთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მუშურ-გლეხურ მასებს.

ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში მოკალათებული არიან, ძველი ჩინოვნიკები, რომელთაც დიდხანს უმუშავნიათ თვითმპყრობელობის დროს დაწესებულებებში. ვინ არ იცის, თუ როგორ იყო გაღრმავებული ბიუროკრატიზმის სულით ძველი დაწესებულებები. უბრალო ცნობის მისაღებად საჭირო იყო 8—9 საათიანი გავლა. ჯერ ერთი მოხელისათვის უნდა მიგემართათ, ის მეორესთან გაგაგზავნიდათ, ეს უკანასკნელი კიდევ მესამესთან, და ასე უბრალო საქმეზე მთელი დღეები უნდა გაგეცდინათ.

ან და მაგალითად დაწესებულებისთვის საჭირო იყო რაიმე უბრალო, მაგრამ აუცილებელი ნივთი, ურომლისოდაც მუშაობა ფერხდებოდა, ამის შესახებ შეაყენებდნენ საქმეს, რომელიც იგზავნებოდა ერთი დაწესებულებიდან მეორეში და ბოლოს სამინისტრომდეც კი მიაღწევდა. ამასობაში მთელი თვეები და ხანდახან წელიწადიც კი გადიოდა. დრო იკარგებოდა, ქაღალდი იხარჯებოდა, საქმე კი საქმედ ხდებოდა.

ასეთ მაგალითებს ჩვენს დროშიაც მრავლად აქვს ადგილი. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთმა ძველმა ჩინოვნიკმა ძველი მმართველობის მეთოდი - ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულებებშიც შეიტანეს და გაამეფეს. საქმე ის არის, რომ ძველი ბიუროკრატიზმის გავლენას ზოგი ჩვენი ამხანაგებიც მოექცნენ. ამ მდგომარეობას უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოს. პარტიამ და ხელისუფლებამ მუშათა ფართო მასებთან ერთად დაუნდობელი ბრძოლა უნდა აწარმოოს ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად. თუ ამ საქმეში მუშები არ ჩაერიენ, აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს ბიუროკრატიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში, ისე შორს ვერ წავალთ. მხოლოდ მუშებთან ერთად შევისძლებთ ჩვენ ამ ბოროტების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

საბჭოს მუშაობა მოიწონეს

19 იანვარს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის საქონლის სადგურის და მეორე დამცველი რაზმის მუშა - მოსამსახურეთა და მათი ოჯახების საერთო კრება.

კრებას აურაცხელი ხალხი დაესწრო. დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: მოხსენება თბილისის ქალაქის საბჭოს მუშაობის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება წაიკითხა ქალაქის აღმასკომის კეთილ - მოწყობის განყოფილების გამგემ ამხ. სიხარულიძემ. მომხსენებელმა გასაგები ენით და დაწვრილებით შეეხო საბჭოს მუშაობას. ამ საბჭოს მიღწევებს და უარყოფით მხარეებს.

მომხსენებელს მისცეს აუარება შეკითხვები, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო დიდძალ მუშებმა, რომლებმაც აღნიშნეს საბჭოს მუშაობის ზოგიერთი ნაკლულოვანებანი და მისცეს სათანადო მითითებანი ნაკლის გამოსასწორებლად. გაცხოველებულ კამათის შემდეგ კრებამ მოიწონა ქალაქის საბჭოს მუშაობა და მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

— „სადგურ თბილისის მოძრაობის დარგის, საქონლის სადგურის და ა.-კ. რკ. გზ. მეორე დამცველი რაზმის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებამ ოჯახის წევრებთან ერთად მოისმინა რა თბილისის აღმასკომის წევრის ამხ. ვ. სიხარულიძის მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ, დღიდან მისი არჩევისა ხსენებულ წარმოებათა გაერთიანებული კრება სიამით იწონებს და დამაკმაყოფილებლად სცნობს მის მუშაობას. საზოგადო კრება აღასტურებს, რომ მხოლოდ მუშურ - გლეხურ ხელისუფლებას შეუძლია დაიცვას ხალხის ინტერესები და ამ სწორედ ამ ხაზს და მუშაობას ატარებს აღმასრულებელი კომიტეტი. საერთო კრება დარწმუნებულია, რომ საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქალაქის განაპირა უბნების გაუმჯობესებას".

მუშკორი ჯავ.

ვაკის მომავალი

(მუშის წერილი)

როგორც სჩანს გაზეთებში მოთავსებულ წერილებიდან ვაკეს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მომავალში ის იქნება დაგეგმილი და გალამაზებული, რაც ხელს შეუწყობს მის მჭიდროდ დასახლებას.

რამოდენიმე წლის შემდეგ შეიძლება ვაკე ქალაქის ერთი ულამაზეს კუთხედ იქცეს. ეს ბუნებრივია, რადგან ქალაქი იზრდება, განზე იწევს და ცენტრიდან განაპირებისაკენ მიეშურება ხალხი.

მაგრამ მარტო ის, რომ ვაკე იქნება გამშვენიერებული, არ არის საკმარისი; საჭიროა მას ჰქონდეს შესაფერი გზა ცენტრთან შემაერთებელი, რომ ამ გზით თავისუფლად სწარმოებდეს მოძრაობა ცენტრისა და ვაკეს შორის.

ამჟამად ერთი წყნეთის ქუჩაა, რომელიც ცენტრთან აერთიანებს ვაკეს. ეს ქუჩა კი ტრამვაის ორი ხაზით და ვიწრო ტროტუარებით იმდენად უვარგისია, რომ მომავალში იგი სრულიად ვერ დააკმაყოფილებს მოძრაობის მხრივ მჭიდროდ დასახლებულ ვაკეს.

აი ამიტომ ვურჩევდით აღმასკომს ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და იზრუნოს, რათა ვაკეს შესაფერი მისავალი გზა ჰქონდეს.

მუშა ნიკო ას—ლი.

კედლის გაზეთი „სტუდენტთა ხმა"

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომის, კომუჯრედის და სტუდენტთა აღმასბიუროს გაერთიანებული კულტკომისია უშვებს კედლის გაზეთს „სტუდენტთა ხმა"-ს სახელწოდებით. ჯერ-ჯერობით გამოვიდა ერთი ნომერი. უნდა ითქვას სიმართლე, რომ პირველი ნომერი სუსტია. სტუდენტობა და მოსამსახურეები ვერ დააინტერესა მან. გაზეთში მოთავსებულია მხოლოდ მშრალი მასალები. სარედაქციო კოლეგიამ უნდა იცოდეს, რომ წერილები უნდა იწერებოდეს შინაარსიანი. მოკლედ, მკაფიოდ და შიგ ჩართულ უნდა იქნეს აგრეთვე კარიკატურები ადგილობრივი ცხოვრებიდან.

მომავალში იმედია ამას სარედაქციო კოლეგია მიაქცევს ყურადღებას.

მუშკორი შალი.

ურთიერთ დამხმარე სალარო

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს ურთიერთ დამხმარე სალარო აერთიანებს 219 მუშა - წევრს. მუშებს დიდის ხალისით შეაქვთ საწევრო გადასახადი.

გასულ წლის სექტემბრამდე ეს სალარო თუმცა არსებობდა ქარხანაში, მაგრამ დახმარებას ვერ უწევდა მუშებს. ამის მიზეზი იყო გამგეობის წევრების გამოუცდელობა. ახალი გამგეობის არჩევის შემდეგ სალაროს მუშაობა გამოცოცხლდა.

პირველ ყოვლისა ახალმა გამგეობამ ხელი მოჰკიდა მუშებზე ძველი დავალიანების აკრეფას; ამ დავალიანების თანდათანობითი შეკრებამ, მართლაც მოაღონიერა სალარო.

ამის შემდეგ ახალმა გამგეობამ დაიწყო დახმარების გაცემა.

მუშებს სალაროში შეაქვთ განცხადებები დახმარების გაცემის შესახებ. გამგეობა, თუ კი მუშას სასწრაფოდ ესაჭიროება დახმარება, იმავე დღესვე იწვევს სხდომას და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მუშის თხოვნას.

მუშები დავალიანებას უყოყმანოდ ისტუმრებენ, რაც აჯანსაღებს ურთიერთ დამხმარე სალაროს.

მუშკორი ვანო.

მუშათა ქრონიკა

— ინვალიდები. თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროში ითვლება 1658 ინვალიდი.

— რ. ლიუქსემბურგის სახელობის თუთუნის ქარხანაში მუშაობს ოთხასამდე მუშა - მოსამსახური.

— რძე. მეორე თუთუნის ქარხანაში მძიმე სამუშაოზე მომუშავე მუშებს ურიგდებათ რძე.

— 1958 მან. 20 კაპ. თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს გამგეობამ უმუშევრებზე ნოემბრის თვემდე გასცა 1958 მ. 20 კაპ.

— № 21.—ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის ქართული დრამწრე ამზადებს პიესა № 21—.

— ქვრივ - ობლები. საუბნო დამზღვევ სალაროს ყავს 637 ქვრივ-ობლები.

— საუბნო დამზღვევ სალარომ ზამთრის პერიოდში კურორტებზე გაგზავნა: ცემში — 48 მუშა - მოსამსახური, აბასთუმანში — 27, ბორჯომში — 21, ახტალაში — 20 და წყალტუბოში — 85 მუშა - მოსამსახური.

— კრება. 25 იანვრისათვის მოწვეულია ქალ. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო კომისიის სხდომა.

— გასამართლება. დღეს, პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგება მეისრე მაქსიმენკოს გასამართლება.

— რკინისგზებზე უკვე დაიწყო „ზაკტპ"-ს კონფერენციისათვის დელეგატების არჩევა.

ყრილობები და თათბირები

მევენახე-მეღვინეთა თათბირი

მეხუთე სხდომა

20 იანვარს დილის სხდომაზე სწარმოებდა ცალკე კომისიების მუშაობა მოსმენილ მოხსენებების გარშემო სათანადო დასკვნებისა და რეზოლუციების გამოსატანათ.

ქ. ბერეკაშვილის მოხსენება

კომისიების მუშაობის დასრულების შემდეგ თათბირი ისმენს ამხ. ქ. ბერეკაშვილის მოხსენებას ღვინის ტიპებისა და ღვინის ბაზრის შესახებ.

მომხსენებელი ეხება უმთავრესად საკითხს—მეღვინეობის რომელ რაიონში რა ჯიში უფრო ხეირობს და სად რომელი ჯიშიდან როგორი ღვინო დგება. მომხსენებლის აზრით, ჩვენებურ ღვინოებს ყოველთვის დიდი ბაზარი ექნება.

სულ საქართველოში, მომხსენებლის ცნობით, მოდის 7 მილიონი ვედრო ღვინო. ამ რაოდენობიდან ერთი მესამედი სიღდება ადგილობრივ, ხოლო დანარჩენი გადის საგარეო ბაზარზე, უმთავრესად რუსეთში.

დასავლეთ ევროპისკენ ჩვენებური ღვინის ექსპორტი მომხსენებელს ჯერ-ჯერობით მიაჩნია შეუძლებლად, ვინაიდან იქ ამზადებენ უფრო იაფ და კარგი ხარისხების ღვინოებს.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

თათბირის დახურვა

თათბირის დახურვის წინ მოკლე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ბიბილაშვილმა. თავის მოხსენებაში ორატორი ეხება ვენახების აღდგენის საჭიროებისათვის კრედიტების გადადებას ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმასთან დაკავშირებით.

სპეციალურათ აგრო დახმარების გაძლიერების მიზნით, მომხსენებლის განცხადებით მიმდინარე წლიდან მოწვეული იქნება 2 მევენახე-სპეციალისტი და 6 ინსტრუქტორი.

გარდა ამისა მიმდინარე წლის განმავლობაში მევენახეობის რაიონებში მოწყობილ იქნება მოკლევადიანი კურსები ცხრა ადგილას. ასეთი კურსების მოწყობა იწარმოებს ყოველწლიურათ. სულ კურსების მოსაწყობათ განზრახულია დაიხარჯოს 22.500 მანეთი.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ იმ თანხებით, რომელიც გადადებულია საქართველოს მევენახეობის აღსადგენათ, განზრახულია გაკეთდეს უპირველესად ყოვლისა ის, რაც აუცილებლათაა ცნობილი. ასეთი სამუშაოა, მაგალითად ღვინის შესანახი სარდაფების მოწყობა, რისთვისაც გადადებულია ერთი მილიონი მანეთი. ამ თანხიდან ყოველწლიურად დაიხარჯება ორას-ორასი ათასი მანეთი.

მოხსენების შემდეგ თათბირი გადავიდა კომისიების მიერ დამუშავებულ რეზოლუციების მოსმენაზე, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

იუსტიციის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი

გუშინ, საღამოს 8 საათზე, იუსტიციის შენობაში ამხ. ალ. კაჭარავას თავმჯდომარეობით შესდგა იუსტიციის სახკომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირი.

თათბირს დაესწრო ამხ. ი. ვარძიელი.

ამხ. კაჭარავა აცნობს თათბირს, რომ დღევანდელი თათბირის მიზანია გამოიმუშაოს მთელი რიგი ღონისძიებანი რკინისგზებზე გახშირებულ უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად.

ამხ. კაჭარავა აგრეთვე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჭიროა სათანადო ზომების მიღება რკინისგზებზე გახშირებულ თანამდებობრივ დანაშაულობათა წინააღმდეგ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინისგზელების წარმომადგენლის ამხ. კენგის მოხსენება მატარებელთა დამსხვრევის შემთხვევებზე.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი.

დაწვრილებით ხვალ.

ფეიქართა კავშირის ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

არჩევნები

19 იანვარს საღამოს ყრილობის სხდომა არ შედგარა. გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა და მიიღო რეზოლუციები კავშირის ცენტრალური გამგეობის და ს. მ. უ. ს. მოხსენებების შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო არჩევნები.

კავშირის ახალ ცენტრალურ გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

მატინიანი, ტაბიძე, ძაგნიძე, არეშიძე (სამტრედია), გევორქოვა (თელავი), შაშიკაშვილი (ქუთაისი, აბაშიძე (ოზურგეთი), ეძგვერაძე (ხონი), ნარინიანი, მაქსიმოვი, ხანოვიჩი, ავაქოვი, ალახვერდოვი ჰუსეინ, ლაბუგინა, ფრომინა, აზარაშვილი და ცხომელიძე.

კანდიდატებათ: ვოლკოვა, ლიპინსკაია, მელნიკი და ტაკოევა.

სარევიზიო კომისიაში არჩეული იქნენ ამხ. არუთინოვი, ფხალაძე და როსტიაშვილი.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

მუშკოოპში

რწმუნებულთა ყრილობა

მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს რწმუნებულების ყრილობა თებერვლის დამლევისათვის.

საპაიო თანხები

მუშკოოპის გამგეობას განზრახვა აქვს გაადიდოს საწევრო გადასახადი 5 მანეთიდან 10 მანეთამდე.

საწევრო გადასახადის გადიდებიდან შემოსული თანხა მოხმარდება საპაიო ფონდის გაძლიერებას და ახალი წარმოებების დაწყებას.

სას.-სამეურნეო პასაჟი

სადგურის ახლო გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო პასაჟი, სადაც იყიდება უმთავრესად, გლეხებისათვის საჭირო საქონელი და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

მოჯამაგირეთა ახალშენი

ამ ერთი კვირის წინეთ ბორჩალოს მაზრაში დაარსდა დაქირავებულ მოჯამაგირეთა ახალშენი, სახელწოდებით „დაშტაპა", რომელიც აერთიანებს მაზრაში მცხოვრებ თითქმის ყველა მოჯამაგირეებს.

ამის შესახებ სამაზრო აგრონომების თათბირმა დაადგინა აღმოუჩინონ ახლად მოწყობილ ახალშენს დახმარება აგროდახმარების პუნქტის გახსნით. გარდა ამისა გადაწყვეტილია ახალშენში მოეწყოს საჩვენებელი მეურნეობა.

აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა რომ ახალშენში გაყვანილ იქნეს ახალი წყალსადენი.

პროფკავშირებში

კულტმუშაობა

გასული წლის 24 დეკემბერს შესდგა ს.პ.კ.ს. კულტგანყოფილების ა.-კავშირთა ც. გ. კულტგანყოფილებათა და კლუბების გამგეების თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნა სახალხო შვერთების ა.-კავშირთა ც. გ. კულტ-განყოფილების გამგ. მოხსენება კულტ-მუშაობისა და კლუბების მდგომარეობის შესახებ.

თათბირმა არ სცნო დამაკმაყოფილებლად კულტ-მუშაობა, აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით მოიკოჭლებს კლუბისა და საკავშირო ბიბლიოთეკების მუშაობა, საერთოდ კულტ-მუშაობა ვერაა დაყენებული სათანადო დონეზე. ამის გამოც კავშირმა დაადგინა: მიეცეს კავშირს წინადადება მიიღოს ზომები კინო-თეატრი „ოლიმპის" ორშაბათობით საექსპლოატაციოთ და აგრეთვე კლუბის შემოსავლიანობის ასაწევად, რაც შესაძლებელია მუშაობის საერთო გამოცოცხლებასთან ერთად.

2. დაევალოს კავშირის ცენტრალურ გამგეობას აღძრას შუამდგომლობა კავშირის ცეკას წინაშე, რათა გადადებული იქნას სახსარი კულტ-მუშაობის საწარმოებლად და განსავითარებლად.

3 მიღებული იქნას ზომები ბიბლიოთეკის მუშაობის გამოსაცოცხლებლად პროვინციაში წიგნების დასაგზავნით მოძრავი ბიბლიოთეკის სახით.

4. კულტ-მუშაობისათვის გადადებულ სახსრებს, გარდა დაისვას საკითხი ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმის წინაშე მატერიალური დახმარების აღმოჩენის შესახებ—საერთოდ კი დაევალა კავშირის ცენტრალურ გამგეობას მიიღოს შესაფერი ზომები კულტ-მუშაობის სფეროში ყველა საკითხების მოსაგვარებლად.

ვ. ხულაქველიძე.

სენაკის საპროფბიუროში

მზადება საბჭოთა არჩევნებისათვის

სენაკის სამაზრო პროფბიურომ უკვე დაიწყო საკავშირო მასაში საბჭოების და კოოპერაციის გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლად წინასწარი მომზადება. პროფბიურომ მიზანშეწონილად მიაჩნია გადარჩევის კამპანიის ჩატარება დაუკავშირდეს პროფბიუროს კონფერენციის წინასწარ კამპანიას, რომელიც უკვე ტარდება მიმდინარე წლის 13 იანვრიდან 25 იანვრამდე.

სოფლის აფთიაქებში

როგორც გამოირკვეულა მედსანშრომის კავშირის ცენტრ.გამ.მიერ.ზოგიერთ სოფლის აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტებს არ აქვთ გახსაზღვრული გამოსასვლელი დასასვენებლად დღე, განსაკუთრებით იმ აფთიაქებში. სადაც მუშაობს თითო ფარმაცევტი, რაც არანორმალურია და შრომის დაცვის საერთო წესების კანონის დარღვევაა.

ეს მდგომარეობა განიხილა მედსანშრომის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ და დაადგინა: ყველა იმ მომუშავე ფარმაცევტებს, რომელიც არ სარგებლობენ გამოსასვლელი დასასვენებელი დღით განსაკუთრებით კი იმ აფთიაქში, სადაც მუშაობს ერთი ფარმაცევტი. თანახმად შრომის კოდექსისა უნდა მიეცეს კვირაში ერთი დასასვენებელი დღე.

ამავე კავშირის დადგენილებით, სოფლის აფთიაქის გამგებს უნდა დაენიშნოს პერსონალური განაკვეთი მათი შრომის ნორმალურ სამუშაო დღის ფარგლებში მოუთავსებლობის გამო.

ვალიჩკო.

პროფქრონიკა

200 მან. დახმარება.

ა. წლის 13 იანვარს საქპროფსაბჭომ მიიღო ქუთაისის სამაზრო პროფბიუროდან ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 200 მანეთი.

ნებართვა.

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების სამხატვრო კომისიამ ნება დართო მოქ. მიხ. კაცბაძეს მისი გუნდის გამოსვლები მოაწყოს ყველა მუშათა კლუბებში.

ყრუ-მუნჯთა დახმარება

საქპროფსაბჭომ მისცა კულტფონდიდან ერთდროული დახმარების სახით ყრუ-მუნჯთა თბილისის ურთიერთ დამხმარე საზოგადოებას კულტმუშაობის გასაძლიერებლად 50 მანეთი.

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

ნამქერი ბაქოს ხაზზე

აზერბეიჯანიდან მიღებულ ცნობით, უკანასკნელ დღეების განმავლობაში აზერბეიჯანში, განსაკუთრებით რკ. გზ. ხაზის ფარგლებში ადგილი ჰქონდა დიდ ნამქერებს.

ნამქერს ხელს უწყობდა ჩრდილოეთის ქარი, რომელიც უფრო ძლიერი იყო ბაქოს რაიონში.

17 იანვრიდან აზერბეიჯანის სხვადასხვა რაიონებში ძლიერ თოვდა. განსაკუთრებით ბალაჯარ - ხურდალანს შუა. რკ. გზაზე მიღებული ცნობით, 19 იანვარს ბალაჯარა - ხურდალანის რაიონი სავსებით დაფარული იყო თოვლით, რაც ხელს უშლიდა მატარებლების მიმოსვლას. გუშინ სად. ხურდალანის მახლობლად თოვლის ზვავში მოექცა მატარებელი № 22. მატარებლის გამოსაყვანად გუშინვე გაიგზავნა ორი ძლიერი ორთქლმავალი, რომლებმაც დიდის გაჭირვებით შესძლეს მატარებლის გამოყვანა.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში მძვინვარებ და ნამქერი ხურდალან - გიუზდეკს შუა. დღის 3 საათზე ზვავმა დაფარა სად. სუმგაიტის ლიანდაგი. თოვლმწმენდი მატარებლის ენერგიული მუშაობის წყალობით მიმოსვლა აღდგენილია სუმგაიტ - ხურდალანის გადასარბენზე. გუშინ ქარის ძალა შესამჩნევად შესუსტდა მაგრამ თოვა არ შეწყვეტილა, რამაც მოძრაობა კვლავ სახიფათო გახადა. სად. ბალაჯარი დაფარულია დიდი თოვლით. ამჟამად იქ მუშაობს გზის გასაწმენდათ 200 მუშა - რკინისგზელი და სამხედრო ნაწილები.

თოვლის წმენდის დროს ლიანდაგიდან გადავარდა თოვლმწმენდი მატარებელი, რომელიც ჩქარა იქნა ამოღებული.

18 და 19 იანვრის განმავლობაში სად. ბალაჯარიდან გავიდა მხოლოდ ორი მატარებელი. ამჟამად სად. ბალაჯარს არ აქვს საშუალება მიიღოს საბარგო მატარებლები.

ნავთის მზიდავი მატარებლების მოძრაობა აღდგენილია.

სამგზავრო მატარებლები დიდის დაგვიანებით მოძრაობენ.

სალამზე მიღებული ცნობებით, ძლიერი ქარბუქია სად. ჩერნოვოდსკის რაიონში.

რკინისგზის დანარჩენ უბნებზე, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს მეტეოროლოგიური განყოფილების ცნობით ადგილი აქვს მსუბუქ ნამქერებს. განსაკუთრებით ტყიბულის, გორის და ჯაჯურის რაიონებში.

სოხუმში

მოწმენდილი დღეა. ტემპერატურა —1,5 გრადუსს აღწევს. აფხაზეთის რაიონებში არაჩვეულებრივი სიცივეებია

ფოთში

ზღვაზე მსუბუქი ღელვაა. ღრუბლიანი დღეა. ქრის ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, რომლის ძალა 8 ბალს აღწევს. ტემპერატურა + 0,8 გრადუსს უდრის.

ბათომში

ზღვაზე სიწყნარეა. ღრუბლიანი დღეა. ქარი არ ქრის. ტემპერატურა + 4.4 გრადუსია.

ბორჯომში

ღრუბლიანი დღეა; გუშინ, საღამოს თოვდა ტემპერატურა —5,8 გრადუსს უდრის.

გორში

გუშინ ღრუბლიანი დღე იყო. ქროდა საშუალო ძალის ქარი, რის გამო, რაიონში ადგილი ჰქონდა მძვინვარე ნამქერს. ტემპერატურა —6,4 გრადუსია.

მუხრაანში

ქრის მსუბუქი ქარი. გუშინ ღამით თოვდა ტემპერატურა —5,8 გრადუსს უდრის.

საგარეჯოში

ღრუბლიანი დღეა. ხანგამოშვებით თოვს. ტემპერატურა —7,8 გრადუსს უდრის.

მუკუზანში

გუშინ თოვდა. ტემპერატურა —5,4 გრადუსია.

გუდაურში

გუშინ გამოიდარა. ცა მოწმენდილია. ტემპერატურა —18 გრადუსია.

თბილისში

გუშინ ღრუბლიანი დღე იყო. მოდის თოვლი. ტემპერატურა —4,6 გრადუსია. ქრის სუსტი აღმოსავლეთის ქარი.

მოძრაობა გზატკეცილებზე

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის საოლქო სამმართველოს ცნობით, ამჟამად ცუდი ამინდებისა და დიდი თოვლის გამო, შეწყვეტილია ავტომიმოსვლა ა.-კ. ყველა მთავარ გზატკეცილებზე. დუშეთამდე მიმოსვლა აღდგენილია.

ლენინაკანი

თოვს. ტემპერატურა —10 გრადუსს უდრის. ქრის საშუალო ძალის აღმოსავლეთის ქარი.

ბაქოში

გუშინ ხანგამოშვებით თოვდა. რაიონში ძლიერი ნამქერებია. ტემპერატურა —5,4 გრადუსს უდრის.

სატელეფონო ხაზი

სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა მიმდინარე 1926—27 წ. მოეწყოს ტფილის-ბათომის სატელეფონო ხაზი.

ტფილის-ბათომის სატელეფონო ხაზის გასაყვანად საჭირო სვეტების დამზადებისათვის საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის მიერ მოთხოვილი ფასი — მისაღებად ჩაითვალა.

გარდა ამისა, სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო. რათა ზემოაღნიშნული სვეტების დასამზადებლად ტყის მრეწველობის ტრესტს მიეცეს საბანკო კრედიტი.

ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. მგალობლიშვილს დაევალა ტყის მრეწველობის ტრესტთან ერთად მოაგვაროს ზემოაღნიშნული საბანკო კრედიტის მიღების საქმე.

ვალების პატიება

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის საოლქო გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა ფ. ტ. ა. კ. საოლქო სამმართველოს გაუადვილოს საქ. ფ. ტ. კავშირს იმ ვალის გადახდა, რომელიც მას საოლქო სამმართველოსი მართებს. ეს ვალი უდრის სულ 3.300 მანეთს. ამ თანხიდან საქართ. ფ. ტ. კავშირის ცენტრ. გამგეობას 2.800 მანეთი დაუხარჯავს თბილისში კავშირის კლუბის მოწყობაზე და სხვა კულტურულ საჭიროებაზე. ა. კ. საოლქო სამმართველომ მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში, დაადგინა იშუამდგომლოს საბჭოთა კავშირის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ უსახსრობის გამო საქ. ფ. ტ. კავშირს აპატიოს ეს ვალი. რაც შეეხება ვალის დანარჩენ ნაწილს—500 მანეთს ფ. ტ. საოლქო გამგეობამ წინადადება მისცა საქართველოს ფ. ტ. კავშირის ცენტრალურ გამგეობას დაჰფაროს იგი.

ქრონიკა

ამხ. ა. ქუთათელაძის დასაფლავება

გუშინ დაასაფლავეს ამხ. ა. ქუთათელაძე. სახლიდან ცხედარი გამოასვენეს აღმასკომის, მედსანშრომის და ექიმთა საზოგადოების წარმომადგენლებმა. შრომის სასახლის წინ და საფლავზე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ჯანსახკომის პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც დაახასიათეს განსვენებული, როგორც საზოგადო მოღვაწე და ექიმი.

მილოცვა საქართველოს ცაკს

საქ. ცაკმა ხარკოვიდან მიიღო შემდეგი მისალოცი დეპეშა: „უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავეთა თათბირი სალამს უძღვნის საქართველოს ერებს, რომელთაც შესძლეს მშრომელთა მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საქართველოს ერთა თავისუფალი განვითარების დაცვა სოციალ-გამყიდველთა და იმპერიალისტების თავდასხმისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოების დიდი კავშირის ყველა ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ ავაშენებთ ახალ სოციალისტურ საზოგადოებას, რომლის დროსაც სამუდამოდ გაქრება ყოველგვარი ჩაგვრა და ძალადობა.

თათბირის პრეზიდიუმის დავალებით ბუდენკო.

უმუშევრობის შესამცირებლად

საქართველოს ხის დამამუშავებელთა კავშირმა თავის უმუშევარ წევრებისაგან მოაწყო შრომის კოლექტივი, რომელიც შეუდგა ყუთების წარმოებას.

ხის დამამუშავებელთა კავშირის ყრილობა

25 იანვარს თბილისში იხსნება ხის დამამუშავებელთა კავშირის მეექვსე ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში დგას საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტის, რკინის გზის, ხე-ტყის დამუშავების განყოფილების მოხსენებები, კავშირის ცენტრალური გამგეობის, სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებები და არჩევნები.

პროფსაბჭოს კლუბის შენობა

საქართ. პროფსაბჭომ აირჩია საგანგებო კომისია პროფსაბჭოთა საკლუბო შენობის ასაგებ პროექტზე კონკურსის პირობების დასამუშავებლად.

ა. კ. რკინის გზა და მშენებელთა კავშირი

საქართველოს მშენებელთა კავშირმა ა. კ. რკინის გზის სამმართველოსთან დასდო კოლექტიური ხელშეკრულება იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომელიც ეხება საკავშირო მასის ეკონომიურ და კულტურულ ინტერესებს. ხელშეკრულებით რკინის გზაზე მშენებელ მუშების ხელფასის მინიმუმათ დაწესებულია 24 მანეთი და 60 კაპ. (სატარიფო ნიხრის პირველი თანრიგის მიხედვით).

ამხ. სააკიანის დანიშვნა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრათ და ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ შინამრეწველობის საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. სააკიანი, რომელიც უკვე შეუდგა თანამდებობის აღსრულებას.

27.000 მანეთის ობლიგაციები

სახელმწიფო ბანკის თბილისის განყოფილებამ სამი დღის განმავლობაში გაასაღა საგლეხო სესხის 27.000 მანეთის ობლიგაციები.

ობლიგაციების გაყიდვა წარმატებით მიმდინარეობს.

დახმარება ყრუ-მუნჯთა საზ-ბას

საქართველოს პროფკავშირთა საბჭომ ყრუ-მუნჯთა თბილისის ურთიერთ დამხმარე საზოგადოების სასარგებლოდ ერთდროული დახმარების სახით კულტფონდიდან გადასდო 50 მანეთი.

წყალით სარგებლობა

ამიერ - კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო ახალი დადგენილება ამიერ - კავკასიის რკინისგზების მიერ. თბილისის, ბაქოს და ბათომის წყალსადენებიდან წყალით სარგებლობის შესახებ.

ხიდების აგება

ამიერ - კავკასიის ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო გზითა მიმოსვლის და ტივების გადასაზიდ მდინარეებზე ახალი ხიდები აგებული იქნეს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს გემების მიმოსვლას და ტივების გადაზიდვას. ამისდამიხედვით, გადაკეთებული უნდა იქნეს ასეთ დიდ მდინარეებზე აგებული ხიდები.

ყრილობის გადადება

ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელის პირველი ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო ბანკთან მიმდინარე წლის 28 იანვრისათვის, გადატანილია 20 თებერვლისათვის.

ნარჩენები

მიმდინარე წლის პირველ იანვრისათვის საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად გასული წლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენები აკრეფილია 29..656 მანეთის რაოდენობით.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი რონოდები. აღმასკომის მიერ მოსკოვში შეკვეთილია 2 მილიონი მანეთის ტრამვაის ახალი რონოდები.

◆ ორთაჭალაში გაიხსნა საბავშვო ბაგა.

◆ წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. გასულ წელს თბილისსა და მის მაზრაში დამთავრა 8.000 კაცმა.

◆ გამოფენები. ჯანმრთელობის განყოფილებამ თბილისსა და მის მაზრაში მოაწყო 4 სანიტარული გამოფენა.

◆ სანიტარულმა ექიმებმა მაზრაში დაამთავრეს მოწაფეთა ჯანმრთელობის შემოწმება.

◆ ახალი საავათმყოფო. ჯანმრთ. განყოფილებამ მოაწყო საავათმყოფო როჟით დაავადებულთათვის.

◆ საბინაო მშენებლობისათვის აღმასკომი ცენტრიდან იღებს 1 მილიონ მ. სესხს.

სასოფლო-სამეურნეო ბანკში

◆ საკრედიტო ამხ-ბები. საქ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა გააფართოს სამხრეთ-ოსეთში საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი.

◆ ოზურგეთის საკრედიტო ამხ-ბამ აღძრა შუამდგომლობა სას.-სამ. ბანკის წინაშე 15.000 მანეთის სესხად მიცემის შესახებ თავის მუშაობის გასაფართოებლად.

◆ ახალი ამხ-ბა. სას.-სამ. ბანკი სოფ. სიმონიანთ ხევში (თბ. მ. ზ.) ხსნის საკრედიტო ამხ-ბას.

◆ დახმარება დაზარალებულებს. ცაკმა წინადადება მისცა სას.-სამ. ბანკს სეტყვისაგან დაზარალებულ სოფ. ფუჩის (შორ. მაზრა) გლეხობას აღმოუჩინოს დახმარება.

მიწათმოქმედების კომისარიატში

◆ აგრო-დახმარების კაბინეტების მოსაწყობათ მიწათმოქმ. კომისარიატი აგროვებს მასალებს და ექსპონატებს.

◆ სახალხო მამულების დასახმარებლად და სესხის მისაცემად არსდება განსაკუთრებული ფონდი.

შემთხვევები

„სასწაულმომქმედნი“

აშტარაკიდან (სომხეთი) 10 ვერსის დაშორებით, სოფ. ოგანავანკში არის ძველი ეკლესია, რომელშიაც ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას :

ამ ეკლესიაში საღამოობით, ლოცვის შემდეგ. ხშირად რჩებოდა გლეხი ქალი ტერ-სტეპანიანი. ერთხელ მას „გამოეცხადა ღვთისმშობელი“ და აცნობა, რომ ურწმუნოთა დასასჯელად ლენინაკანის ადგილზე გაჩნდება უზარმაზარი ზღვა, არარატი დაეჯახება არაგაცემს და გავრცელდება საშინელი სიკვდილიანობა ურწმუნო ახალგაზრდებს შორის.

რამოდენიმე დღის განმავლობაში ტერ-სტეპანიანი გრიგორ ვართანიანის თანხლებით ყოველ საღამოობით მოდიოდა ეკლესიაში და „ძილს ეძლეოდა სიზმრების სანახავად წმინდა კარაპეტის საფლავზე“.

12 დეკემბერს ტერ-სტეპანიანმა მორწმუნეთ აცნობა, რომ კარაპეტმა სთქვა: „უბედურებისაგან თავის დასახსნელად აუცილებელია მსხვერპლის შეწირვა, ამასთანავე პირველ მსხვერპლად ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნება ცხვარი, რომელიც მეზობელ სოფელში ერთ თურქ ქალს ეკუთვნის“.

იმ აქტმა, რომ ამ თურქ-ქალის ცხვარს მართლაც აღმოაჩნდა ტერ-სტეპანიანის მიერ აღნიშნული ნიშნები, გლეხებში კიდევ უფრო განამტკიცა რწმენა და მათ დაიწყეს მსხვერპლის მიტანა კარაპეტის საფლავზე, სადაც ტერ-სტეპანიანი მღვდელ მატევოსიანთან ერთად მოუთხრობდა ხალხს „სასწაულის“ ამბავს.

15 დეკემბერს ტერ-სტეპანიანმა აცნობა გლეხებს, რომ მსხვერპლის უხვად ვაღების გამო, უბედურებას აღარ ექნება ადგილი. გახარებულმა მორწმუნეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს საჩუქრების მიტანა კარაპეტისათვის.

სასწაულ მოქმედებას ბოლო მოუღო აშტარაკის აღმასკომის თავმჯდომარემ, რომელმაც დააპატიმრა „სასწაულმომქმედნი“; ამასთანავე ტერ-სტეპანოვა სავსებით ჯანსაღი და ნორმალური ადამიანი აღმოჩნდა.

ამ დღეებში მათი საქმე გაირჩა სახალხო სასამართლოში, სადაც ნათლად გამოირკვა „სასწაულის“ სურათი. მოსახლეობა დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქმის გარჩევას და დარწმუნდა, თუ როგორ ატყუებდენ მათ ეკლესიის მსახურები.

დამნაშავეთ მიესაჯათ დაპატიმრება 6-დან 2 თვემდე.

◆ თავის ჩამოხრჩობა. 19 იანვ. ელისაბედის ქ. № 19 ევდოკია აგრონოვისამ თავის ბინაზე ჩამოიხრჩო თავი.

◆ თავის მოწამვლა. 19 იანვ. კრილოვის ქ. № 15 მოიწამლა თავი ნინო ჯაფარიძემ.

◆ ნათლისმცემლის ეკლესიაში 19 იანვ. პეტრე მამულოვს ჯიბიდან ამოაცალეს 80 მანეთი.

◆ შეპყრობა. 19 იანვ. დააპატიმრეს ქურდი მიხაკო მხითარიანცი, რომელმაც გაქურდა რახილ თოთიჩაშვილის ბინა.

◆ კინო „აპოლოში“ 19 იანვ. კინოს თანამშრომლებს მოპარეს ტანისამოსი.

ხელოვნება

„ქართული მწერლობა“

გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ჟურნალი „ქართული მწერლობა“ № 6—7. შინაარსი: პროზა:

ნ. ლორთქიფანიძე —ესკიზები, მ. ჯავახიშვილი — პაპა დიმო. მდევარი, ვ. ბარნოვი—მარგალიტის ცრემლები, ნიკოლოზ მიწიშვილი—ერთი ღამის ამბავი (რომანიდან — „თებერვალი“), სტ. კასრაძე — ზღვა, ალ. ქუთათელი—სიცილა, პეტრე სამსონიძე — პოეტი კოშია, პოეზია (ანბანზე) აგარელი გობრონ — წუხილ. მატარებელში, აფხაიძე შალვა — გზა ანაპისაკენ. ღამე ანაპაში, გაფრინდაშვილი ვალერიან—რიონი, გაბისკირია გ. — დილა სოფლიდან, გრანელი ტ. — მთვარე ფანჯარასთან, დაითაშვილი ი.—დაუბეჭდავი ლექსები, ერთაწმინდელი ს.—ყვითელი უდაბნოში, ზომლეთელი ნოე—ნოე ჩხიკვაძეს, იაშვილი პაოლო — არაგვეთის ღამე, ლორთქიფანიძე კონ. — ერთი ღამე ბაგრატის მათზე, მარიჯან—ზღვიადა, გურული ვარლამ—ლომი, რუხაძე ვარლამ — ქალაქი დიქტატორი, შნეურ ზ. — მას (თარგმანი გერცელ ბააზოვისა), ჩაჩავა ნ. — საუბარი ნადირობისას, ცეცხლაძე გრიგოლ — კაი კაცი, პროვოკაცია და გრამაფონი, წერილები: ვ. კოტეტიშვილი — თანამედროვე ქართული ხელოვნება, ს. ხუნდაძე — ისტორიის ერთი თავი, კინო და თეატრი: ს. ამაღლობელი — კინო-მრეწველობის რეპერტუარის საკითხები. დოკუმენტები: გენერ. გ. მაზნიაშვილი — უღელტეხილიდან ბათომამდე. რომანოზ ფანცხავა — (ზომლელი) — ჩემი მოგონებანი — ეგნატე ნინოშვილი. ალ. ჭავჭავაძე — საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნის პირველ ხანებში. (დასასრული) პროფ. პოლიევქტოვი — ალ. ჭავჭავაძის მოხსენების გამო. ბიბლიოგრაფია: ს. გორგაძე — პავლე ინგოროყვა. რუსთველიანა. ვ. გორგაძე გრ. რჩეულიშვილი. ქერივის ლიმონები.

◆ „ბეთქილ“. ქუთაისის აკადემიურ თეატრში 3-ჯერ ზედიზედ წარმოდგენილი იქნა დიაჩიანელის ახალი პიესა: „ბეთქილ“. პიესა დადგა შოთა მანაგაძემ.

◆ „კორსარ პიეტრო“. კინო „არფასტოში“ და „სოლეიში“ ამჟამად მიდის საუკეთესო გერმანული სურათი: „კორსარ პიეტრო“.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

◆ მომღერალ სანდრო დოლონძის მონაწილეობით დღეს, ოპერის თეატრში მიდის: „თამარ ცბიერი“.

◆ „ჩვენი სტუმართმოყვარეობა“. „აპოლოში“ დაიწყო ახალი სურათის: „ჩვენი სტუმართმოყვარეობის“ ჩვენება.

◆ ალიო მაშაშვილის ლექსების მეორე წიგნი დაისტამბა და მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ. წიგნი შეიცავს 200 გვერდს. წამძღვარებული აქვს პლატონ ქიქოძის წინასიტყვაობა.

◆ ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“, იბეჭდება და იანვრის ბოლო რიცხვებში გამოვა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“-ს № 1. შინარსი: პოეზია, პროზა, კრიტიკა, ლიტერატურის თეორია, ბიბლიოგრაფია და ქრონიკა.

◆ მომღერალი მიგაი თბილისში. თებერვლის შუა რიცხვებში თბილისში საგასტროლოთ ჩამოვა ცნობილი ბარიტონი მიგაი. მასთან ერთად ჩამოვა მომღერალი სტეფანოვა (სოპრანო).

◆ ბალ-მასკარადი. სამხატვრო აკადემიაში 29 იანვარს გაიმართება ტრადიციული ბალ-მასკარადი.

◆ ლანსერეს სურათების გამოფენა გაიხსნება თბილისში თებერვლის პირველ რიცხვებში.

მარილის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტმა დაამთავრა მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკა, რომელიც ერთ ერთი უდიდესი ფაბრიკაა მთელ საბჭოთა კავშირში. ფაბრიკისათვის აგებულია ერთი დიდი ფაბრიკის მოსათავსებელი კორპუსი. ფაბრიკის დირექციისა და ადმინისტრატიული პერსონალის მოსათავსებლად აგებულია ორი სახლი. აგებულია აგრეთვე შენობები სასადილოს და ქართული ფურნის მოსათვსებლად. იქვე აგებულია ფაბრიკის კანცელარიის მოსათავსებელი შენობა და აბანო მუშებისათვის. საფაბრიკო ტერიტორიის წყალგაღმა აგებულია ოთხი მუშათა სახლი. აქვე აგებული იქნება კიდევ სამი მუშათა სახლი. თუმცა ფაბრიკის აგება დამთავრებულია, მაგრამ მისი გახსნა ტექნიკური მოწყობის დაუმთავრებლობის გამო, გვიანდება. ფაბრიკისათვის უცხოეთიდან მიღებულია სულ 30 დაზგა. ფაბრიკის ასაშენებლად მუშაობდა 279 მუშა. ფაბრიკის გახსნა განზრახულია საქართველოს გასაბჭოების დღეს—25 თებერვალს.

სასამართლო

მემანქანე ტიტვინიძის საქმე

(საზოგადო-საჩვენებელი გასამართლება)

გუშინ ტიტვინიძის საქმეზე სასამართლომ დაკითხა 5 მოწმე.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ სადგურ ფოილოში მატარებელი № 330 გაჩერებული იყო 10 წუთს. გამოირკვა, რომ ტიტვინიძეს არ მიუღია სათანადო ზომები მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

„ყველაფერი ღვინის ბრალია“

ეს ამბავი მოხდა მურავიოვის ქუჩაზე, 1926 წ 17 აპრილს.

საღამო იყო. ალექსი მალაქიანცი შეზარხოშებული სახლში ბრუნდებოდა, ნელი ხმით მიიმღეროდა: „სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი“.

ერთი ავი ზნე ჰქონდა მალაქიანცს. დათვრებოდა, თუ არა—ტყის ნადირს დაემზგავსებოდა და, თუ იმ დროს ვინმეს დაინახავდა ეტაკებოდა და სილას გააწნევდა.

17 აპრილს, მალაქიანცის დედამ შენიშნა, რომ ალექსი მთვრალი იყო, ამ დროს მოქ. ანდრონიკ ხითაროვი ქუჩაში მიდიოდა.

მალაქიანცის დედამ გაგზავნა ბავშვი ხითაროვთან და სთხოვა სიმღერისათვის თავი დაენებებია, რადგან ალექსს სხვის სიმღერას ვერ იტანდა. ხითაროვმა სიმღერა განაგრძო. ალექსი მალაქიანცი დაეწია ხითაროვს, დასჭრა დანით და გაიქცა.

მალაქიანცს ქუჩაში შეხვდა უცნობი მოქალაქე ადამ დონდიევი.

მალაქიანცმა აქაც „ისახელა თავი“ და დანა ჩასცა თვალში მოქ. დონდიევს.

მალაქიანცი დააპატიმრეს.

მან თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა რომ არაფერი ახსოვს: „ყველაფერი ღვინის ბრალია“.

მალაქიანცის საქმე ამ დღეებში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

მანუფაქტურის მოყვარულნი

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით დაიწყო პავლე რამიშვილის, სვილან რამიშვილის, ვალერიან გეგეჭკორის, გერმანე კეშელავას და ალექსანდრე გოგობერაშვილის საქმის გარჩევა.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ყალბი საბუთებით საწყობიდან მანუფაქტურის გამოტანა და მითვისება რკინის გზის სადგურში მუშაობის დროს.

ბრალს სდებს პროკურორი კუპრაშვილი, ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ზარათაშვილი, გაგუა და ყანჩელი.

როგორც საქმიდან სჩანს, 1926 წ. 6 მაისს, თბილისის სადგურის ბაქოს საწყობიდან ყალბი ქვითარების (დუბლიკატები) საშუალებით, ბოროტმოქმედებმა გამოიტანეს 108 კილოგრამი მანუფაქტურა. აღნიშნული მანუფაქტურა ეკუთნოდა მოქ. ნერსესიანცს.

1926 წ. 2 აგვისტოს, ამგვარი ხრიკებით საწყობიდან გატანილი იქნა აგრეთვე 116 კილოგ. მანუფაქტურა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

გამოირკვა, რომ აღნიშნული საქმის ინიციატორი იყო პავლე რამიშვილი, ხოლო დანარჩენები—პ. რამიშვილის „დამხმარე აპარატი“.

პირველად გამოტანილი მანუფაქტურა გაჰყიდეს და აღებული თანხა 530 მანეთი „ძმურად“ გაინაწილეს.

მეორეჯერ გამოტანილ საქონლის გაყიდვა ვერ მოასწრეს, რადგან ჩხრეკის დროს საქონელი აღმოჩენილი იქნა ვალერიან გეგეჭკორის ბინაზე.

რამიშვილის ჩვენებით, დუბლიკატის წიგნაკს ინახავდა საწყობის მოლარე მაჩაბელი, სადაც პ. რამიშვილი თავისუფლად შედიოდა.

ბრალდებული რამიშვილი დუბლიკატში ჩასწერდა ისეთ საქონელს, რომელიც საწყობიდან არ იყო გატანილი. საერთოდ, ყალბი დუბლიკატის შედგენას ის აწარმოებდა.

გეგეჭკორმა და გოგობერაშვილმა თავი სცნეს დამნაშავედ. დანარჩენი ბრალდებულები თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

განაჩენის გამოტანა მოსალოდნელია დღეს.

ქაჩალების საქმე

დღეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა გერასიმე ნასიბოვის და ოგანეზ ვართანოვის საქმე.

ნასიბოვსა და ვართანოვს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ გაძარცვის მიზნით მკვლელობის ჩადენისათვის მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

მოკვლის განზრახვა

24 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა დავით ჩაჩანელის საქმე.

ჩაჩანელს ბრალდება მოქ. პეტრე პეტრიაშვილის მოკვლის განზრახვა.

1925 წ. ჩაჩანელსა და პეტრიაშვილს გახსნილი ჰქონდათ ერთად საჩექმე სახელოსნო. შემდეგ უსიამოვნება მოუვიდათ და გაიყვნენ.

1926 წ. 18 ივნისს, ისინი ქეიფობდნენ. შეზარხოშების შემდეგ წალაპარაკდენ. საჩექმე დანით ჩაჩანელმა დასჭრა პეტრიაშვილი, რომელიც მიღებული ჭრილობებისაგან ადრე განიკურნა.

ხიდები

ლითონის ტრესტმა მიიღო შეკვეთა ევლახის და საჯევახოს რკინის გზის ხიდების ასაგებათ და შავი ზღვის რკინის გზის შტოზე სხვა 15 ხიდის ასაგებათ. ყველა მონდობილი ხიდების აგება ლითონტრესტმა უნდა დაასრულოს ერთი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა ტრესტმა მიიღო აგრეთვე მეორე შეკვეთა სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო ქსელის საჭიროებისათვის შესაფერი რკინის დიდი ანძების დასამზადებლად. სულ დამზადებულ უნდა იქნეს 4.000 ტონა სიმძიმის რკინის ანძები.

რკინისგზაზე

ახალი საწყობი

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობამ დაადგინა ახალციხის ქალაქის სადგურში საწყობის მოსაწყობათ შეიძინოს ბორჯომში ახალი შენობა, რომელიც დაიტევს 15.000 ფუთ საქონელს.

27 სახლი რკინისგზელთათვის

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა ამჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას ბაქოს ქალაქის აღმასკომთან მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ ბაქოსა და არმენიკენდში, სადაც აშენებული იქნება ერთსართულიანი სახლები რკინისგზელებისათვის.

ასაშენებელ სახლების ტიპები შემუშავებულია ბაქოს ქალაქის აღმასკომის მიერ. თითო სახლი შეიცავს 5—6 ბინას 2—3 ოთახით. სულ აშენდება 27 სახლი — 192 ბინით.

სახლები აშენებული იქნება ბაქოს საბჭოს მიერ. ხოლო ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა შეისყიდის მათ რკინისგზელებისათვის.

თავის დროზე

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მიმართა რკ. გზ. სამმართველოს მიიღოს სასწრაფო ზომები რკინისგზის ხაზის მუშა - მოსამსახურეებისათვის შეშის თავის დროზე მისაწოდებლად.

გამოკვლევა

ა.-კ. საგზაო კომიტეტი, რკ. გზ. სამმართველოსთან ერთად ახლო ხანში შეუდგება საბინაო სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობების გამოკვლევას ა.-კ. რკინისგზაზე.

სტუდენტები პრაქტიკაზე

ა. კ. რკინის გზის გამგეობის დადგენილებით, რკინის გზის წარმოებებში პრაქტიკაზე მომუშავე უმაღლეს სასწავლებლების მსმენელების ვადათ დანიშნულია 4 თვე.

წესრიგის დარღვევისათვის

ამ რამოდენიმე ხნის წინად მატარებლის № 352 მემანქანემ მოქ. რომანიუკმა და მისმა თანაშემწემ მოქ. ლომიზოვმა დაარღვიეს არსებული მიმოსვლის წესრიგი, რაც გამოიხატა შემდეგში: ორთავემ დალიეს ღვინო და გადასწყვიტეს ორთქლმავალზეც განეგრძოთ „ლოთიაში“ ქეიფი. ამ მიზნით მართლაც დაიწყეს მათ ორთქლმავალზე ღვინის სმა. მათ მოუვიდათ უსიამოვნება და ბოლოს — ჩხუბი. ვინაიდან გაქანებულ მატარებელზე ჩხუბი უხერხულად მიიჩნიეს, გააჩერეს მატარებელი ძეგამ - კოკლიარის გადასარბენზე და განაგრძეს ერთმანეთის ცემა.

ა.-კ. რკ. გზათა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ივანოვის განკარგულებით, ორივე „ძმა-ბიჭი“ დათხოვნილი იქნენ სამსახურიდან.

ახალი კურსები

რკინისგზის პროფკავშირების განყოფილება თბილისში ხსნის სადგურის უფროსთა თანაშემწეების კურსებს. კურსებზე მიღებული იქნება 33 მსმენელი: მათ შორის 12 ქართველი, 14 თურქი და 7 სომეხი.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ადგილობრივ ენებზე, ნაწილობრივ კი რუსულადაც; გამოცდები დასრულდება 20 იანვარს. მეცადინეობა დაიწყება 23 იანვარს.

ნარევი

შვეიცარიის ალპები—სარეკლამო კიოსკები

ბერნის (შვეიცარია) ერთ-ერთ კომერციულ დაწესებულებას ალპის მთებში, იმ ადგილებში, რომლებიც ყველაზე უფრო უყვართ ტურისტებს, განზრახული აქვს დასდგას რამდენიმე ასეული სარეკლამო ბოძი. ეს ბოძები რამდენიმე მეტრის სიმაღლის იქნებიან. მათი ზედაპირი, გაყოფილი რამდენიმე ნაწილად, იჯარით მიეცემა შვეიცარიისა და უცხოეთის ფირმებს. ალპის პეიზაჟების ბუნებრიობის დასაცავად მკაცრი პროტესტით ამ გეგმის წინაამდეგ გამოვიდა „ბუნების მოყვარულთა შვეიცარიის საზოგადოება“.

კლასიკები და თანამედროვე მწერლების ხელთნაწერები

გერმანელმა მწერალმა სტეფან ცვეიგმა ერთ ლიტერატურულ ორგანოში მოათავსა წერილი, რომელშიც, სხვათაშორის, მოყავს ცნობები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მწერლების ხელთნაწერები უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე კლასიკების.

ორი წლის წინათ ამერიკაში ზღაპრულ ფასში — 9.000 დოლარათ გაიყიდა ახლად გარდაცვლილ კონრადის ხელთნაწერი. ასეთ ფასში არასოდეს არ გაყიდულა მოცარტის ან ბეთხოვენის ხელთნაწერი. ვალტერ სკოტის ხელთნაწერი კი ამ ფასის მეექვსედში ძლივს გაიყიდა. ალფრედ მიუსესს ერთი კომედიის სრული ხელთნაწერი გაიყიდა 16.000 ფრანკათ, თანამედროვე იუმორისტ კულტელინის ხელთნაწერი კი—20.000-ით. შარლ ბოდლერის იშვიათი ხელთნაწერების კრებული გაყიდულ იქნა 12.500 ფრანკათ, ახალგაზრდა მწერლის პოლ ვალერის 40 (პატარა) ფურცლიანი ხელთნაწერი კი—21.000 ფრანკათ. ბალზაკის იშვიათი ხელთნაწერი (ბალზაკს ყველა ხელთნაწერები შეკრებილია შანტილის კოშკში) გაიყიდა 27.000 ფრანკათ; ემილ ზოლას ხელთნაწერები—4.000 ფრანკათ, ანდრე ჟიდის პატარა ხელთნაწერი კი—19.000 ფრანკათ.

მაიმუნების სოფელი

საფრანგეთის კონგოში (აფრიკა) მოეწყო მსოფლიოში პირველი სოფელი მაიმუნებისათვის. მოაწყო იგი პასტერის ინსტიტუტმა. ამ სოფლის მცხოვრებლებია ორანგუტანგები, გორილლები და შიმპანზეები. მათ უვლიან, ჰკვებავენ და საერთოდ დაჰყავთ ისინი ადგილობრივ ქალებს. მოწყობილია ეს სოფელი სამეცნიერო მიზნებისათვის.

პასტერის ინსტიტუტის პროფესორებს განზრახვა აქვთ ახალგაზრდა მაიმუნები „გონებრივადაც განავითარონ.“ განზრახულია ლაპარაკიც ასწავლონ მაიმუნებს. ამავე დროს მაიმუნები გამოყენებული იქნებიან საექიმო ცდებისათვისაც.

კეთილმოქმედება—შემოსავლის წყარო

შეერთებულ შტატებში ყველაფერი ფართო ნიადაგზეა დაყენებული, ყველაფერი შემოსავლის წყაროთ არის გადაქცეული. საქველმოქმედო ორგანიზაციებიც კი სამეურნეო ანგარიშზე იმყოფებიან. აი ფაქტებიც:

მთავარ დაწესებულებებს, რომლებიც შეერთებულ შტატებში ქველმოქმედებას ეწევიან განათლების დარგში, ობლიგაციების სახით აქვთ—453 მილიონი დოლლარი, მათი უძრავ ქონების ღირებულება უდრის 302 მილიონ დოლლარს, 210 მილიონი დოლლარი მოთავსებულია სხვადასხვა ფასიან ქაღალდებში, ნაღდ ფულად მოეპოვებათ—232 მილიონი დოლლარი.

ამრიგად ამ დაწესებულების ქონება უდრის 1207 მილიონ დოლლარს.

ასეთივე სიმდიდრე მოიპოვება სარწმუნოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში. უკანასკნელთა ქონება უდრის 387 მილიონ დოლლარს. აქედან 147 მილიონი დოლლარი მოთავსებულია სხვადასხვა ობლიგაციებში, 40 მილიონი მოდის საზოგადოების კუთვნილი შენობების და 145 მილიონი მიწების ღირებულებაზე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ქ. ქუთაისის მცხოვრებ მიხეილ სესიაძე ცირეკიძეს

პასუხი

თქვენი შეკითხვა კუთვნილებისამებრ გადაეგზავნა საქართველოს სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარს.

მემკვიდრეობის შესახებ

სენაკის მაზრის მცხოვრებს მოქ. საჯაიას

პასუხი

თქვენ გვწერთ, რომ დედა თქვენი მას შემდეგ, რაც იგი დაქვრივდა, იძულებული შეიქნა თავისი პაწია ობლებით დაბრუნებულიყო თავის სახლში, სადაც დღესაც ცხოვრობს. იგი ითვლება ერთად-ერთ მემკვიდრედ თავისი მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილი ქონებისა და სხ. თქვენ ამის გამო გვეკითხებით, გაქვთ თუ არა თქვენაც აღნიშნულ ქონებაზე სამემკვიდრო უფლებები, როგორც შვილიშვილებს.

გიპასუხებთ

თანახმად სამოქალაქო სასამართლოს კოდექსის მუხ. 418-ისა, კანონით და ანდერძით მემკვიდრეებად ითვლებიან პირდაპირი შთამომავლნი (შვილები) ამ შემთხვევაში დედა თქვენი და შვილიშვილები (ამ შემთხვევაში თქვენც). სახლი (თუ იგი ნაციონალიზაცია ან მუნიციპალიზაცია ქმნილი არ არის) და მისი მოწყობილობა ფუფუნების საგნების გამოკლებით და სხვა ქონება, რომელიც არ არის კანონით გამორიცხული სამოქალაქო ბრუნვიდან, ე. ი. რაც კი შეიძლება იყოს ნასყიდობის საგნად. (იხ. სამოქ. სამართ. კოდ. მუხ. 181) 418-მუხლში ჩამოთვლილ მემკვიდრეთა შორის, (თუ კი ისინი გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდენ მის სიკვდილამდე) გადადის თანასწორ წილად, ან და იმ პირებზე, რომელნიც გარდაცვალებულის ანდერძში არიან აღნიშნული. (იხ. საქართვ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის 1926 წლის ივლისის დადგენილება № 35).

სასამართლოში დაბარებულ მოწმის დაჯილდოების შესახებ

ქუთ. მაზ. სოფ. ნახახულევის მცხოვრებ ალექსი მოსიაშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ დაბარებული იყავით ოთხჯერ ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხ. სამართ. განყ. მოწმედ მოქ. შავლაძეების საქმის გამო, გასამრჯელო კი არავითარი არ მიგიღიათ და გვეკითხებით, გერგებათ თუ არა ასეთი და რა წესით შეგიძლიათ მიიღოთ ასეთი.

გიპასუხებთ:

თანახმად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 43-ისა, სასამართლოში დაბარებული მოწმე შეინარჩუნებს უფლებას მიიღოს სამუშაო ხელფასი იქ, სადაც მსახურებს ან მუშაობს. მოწმემ ამის შესახებ უნდა განუცხადოს სასამართლოს დაკითხვის შემდეგ. გასამრჯელოს რაოდენობას განსაზღვრავს თვით სასამართლო. თუ კი მოწმე სასამართლოს რაიონის გარეშე ცხოვრობს, მას (ამ შემთხვევაში თქვენც) უნდა აუნაზღაუროს სამგზავრო ხარჯიც. გირჩევთ ამის შესახებ მიმართოთ იმ სასამართლოს, სადაც თქვენ იყავით დაბარებული მოწმედ და მოითხოვოთ სამუშაოს გაცდენისათვის და სამგზავრო გასამრჯელო.

მშობიარობის გამო შვებულების შესახებ

კითხვა

მე ვარ ფიზიკურად მომუშავე ქალი. მშობიარობის გამო მე უნდა მომცემოდა 16 კვირეული შვებულება (8 მშობიარობამდის და 8 მშობიარობის შემდეგ) ექიმმა შეცდომით (სწორად ვერ გამოიანგარიშა ბავშვის დაბადების დრო) და მშობიარობამდის მომეცა შვებულება თერთმეტი კვირით (ადრე).

გთხოვთ განმარტებას, ეს გარემოება იქონიებს თუ არა რაიმე გავლენას მშობიარობის შემდეგი რვაკვირეული შვებულების შემცირებაზე ზედმეტად მიღებული (ექიმის შეცდომით) სამი კვირეული ხანგრძლივობის გამოკლებით.

რაჭველი ქალი ივლიტა ნ—რიძე.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 132-ისა, ფიზიკურად მომუშავე მშრომელ ქალებს მშობიარობის გამო მშობიარობის შემდეგ აუცილებლად უნდა მიეცეს რვაკვირეული შვებულება იმისდამიუხედავად, თუ რა ხანგრძლივობით მიიღეთ თქვენ სამშობიარო შვებულება მშობიარობამდის. ის გარემოება, რომ ექიმმა შეცდომით მშობიარობამდის გაგანთავისუფლათ თქვენ თერთმეტი კვირით, რვის ნაცვლად, სრულებით არ გართმევს თქვენ უფლებას, რომ მშობიარობის შემდეგ თქვენ მიიღოთ კანონიერი სრული რვა კვირეული შვებულება. (იხ. ს. გოდაბრელიძის ბროშიურა „ქალთა შრომა„ № 1 გვერდი 18-და 14).

ამას გარდა, არ დაიშვება იმ დახმარების შემცირებაც, რომელსაც იძლევა დაზღვევის სალარო მეფეხმძიმეობის გამო და რომელიც თქვენ გაქვთ მიღებული ზედმეტად გაცემული შვებულებისათვის.

ბორჯომის მინის ქარხნის მუშა-დურგალს,

ამხ. ნიკოლაიშვილს

თქვენ გვწერთ, რომ თქვენ ადმინისტრატიული წესით „დტჩკა“-ს მიერ დაპატიმრებული იყავით ორჯერ იმის გამო, რომ თქვენ ვითომდა გაგეტეხოთ საწყობი, მაგრამ ეს შემდეგში არ გამართლდა და სასამართლომ თქვენ გაგამართლა სრულიად. ეხლა ჩვენ გვეკითხებით, თუ ვინ უნდა მოგცეს თქვენ გაცდენილი ხუთი თვის ხელფასი, „დტჩკა“-მ, თუ შუშის ქარხნის ადმინისტრაციამ, ვისთანაც თქვენ მუშაობდით და ეხლაც მუშაობთ.

გიპასუხებთ:

ვერც „დტჩკა“-ს და ვერც თქვენ ადმინისტრაციას თქვენ ვერ მოსთხოვთ გაცდენილ თვეების გასამრჯელოს; ვინაიდან „დტჩკა“ სრულიად არ არის ვალდებული იკისროს თავისთავზე ასეთ შემთხვევებში მატერიალური პასუხისმგებლობა, არც თქვენი ადმინისტრაციაა იმაში დამნაშავე, რომ თქვენ იყავით ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული „დტჩკა“-ს მიერ. (იხ. შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზ. „ე“-სი ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1925 წ 16 იანვრის განმარტების მუხ. 4-ის მეორე აბზაცი, გამოქვეყნ. „შრომის კანონმდებლობის მოამბე“ № 20-ში 1925 წ.).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ცალობითი ფასების შესამცირებლად მისაღებ ღონისძიებათა განხორციელებისათვის მეთვალყურეობის დაკისრების შესახებ.

შინა ბაზარზე ფასების მოსაწესრიგებლად მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა და განკარგულებათა და ცალობით ფასების შესამცირებლად მისაღებ ღონისძიებათა ადგილობრივ განხორციელებისათვის ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის დაწესების მიზნით—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა ადგილობრივ (სამაზრო. საქალაქო და სათემო) აღმასრულებელ კომიტეტს—დააკისროს აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთ წევრს—თვალყური ადევნოს ყველა სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ—შინა ბაზარზე ფასების მოწესრიგების სფეროში ყოველი კანონისა და აგრეთვე ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მისი ორგანოების ყოველი დადგენილების შესრულებას.

2. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებამოსილი წევრი თვალყურს ადევნებს მთავრობის მიერ ფასების მოწესრიგების სფეროში მოცემულ კანონთა და დადგენილებათა განხორციელებას მთლად მაზრის ტერიტორიაზე და აგრეთვე ინსტრუქტორობასა და ზედამხედველობას უწევს სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ რწმუნებამოსილ პირთ ამავე მოვალეობის განხორციელებაში [illegible] ზე.

3. [illegible] ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ [illegible] ფასების [illegible] მთავრობის მიერ გამოცემულ კანონთა და განკარგულებათა დარღვევას, იგი დამნაშავეს პასუხისგებაში მისცემს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 145 მუხლის თანახმად ან ადმინისტრატიულის წესით—საამისოდ არსებული წესების თანახმად.

4. დაევალოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს თავიანთი მოქმედება სავაჭრო სადგომებისათვის საიჯარო ფასის დაწესების საკითხების სფეროში შეუთანხმონ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს.

5. დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, თვალყური ადევნოს ამა დადგენილების განხორციელებას და, შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამავე დადგენილების განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1926 წ. იანვრის 12. თბილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— რემედასის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე თვითმშრომელთა კავშირის კლუბში (პლეხანოვის, 66) მოწვეულია რაიონული კონფერენცია.

უჯრედებს, რომლებსაც არ მიუღიათ მანდატები, წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ რაიკომში ასეთების მისაღებად.

მდივანი ფანცულაია.

— დღეს, დილის 10 საათზე, აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთველის თეატრის შენობა) მოწვეულია საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს სხდომა.

— საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ დღეს. 21 იანვარს, საღამოს 6 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში გაიმართება მე-3 რაიკომის გაფართოებული პლენუმის სხდომა, მე-3 რაიონის უჯრედთა ბიუროების და ფაბქარხადგილკომების მდივნებსა და წევრებთან ერთად.

დღის წესრიგშია — მოხსენება საბჭოების გადარჩევის შესახებ.

— საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია მე-2 რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა მე-2 რაიკომის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

საქ. კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა 3 დღის ვადაში გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის აღმრიცხველ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან შემდეგი ამხანაგები:

1. მალიგინი გრიგორი. 2. კირიანოვა-ჯავახიძე პოლინა, 3. ბეშტავორინა ნინა, 4. ქუმსიაშვილი გიორგი, 5. პირატიანი გუსიკი, 6. თოდუა ილარიონი, 7. გრიგორიანი სერგო, 8. შუათაშვილი ევსტაფი, 9. კუბალეიშვილი გაბრიელი, 10. ემზვერაძე ბარნაბი, 11. კობახიძე აკაკი, 12. ნაზარეტიანი სტეფანე, 13. პავლოვი, მიხეილი, 14. მანუკიანი არამი, 15. ხმოსტოვი ალექსი, 16. პეტროვი პეტრე, 17. ლოხიშვილი ირაკლი, 18. ფრიდიანაშვილი იოსები, 19. მუხერძე კონსტანტინე, 20. წერეთელი კონსტანტინე, 21. ელიავა ვლადიმერი.

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ მორიგ პარტიულ დღეს, პარასკევს, 21 იანვარს, ქვემოხსენებულ უჯრედების ღია კრებებზე დამუშავდება მე-15 პარტკონფერენციის და კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმის გადაწყვეტილებები საერთაშორისო პოლიტიკის გარშემო (ამხ. ბუხარინის მოხსენების მიხედვით).

1. უჯრ. № 2—თბილ. აღმასკ. სტამბა—მომხს. სტეპანიანი ხ., 2. პოლიგრაფ ტრესტის 1-ლი სტამბის უჯრედი—მომხ. კაჭარავა, 3. პოლიგრაფ ტრესტის მე-2 სტამბის უჯრედი—მომხ. რახმანი, 4. ლიტოგრაფიის უჯრედი—მომხ. შეფტელი, 5. „წითელარმიელი“-ს სტამბის უჯრედი—მომხ. ანჩარსკი, 6. მე-4 სტამბის უჯრედი—მომხ. ვარდანიანი, 7. მეტყავეთა უჯრედი—მომხ. პოლოსოვი, 8. განათლების სახალხო კომისარიატის უჯრედი—მომხ. ახათიანი, 9. ა.-კ. წ.-დრ. არმ. საერთო მომხმარებელი საზოგადოების უჯრედი—მომხ. ბუისკი, 10. კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის უჯრედი მომხ. ჭკუასელი, 11. აგურხანების უჯრედი—მომხს. ზურაბოვი, 12. ცეკავშირის სტამბის უჯრედი—მომხს. ხაჭაპურიძე, 13. ფოსტა-ტელეგრაფის უჯრედი—მომხ. საყვარელიძე, 13. სახ. ბანკის უჯრედი—მომხ. ფესიუკი, 15. ფინსახკომის რწმ. სამმ. უჯრედი—მომხ. მგალობლიშვილი, 16. გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის უჯრ.—მომხ. ათაბეკოვი, 17. მე-3 სტამბის უჯრედი—მომხ. კუდრიავცევი, 18. სახკომსაბჭოს უჯრედი—მომხ. ხარუზანოვი, 19. მშენებელთა უჯრედი—მომხ. პონარენკო, 20. მიწათმოქმედების სახკომისარიატის უჯრედი—მომხ. ფანცხავა, 21. შინაგან საქმ. სახ. კომისარიატის უჯრედი—მომხ. ვოლხოვსკი, 22. სატელეფონო ქსელის უჯრედი—მომხ. შუშანია, 23. ა.-კ. ფინსახკომის უჯრედი—მომხ. აღამალოვი, 24. მეხანძრეთა კომანდის კოლექტ. უჯრედი—მომხ. ვართაპეტიანი, 25. იუსტსახკომის უჯრედი—მომხ. ვარძიელი, 26. თბილ. აღმ. 1-ლი სტამბის უჯრედი—მომხ. კალატოზოვი, 27. ა.-კ. სტატ. სამმართველოს უჯრედი—მომხ. გრიგორიანი, 28. საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა უჯრედი—მომხ. კუხალეიშვილი, 29. საოლქო საფოსტო კავშირის უჯრედი—მომხ. ჟამარაული, 30. „სოფლის კავშირის“ უჯრედი—მომხ. სიხარულიძე, 31. საფაბრიკო-საქარხნო სკოლების უჯრედი—მომხ. ვაგანოვი, 32. სოც. უზრ. სახ. კომის. უჯრედი—მომხ. ხომერიკი, 33. სახ. ქვეზის მუშაკთა უჯრედი—მომხ. ადამიძე.

კრების მოწვევის დროსა და ადგილის შესახებ თვით უჯრედები უნდა შეუთანხმდენ მომხსენებლებს.

სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება კავშირის წევრის

აკაკი ბერეკაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. (ა)

პარასკევს, 21 იანვარს, ქალ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე ნაშუადღევის 1 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

დიანოზ ივანეს-ძე ჩიხლაძის

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ დამწუხრებულნი დედა სალომე, შვილები: ანა (ცუცა) ნიჟარაძისა, ალექსანდრე (საშა) ცოლით დონიათი, ვალერიანე, ვერა ჰანტურიასი და ბაბილინა კობახიძისა, ანდრიოფე, ძმები: არსენი, ვლადიმერი, ფარსადანი, სპირიდონი და ალექსანდრე ჩიხლაძეები თავიანთ ცოლშვილით, სიძეები: თომა ნიჟარაძე, ივანე ჰანტურაია და ვასილ კობახიძე. ნ. 518

ლანირ-ჰაგანის ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირის სათემო კომიტეტი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს თავის ორგანიზაციის აქტიური წევრის და ამხანაგის

შალვა მაქსიმეს-ძე მენგელიას

გარდაცვალების გამო, დასაფლავება მოხდება 21 იანვარს, სოფელ ჰაგანში. ნ. 519

თავზარდაცემულნი: მეუღლე ხინო იაკობის ასული, შვილები: მარიამი, ანიკო, ელიკო და ირაკლი, სიძეები: არკადი არუთინოვი და აფრიკან გოგორიშვილი, ქვისლი მიხეილი ჯაბახიძე ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე გიორგის-ძე ჭიჭინაშვილი

პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6 ს., გამოსვენება 23 იანვარს, კვირას, ნაშუადღევის 2 ნახ. ს. საკუთარ ბინიდან—კირკის ქ. 10. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1344

სახელმწიფო დრამა

კვირას, 23 იანვარს ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**

ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით

დადგმა ალ. ახმეტელის.

დეკორაციები მხატვარ ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

2—1 ნ. 522

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 21 იანვარს, **თამარ ცბიერი** დოლიძის, ვოლჩანეცკაიას, ქუმსიაშვილისა და შარაშიძის მონ. დირიჟ. დამს. მსახ. სტოლერმანი

კვირას, (აბონემენტების გარეშე) მეორეჯერ **ბოკაჩიო**

სამშაბათს, 25 იანვარს კარაგულოვას პირველი გამოსვლისათვის **სევილიელი დალაქი**

ნ. 521

აპოლლო არფასტო სოლეი დარბაზი

მსოფლიო შედევრი

ჩვენი სტუმართმოყვარეობა

ბესტერ კიტონის მონაწ. შესვლა მხოლოდ სეანსობით.

სურათ „ნიბელუნგების“ გმირები პაულ რიხტერი და კლეინ როგე

კორსარ პიეტრო

ამერიკელ მაცისტის ჯეკა ტომასის თავგადასავალი 3—4 სერია ერთად

ჩქარა სახკინმრეწვის კინო თეატრებში ორი მონადირე

0—15 ნ. 419

თბილისის წიგნის მთავარ მაღაზიებში იყიდება

პოპულიარულად დამუშავებული შემდეგი წიგნები:

1. წელთაღრიცხვის ძველი და ახალი წესი, 1926 წლის გამოცემა	50 კ.
2. არითმეტიკა—ჩვეულებრივ და ათწილად ნაწევართა თეორია	50 კ.
3. ფუნქციონალური დამოკიდებულება და მისი ასახვის მათემატიკური საშუალებანი, 1926 წ. გამოცემა	50 კ.
4. ტრიგონომეტრია, მეთოდიური ცდა, მასწავლებელთათვის, 1926 წლის გამოცემა	1 მ.
5. აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის	30 კ.
6. ძველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი.	40 კ.

წიგნების გამოწერა და შეძენა შეიძლება ავტორისაგანაც, სოფლის მასწავლებელთათვის 50 % ფასდაკლებით: თბილისი, ავლაბრის ფოსტის განყოფილება.

15—11 ქვ. 10 ი. ჯიშკარიანი

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (ხიმხვენების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ 27 იანვარს 1927 წ. 1 საათზე სახლში № 13, ლეინის რიგში, მე-5 სამილიციო უბანში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისხაკა ზემბოევის-ძე კრიხელის სახლებს—ალექსი ფირანის-ძე მთვარაძის ვალის დასაკმაყოფილებლად ქ. თბილისის ოლქის სასამართლოსაგან 14—15 ოქტომბრის 1924 წ. თარიღით № 2701 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლის ძალით 1171 მან. ეს სახლები არის ქვითკირისა დახურული თუნუქით, და აგებულია ქალაქის მიწაზე, ზომით 131, 25 კვად. საჟ. ერთ სახლში ქვემო სართულში სამი საცხოვრებელი ოთახია, და ორი სარაია, მეორე სართულში ექვსის საცხოვრებელი ოთახია და ორი სამზარეულო, მესამე სართულში შვიდი ოთახია და ერთი სამზარეულო, ამ სახლს აქვს სამი სარდაფი თაღებით ხის აივნები, კანალიზაცია, ფასადის მხრივ აგებული ახალი შენობები ეკუთვნის ქ. თბილისის აღმასკომს, აღწერილი სახლები შეფასებულია 1300 მან. მყიდველმა უნდა წარმოადგინოს თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების და ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილების ცნობები იმის შესახებ, რომ არც მას არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილებს ქ. თბილისში არავითარი უძრავი ქონება არ მოეპოვებათ და უნდა მისცეს ხელწერილი მასში, რომ ამ პირებს არა აქვთ სახლები სხვა ადგილას. 1343

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა. ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი

ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ჭელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი ი. პ. ჭეჭელიშვილი

შინაგანი სნეულებანი. სპეციალ. კუჭით და ნაწლავებით ავადმყოფთა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ავადმყ. ღებულობს 5—6 ს. ქუჩა სანაპირო (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფ. № 15—02

ექიმი ნ. ხეჩინოვი

დაბრუნდა რუსეთიდან ქუთაისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 11851 გრ. მენაბდეს სახელზე, ჩ. გ. 1336

დავკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 15201 და პირადობის მოწმობა № 224 გაცემული თბ. მ/გ. მილიციის საუწყებო ქ/განყოფილების უფროსის მიერ, დავით კონსტანტინის ძე ჩიხაკას სახელზე, ჩ. გ. 1340

დავკარგე პირადი წიგნაკი, ფორმა № 4, გიორგი პორფილეს-ძე ახობაძის სახელზე, ჩ. გ. 1339

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 510, გაცემული ოზურგეთის სამაზრო მმაჩის ბიუროს მიერ, ელენა ივანეს ასულ ფირცხალაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 520

დავკარგე პირადობის მოწმობა № 853, გაცემული ბათომის 1-ლი უბნის კომისარიატის მიერ, ილიკო საბას-ძე ჯამბერიძეს სახელზე, ჩ. გ. 1341

დავკარგე პარტიული წიგნაკი № 503150, მოცემული მე-3 რაიონიდან, ნიკოლოზ ბარნაბიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1337

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 9196 იაკობ ცერცვაძეს სახელზე, ჩ. გ. 1338

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 95455, აპოლ. ჩარკვიანის სახელზე, ჩ. გ. 1335

დავკარგე პასპორტი გიორგი დანდუროვის სახელზე, ჩ. გ. 1342

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.